# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 7 მარტი, 2009 წელი.

№ 42 (6143)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# 1956 წლის 9 მარტი



აი, მაშინ კი გაიცა ბრძანება: ხალხი დაშალეთო. ბიჭებს ტყვიებითა და ხიშტებით გაუმასპინძლდნენ. იმასაც ამბობდნენ, მტკვარში კარგა ბევრი გადაყარესო. 83 კაცი დაიღუპა! თუმცა, ხალხში გავრცელდა ათასგვარი ხმა თუ ჭორი.

7

# „კიდევ კარგი, რომ ძაღლებად გავჩნდით“...

აუჰ, რა ძნელი იქნებოდა ცხოვრება მეთვრამეტე საუკუნის შოტლანდიაში!

2



# პუტინის პოლიტიკა აშშ-ის პოლიტიკის კარიკატურაა...



ხედვა ოკეანის გაღმიდან

3

# წვლილი შეუფასებელი, ღვაწლი დაუფასებელი



6

დიდი კაცი თუ გამოგვერია...

რამაზ საყვარელიძე:

# სამოქალაქო ომის საშიშროება არ არსებობს



2

# სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ სარჩელს წარადგენს



3

# რუსეთი ერაყის ხაფანგში

10

## სიზმარ იყო?!

# „კიდევ კარგი, რომ ძაღლებად გავჩნდით“...

## აუჰ, რა ძნელი იქნებოდა ცხოვრება მეთვრამეტე საუკუნის შოტლანდიაში!

**ერთმა ძველმა მეგობარმა შემომჩივლა ახლახან, — უცნაური რამ დამჩემდა ამ ბოლო ხანს — თუ ღამით რაღაცის გამო გამეღვიძა, არამცთუ მხოლოდ ძილის შებრუნება მიჭირს, ძილ-ბურანში თავდაპირველად ზოგჯერ იმის გარკვევაც მიძნელდება, სიზმრად ვნახე რაიმე მოვლენა, თუ რეალურ ცხოვრებაში შევეჩეხე მას ან წიგნში წავიკითხეო.**

**ნუ ინერვიულებ, სხვებსაც ემართებათ ასეთი რაღაც-მეთქი, დავამშვიდე.**

...რომ დამინახა, თოხს ხელი უშვა, დაკოჟრილი მტევნები ხალათზე შეიწმინდა და გულიანად შემომეგება.

— რა ვქნა, მარტო ლექსების წერით ოჯახი როგორ ვარჩინო, გლეხის შვილი მიწასაც თუ არ ვერკინეო, — მომიბოდიშასავით.

საუბარი მის შემოქმედებაზე ჩამოვარდა. „მხიარული მათხოვრები“ დავამთავრეო ახლახან.

მერე თვალებში ჭინკები აუსხმარტალდნენ — ლექსი დავწერეო — „სიზმარი“, სანამ წაგიკითხავდე, იქნებ ეზოში გავიდეთ, თორემ ჩვენს შენობებში კედლებსაც კი თითქოს ყური აქვთ და ვაითუ ვინმე მოყურადებული გვისმენდესო, მითხრა.

გავიკვირვე, მაგრამ არ შევიმჩნიე. მასპინძლის ნებას დავყევი. გავედით ეზოში.

მშიშარა რომ არა ვარ, კი იცი, მაგრამ მაინც ამ ეპიგრაფით შევნიღბეო „სიზმარში“ ჩემი ნათქვამი: **„პოეტს ესიზმრა, რომ ესწრებოდა მეფის დაბადების დღის საზეიმო ცერემონიალს და ამ ლექსით მიმართა მეფეს. მას იმედი აქვს, რომ სიზმარს სახელმწიფო ღალატად არ ჩაუთვლიან“...**

შემეცოდა პოეტი, ავტოკრატიას, შესაძლო მიყურადებისა და თვალთვალის საფრთხეს რომ დაეშინებინა მისი მტკიცების საწინააღმდეგოდ.

და მით უფრო დავაფასე ის ნაღდი დემოკრატია, ჩვენს ქვეყანაში რომ არსებობს. მაგრამ ამას ხომ არ ვაგრძნობინებდი მასპინძელს.

ახლა კი იმ ახალ ლექსს წაგიკითხავო.

სმენად ვიქეცი.

**„ღმერთმა დამიფაროს, აუგით**
**ვახსენო**
**მე კანონმდებლობა ინგლისის,**
**და ვთქვა, რომ არ გყოფნით**
**ამ ერის მართვისთვის**
**სიბრძნე და მეფური სინდისი.**
**მაგრამ ის უნდა ვთქვა, რომ**
**ძლიერ მაკვირვებს,**
**ვის ანდეთ სიმართლის**
**სადავე, —**
**ცხენების ჩონჩორიკს რომ უნდა**
**ხვეტავდნენ,**
**ისინი ქვეყანას მართავენ**
**ამ ძნელბედობის ჟამს“...**

ისეთი თვალებით შემომხედა, მივხვდი, როგორიაო, მეკითხებოდა.

— ლექსი კარგია, მაგრამ შენ უფრო მაგარი ხარ, რა მორგებული ეპიგრაფი წაგიმძღვარებია მისთვის, ბუზსაც ვერავინ აგიფრენს-მეთქი, — შევუქე მოსაზრებულობა, რაკი მივხვდი, რომ კრიტიკისა და სიმართლის პირში თქმის გამო ხელისუფლების მოსალოდნელი რისხვისა ეშინოდა.

ეს კი ვუთხარი და აშკარადაც ვასიამოვნე, მაგრამ გული ჩამწყდა — რატომ უნდა სჭირდებოდეს ესოდენ სახელგანთქმულ ხელოვანს საკუთარი აზრის თუ პოზიციის გამოსახატავად ამგვარი შენიღბვები, უშიშრად რად ვერ უნდა ამბობდეს სათქმელს-მეთქი.

**და ეს ჩაწყვეტილი გული სიამაყით ამევსო: მისი სამშობლო რომ ისეთივე დემოკრატიული იყოს, როგორიც ჩვენია, თანაც უბრალოდ დემოკრატიული კი არა, ჩვენსავით დემოკრატიის უძურა ქვეყანა გახლდეთ და, რაც მთავარია, იძაც ჩვენებური დემოკრატიის ახალი ტალღა შხაპუნხმაურობდეს, განა რამე ექნებოდა შესანიღბავი აზრის გამოთქმისას, განა მიყურადებათვალთვალ-მოსმენა-დევნისა თუ სხვა უამრავი უკეთურობისა შეეშინდებოდა?**

...მაგრამ, მართლაც, განა დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? — ვინ გაცალა საკუთარი დემოკრატიული ქვეყნითა და ხელისუფლებით ტკბობა. თუნდაც სიზმარში!

...მეზობლის ბინაში მოქეიფეთა ხმაურით გამოღვიძებულმა ძილი ვერაფრით შევიბრუნე: რამ დამასიზმრა ეს უცნობი რობერტ ბერნსი-მეთქი, ვფიქრობდი.

მერე ვიგუმანე, რომ ეს ამ დიდებული შოტლანდიელი პოეტის შემოქმედების არანაკლებ დიდებული, თამარ ერისთავისეული თარგმანის დამსახურება იქნებოდა, წინა დღეს კიდევ ერთხელ რომ გადავიკითხე.

და უეცრად ბერნსის კიდევ ერთი ლექსის ბოლო სტროფი გამახსენდა, ჭაბუკობიდან რომ შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ლექსში ორი ძაღლის დიალოგია აღწერილი, რომლებიც ბოლოს დაასკვნიან:

**„განშორებისას იმედიანად**
**ერთმა მეორეს უთხრა**
**ხმიანად —**
**კიდევ კარგი, რომ**
**ძაღლებად გავჩნდით**
**და არ გავჩნდითო**
**ადამიანად!“**

გამახსენდა და, კიდევ ერთხელ, უკვე ცხადში შემეცოდა ბერნსი, ხან ეპიგრაფით, ხანაც ალეგორიით რომ უხდებოდა თავისი აზრისა თუ პოზიციის შენიღბვა.



აბა ჩვენსავით კი არ იყო, დემოკრატიით გალაღებულებს არავისი და არაფრის რომ არ გვეშინია, რასაც გვინდა, იმას ვამბობთ და ვაკეთებთ.

ის კი, ავტოკრატიით დაშინებული, იმას ხომ ვერ იტყოდა უალეგორიოდ — **ამ ძაღლთაპირი ხელისუფლების ხელში გაძაღლებულ ცხოვრებას ძაღლად გაჩენა მერჩიაო?!**

ამის თქმა ჩვენ შეგვიძლია, დღევანდელ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყანაში მცხოვრებთ, საამისო რამ რომ გვჭირდეს, ცხადია!

ამიტომაც ვთქვი წერილის ქვესათაურში, აუჰ, მართლაც რა ძნელი იქნებოდა-მეთქი ბერნსის დროინდელ, მეთვრამეტე საუკუნის შოტლანდიაში ცხოვრება!

**ჩვენ კი მაინც არ ვემადლიერებით ჩვენს დღევანდელ საქართველოში ჭეშმარიტი დემოკრატიის დამმკვიდრებელ და მისი დონის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით დემოკრატიის ახალი ტალღის ამგორებელ ხელისუფლებას!**

**რუსლან რუსია**

## ვარაუდი

# რამაზ საყვარელიძე:

# სამოქალაქო ომის საშიშროება არ არსებობს

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მოსალოდნელ პოლიტიკურ მოვლენებში, რომელიც ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ინციატივით 9 აპრილს უნდა დაიწყოს, სამოქალაქო ომის შესაძლებლობას ვერ ხედავს.**

**მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ რამაზ საყვარელიძე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსს“ ესაუბრა.**



**— ბატონო რამაზ, ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს. რამდენად არის ამის აუცილებლობა ქვეყანაში?**

— როგორც მახსოვს, მათი მოთხოვნა არგუმენტირებულია, ძირითადად, იმით, რომ ომში დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე, მარცხს ხელისუფლების შეცდომად მიიჩნევენ. ხელისუფლება განაგრძობს პოლიტიკას, რომელიც ქვეყანას ახალ საფრთხეებს უქმნის. დაწყებული ისეთი „წვრილმანით“, როგორიც სიმღერების ტექსტია, დამთავრებული იმით, რომ რუსეთს მმართველობაში გადაეცემა ენგურჰესი. ოპოზიციას მიაჩნია, რომ ხელისუფლება ისეთ შეცდომებს უშვებს, რომელიც არის ძველი პოლიტიკის გაგრძელება, კერძოდ ეკონომიკური კაპიტულაცია და რიტორიკულ დონეზე ურთიერთობის გამწვავება რუსეთთან, რასაც შეიძლება ისევ სამხედრო კონფლიქტი და შესაბამისი კაპიტულაცია მოჰყვეს.

**— რამეს შეცვლის ოპოზიციის და მოსახლეობის პროტესტი?**

— ხელისუფლება არ უარყოფს, რომ რუსეთს მმართველობაში გადასცა ენგურჰესი და არავინ უარყოფს „ევროვიზიაზე“ გასატან, პუტინთან დაკავშირებულ იმ ტექსტს, რომელიც არსებობს. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც თავის დროზე პრეზიდენტ გამსახურდიას გადადგომა მოითხოვეს, იყო ის, რომ რუსეთის მოთხოვნით დაშალა გვარდია. ღმერთმა ისეთი გაგრძელება ნუ გვაღირსოს, როგორც მაშინ გაგრძელდა პროტესტი. ის, რომ მოსახლეობაში სხვა ქვეყნის ინტერესების გატარების გამო არის პროტესტი, ლოგიკურია. აქ იგულისხმება, რომ ნებსით თუ უნებლიედ, ქვეყანაში ტარდება რუსეთის პოლიტიკა. რუსეთის სასარგებლო პოლიტიკაა, როცა ეს პოლიტიკა დაპირისპირებულია საქართველოს სუვერენიტეტთან და ინტერესებთან.

**— ხელისუფლება თუ არ გადადგება, რამდენად არსებობს შესაძლებლობა, რომ გამეორდეს 1991-1992 წლების მოვლენები?**

— ვფიქრობ, ეს მოსალოდნელი არ არის. იმის იმედი მაქვს, რომ მაშინდელ ტრაგიკულ დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოპოზიციის მხარეს შეიარაღებული ჯგუფების არსებობამ. ასეთი გაყოფა ძალებისა კი დღეს არ არის. ოპოზიციის მხარეს იარაღი არ ჩანს, სამოქალაქო ომის შესაძლებლობა, მე მგონი, არ არსებობს.

**მედიანიუსი**

## ინფორმაცია

# სააკაშვილი პარლამენტის წინ საქართველოს უცხოელებზე ჰყიდდა

**„ლეიბორისტებმა“ პარლამენტის წინ თეატრალიზებული საპროტესტო აქცია გამართეს.**

პარლამენტთან პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, სადაც სახელდახელო დახლზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ნიღბიანმა მოვაჭრემ საქართველოს სტრატეგიული ობიექტები და ქვეყნის ტერიტორიები ჩინურ, არაბულ, რუსულ და ინდურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ე.წ ინვესტორებს ფასდაკლებით მიჰყიდა.

სანახაობის ბოლოს კი, ქართველმა ახალგაზრდებმა საქართველოს გაყიდული ობიექტების დაბრუნება შეძლეს.

როგორც „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელმა დავით გაგუამ განაცხადა, მსგავსი აქციები პერმანენტულად გაიმართება, რათა ქართველი ერი გაერთიანდეს, დაიბრუნონ გაყიდულ-წართმეული ტერიტორიები თუ სტრატეგიული ობიექტები, შეცვალონ არსებული ხელისუფლება.

**ინტერპრესნიუსი**

## მოლოდინი

# არადა, ქვეყანა ნელ-ნელა თავზე გვენგრევა...

**მარტიც დადგა და პოლიტიკურ პარტიებს ისევ ძარღვში სისხლი აუდუღდათ. ამ დღეებში ოპოზიციურ პარტიათა საპროტესტო აქციებია დაგეგმილი — მოთხოვნა უცვლელი რჩება, გმირები კი დროის შესაბამისად იცვლებიან. ერთ დროს რომ ედუარდის გადადგომას ითხოვდნენ, მიშა მოვიდეს ხელისუფლებაშიო, დღეს დიდი სიყვარულით არჩეულ მიშას უყვირიან — წადიო! სწორედ ის ხალხია უკმაყოფილო მიშას „შემოქმედებით“, ვინც ერთ დროს მისი მარჯვენა ხელი იყო.**

ასეთები ბევრნი არიან. მოთხოვნა საფუძვლიანია, რადგან უზმარმაზარი იმედი და დაპირება ჩვენმა ხელისუფლებამ „მტკვარს“ გააყოლა.

ჯანდაბას დაპირება, იმედი და ა. შ. მაგრამ 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე და ტერიტორიული მთლიანობისათვის შეწირულ სიცოცხლეებზე ვინ აგებს პასუხს? ხელისუფალნი სულიერად და მორალურად განადგურებულ ჯარისკაცის დედას ორდენს ან მედალს გადასცემენ და ამით მორჩა!..

დასანანია, რომ ჩვენი პატარა საქართველო დიდ ხათაბალაშია გახვეული; თავის დასაღწევად კი დიდი ძალისხმევაა საჭირო. ამასობაში მოახლოვდა 15 მარტიც — მორიგი საპროტესტო აქცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „გადასაგდებად“ მერე კი 9 აპრილია. მოვლენების განვითარება მრავალ საინტერესოს და მოულოდნელს გვპირდება. არადა, ამასობაში ქვეყანა ნელ-ნელა თავზე გვენგრევა.

**ანა კვარაცხელია**

**P.S. თუ გვეშველა და გადადგა, მიშა მაინც დიდხანს შეგვახსენებს თავს მოცეკვავე შადრევნებითა და უგემოვნოდ შეღებილი ფასადებით.**

**ა. კ.**

ხედვა ოკეანის გაღმიდან

# მარკ ურნოვი: პუტინის პოლიტიკა აშშ-ის პოლიტიკის კარიკატურაა...



## ინტერვიუ ცნობილ პოლიტოლოგსა და სოციოლოგთან

**— ბატონო მარკ, დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებთ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობას? რა შეიცვალა აგვისტოს შემდეგ?**

— რუსეთის მიმართ დასავლეთის ნდობა მინიმუმადე დავიდა. რასაკვირველია, დასავლეთი რუსულ გაზსა და ნავთობს კვლავაც იყიდის, მაგრამ მის მიმართ ნეგატიური იმპულსები თანდათან გაძლიერდება და რუსეთი ცივილიზებული სამყაროს პერიფერიაზე აღმოჩნდება. ამის გარდა ვკარგავთ იმ ქვეყნების ნდობას, რომლებიც ადრე სსრკ-ში შედიოდნენ. ისინი ისე აშკარად არ გამოხატავენ თავის დამოკიდებულებას, როგორც ამას საქართველო აკეთებდა, მაგრამ უკვე ცდილობენ, თუმცა შეუმჩნევლად, თავის უსაფრთხოებაზე იზრუნონ, მოახდინონ კონტაქტების დივერსიფიცირება და რუსეთიდან მომავალი პოლიტიკური რისკების მინიმალიზაცია. ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ მოიქცევა ჩინეთი, რომელიც ამ კრიზისში ყველაზე მომგებიანი მხარე გახდა: თუ რუსეთი პერიფერიაზე აღმოჩნდება, ჩინეთი რუსეთზე ზემოქმედების უფრო მეტ შესაძლებლობებს მიიღებს. მე თავიდანვე ვთქვი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა გაბედავს. თუ სირია და იორდანია ამას გააკეთებენ, მხოლოდ იმისთვის, რომ მოხდეს პალესტინასთან საშიში თამაშების ლეგალიზება. ავღანეთის საკითხიც ძალიან საშიშია რუსეთისთვის, რადგანაც ავღანეთში დასავლური პოზიციების ნებისმიერი შესუსტება ტაჯიკეთში თალიბანს გააჩენს, ხოლო ჩვენს სამხრეთ საზღვრებს ისლამური ექსტრემიზმი მიუახლოვდება და დესტაბილიზაციას გამოიწვევს. ნატო მაინც დაეხმარება საქართველოს, რუსეთი კი ამაზე საომარი დანახარჯების გაზრდით უპასუხებს. ცხადია, რომ არასტაბილურობა რუსულ- ქართულ საზღვარზე ასე თუ ისე გაგრძელდება და იგი კავკასიაში მთლიანი დესტაბილიზაციის გამომწვევი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო მეტ და მეტ თანხას სამოქალაქო სექტორიდან სამხედრო პროგრამებზე გადავანაცვლებთ და ფული შეიარაღების უძირო ორმოში ჩაიყრება. ეს კი რუსეთს დასავლეთსა და ჩინეთთან მიმართებაში არანაირ სტრატეგიულ უპირატესობას არ მისცემს. ეს ქვეყნები ტექნიკით ერთი თავით ისედაც გვჯობნიან. რუსეთში ტენდენციაა მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისკენ, უარესდება ჯანდაცვა, ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რაოდენობა მატულობს. რუსეთი ცუდ თამაშს თამაშობს, ცუდი სცენარით მოქმედებს და შორეულ პერსპექტივაში თავადვე დაზარალდება.

**— აგვისტოს ომის დროს რუსულმა „სევერსტალმა“ ამერიკული მსხვილი ინდუსტრიული კომპანიები შეისყიდა.**

— მე არ ვამბობ, რომ ერთი ხელის მოსმით ყველაფერი შეწყდება. რასაკვირველია, ტვირთბრუნვა გაგრძელდება. ეს ომი რომ არა, რუსეთის სავაჭრო კონტაქტები უფრო მეტი იქნებოდა. დღეს კი სერიოზული ინვესტორები რუსეთიდან მიდიან, სპეკულანტები კი რჩებიან. ეს დიდი პრობლემაა, რომელიც ახლო მომავალში არა, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში აუცილებლად გამოიხატება. რუსეთმა თავისი თავი სუპერარახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენ ჩვენი პოლიტიმიჯი საბოლოოდ გავაფუჭეთ. პუტინის პოლიტიკა აშშ-ის პოლიტიკის კარიკატურაა, მაგრამ გაცილებით ნაკლები შესაძლებლობებითა და პოლიტიკური გავლენით. რუსეთი ამერიკას ეუბნება: ჩვენ ისევე მოვიქცევით, როგორადაც — თქვენ. თანაც კარგ მაგალითს კი არ გადავიღებთ, არამედ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ყველაზე სუსტ და ნეგატიურ ასპექტებსო. სამწუხაროდ, რუსეთში ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიტელიტასა და საზოგადოებრივ აზრს შორის სრული კონსენსუსია. კრემლს ჰგონია, რომ იგი თავის პოზიციებს ძალიან მალე აღიდგენს.

**— საქართველოში შეჭრის რუსულ საომარ გეგმას როგორ შეაფასებდით?**

— მე არ ვთვლი, რომ ეს საომარი გეგმა კარგად გათვლილი სტრატეგია იყო, თუ ვიმსჯელებთ მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების მიხედვით. რუსეთი ომის დროს და მანამდეც „უცნაურად“ იქცეოდა, თავად უბიძგებდა საქართველოს ომისკენ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთში ჯარების შეყვანა საქართველოს აბსოლუტურად გაუმართლებელი შეცდომა იყო. რუსეთს კი საქართველოში ჯარების შეყვანისას, ბოლოს და ბოლოს, თავისი მანდატი შეეძლო გამოეყენებინა, სოფლებიდან ქართული ძალები გამოეძევებინა და მერე მოლაპარაკებები დაეწყო. მაშინ რუსეთს მსოფლიო თანამეგობრობის თვალში ოდნავ მაინც ნორმალური იმიჯი ექნებოდა.

რუსეთის მიერ კოსოვოსთან დაკავშირებით გაკეთებული ყველა განცხადების შემდეგ, როცა კრემლი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ყოველნაირად იცავდა, ასევე „უცნაურია“ ამტკიცო, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე გამოყოფის უფლება აქვთ. კავკასია რუსეთს ვერ გაშორდება, ეს პრობლემები არსად წავა, სხვა განწყობები შეიქმნება, მაგრამ ძველი პრობლემები რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ამოყოფს თავს, მაგალითად, აღმოსავლეთ ციმბირში, რომლის ეთნიკური შემადგენლობა სულ უფრო და უფრო ჩინეთზეა ორიენტირებული. არ გამოვრიცხავ, რომ რადგანაც რუსეთში რუსული ნაციონალიზმის ძლიერი აფეთქებაა, მალე ჩვენს სეპარატისტულ ანკლავებში სეპარატისტული განწყობების აღმავლობა დაიწყება. საქართველოს ორი ავტონომიური რესპუბლიკის ცნობა სამომავლოდ სეპარატისტულ განწყობებს კვლავ გაამძაფრებს. მე ადრეც ვამბობდი, რომ რუსეთისთვის სეპარატისტების მხარდაჭერა დამღუპველი იქნება, ხოლო ერთადერთი შესაძლო პოზიცია ჩვენთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ცნობა გახლდათ, რაც საქართველოს მთავრობასთან მშვიდობიან მოლაპარაკებებსა და საქართველოს სუვერენიტეტის მშვიდ აღდგენას მოიცავდა. როგორც ხედავთ, ყველაფერი პირიქით გამოვიდა.



**— საქართველოსთვის რამდენად რეალურია დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება?**

— პოლიტიკაში არასოდეს არ უნდა თქვა „არასოდეს“, მაგრამ პერსპექტივაში თქვენი შანსები ნულის ტოლია. რუსული დომინირება ცხადია, აფხაზეთში ქართველები აღარ ცხოვრობენ, სამხრეთ ოსეთს კი საქართველოსკენ გახედვა არ უნდა, ხოლო დასავლეთი რუსეთს არასოდეს არანაირ სანქციას არ დაუწესებს, „დიდი რვიანიდან“ არ გამოაგდებს. კიდევაც რომ ასე მოხდეს, ანექსირებული ტერიტორიებიდან რუსეთი თავის ჯარებს არ გამოიყვანს. უახლოესი წლების განმავლობაში საერთოდ დაივიწყეთ ამის შესახებ. საქართველო კი დარჩენილი ტერიტორიის ფარგლებში განვითარებული ქვეყნების დახმარებით ეკონომიკას ააღორძინებს და შესაძლოა აფხაზეთმა თავისი სეპარატიზმის გამო სინანულიც კი შეიძლება გამოხატოს. სამხრეთ ოსეთი კი კვლავწარმოებადი ეკონომიკური ჩირქგროვა გახდება.

**— 2008-ის ზაფხულში რუსეთმა თავისი ტერიტორიები ჩინეთს რომ დაუთმო, ესეც ცნობილია. როგორია რუსეთის „მოწიწება“ პეკინისადმი?**

— რუსული პოლიტიკა თანამიმდევრობასაა მოკლებული. რუსეთს არა აქვს პოლიტიკური ხაზი, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ უფსკრულისკენ მიექანება. რუსეთმა იცის, რომ ჩინეთი გიგანტური სუპერქვეყანაა და ფიქრობს, რომ ჯობს მასთან ტერიტორიული პრობლემები არ ჰქონდეს. კრემლი თვლის, რომ იგი ამ პრობლემების გადაწყვეტას კუნძულების დათმობის გზით შესძლებს. მაგრამ ბევრი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს განიხილავს ჩინეთის ტერიტორიად, რომელიც მას რუსეთმა მაშინ წაართვა, როცა ჩინეთი სუსტი იყო. რუსეთს დათმობებზე წასვლა მხოლოდ ამგვარი დიდი ქვეყნის ჩრდილქვეშ შეუძლია. კრემლს კარგად არ ესმის, რომ ჩინეთიც საშიშროებაა, რომელსაც რუსეთი ქრონიკულად ჯეროვნად არასოდეს აფასებდა და ფიქრობს, რომ ჩინეთს დასავლეთის წინააღმდეგ თავის პარტნიორად გაიხდის. სინამდვილეში კი არანაირი პერსპექტივა არ არსებობს იმისა, რომ ჩინეთი ოდესმე ჩვენს „უმცროს ძმად“ გადაიქცეს. საქართველოს კი მიწა იმიტომ ჩამოართვეს, რომ იგი შეუდარებლად სუსტია, ვიდრე რუსეთი და მით უმეტეს, ჩინეთი. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული კერძო კაპიტალის მნიშვნელოვანი თანხებია ჩადებული, და, ბუნებრივია, ეს ფული ამ რესპუბლიკების აღიარების პროცესს ლობირებდა. საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი არა იურიდიული, არამედ ინტერესების ლოგიკით მსჯელობს. ეს გზა კი წინააღმდეგობრივი და არათანამიმდევრულია.

**— რუსეთი აცხადებს, რომ მას ნატო არ სჭირდება, არადა რაგოზინი თავისი მოვალეობის შესრულებას დღესვე სიხარულით შეუდგებოდა.**

— რუსეთში დღესდღეობით ანტიდასავლურად ორიენტირებული, იზოლაციონისტური ჯგუფები იმარჯვებენ. მათთვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) რუსეთის შესვლა სერიოზულ დანაკარგებს ნიშნავს.

იხ. 4 გვ.

განსჯა

# სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ სარჩელს წარადგენს



**სახალხო დამცველი საკონსტიტუციო სარჩელით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვს არაკონსტიტუციურად ცნოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვა: „მე-6“.**

კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 23 ოქტომბერს მიიღო. **კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში** აღნიშნულია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა ვრცელდება 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მოგვიანებით, 2008 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსს დაამატა 332-ე || პრიმა მუხლი, რომლის შემოღებით ისჯება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება და პასუხისმგებლობა ეკისრებათ 1990 წლიდან დაწყებული საქმიანობის გამო **არა მხოლოდ საქმიანობის განმხორციელებლებს, არამედ მათთან დაკავშირებულ პირებსაც**.

შესაბამისად, სადავო ნორმა ვრცელდება 1990 წლიდან განხორციელებულ საქმიანობაზე და პასუხისმგებლობას აკისრებს დაკავშირებულ პირებსაც. ანუ სისხლის სამართლის კანონს ენიჭება უკუქმედითი ძალა, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტს — „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს, ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“

სახალხო დამცველი მოითხოვს არაკონსტიტუციურად ცნოს სადავო აქტის ის ნაწილი, რომელსაც უკუმოქმედების ძალას ანიჭებს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს და როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო, ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

**ნატა ნიბლაძე**

ხედვა ოკეანის გაღმიდან

(მესამე გვერდიდან)

# მარკ ურნოვი: პუტინის პოლიტიკა აშშ-ის პოლიტიკის კარიკატურაა...

ეს გახლავთ მზანაწარმის მწარმოებლები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი არ არიან, არც რუსული სოფლის მეურნეობის პროდუქტია კონკურენტუნარიანი და, ბუნებრივია, ისინი რუსეთის WTO-ში გაწევრებას მაქსიმალურად დაამუხრუჭებენ. რუსეთი ნატოსთვის პოტენციური საშიშროების წყაროს არ წარმოადგენს და მასთან პარტნიორობის შეწყვეტა ნატოსთვის ალბათ არა, მაგრამ ჩვენთვის კი დიდი დანაკარგია. რადგან ამით რუსეთის ჯარის მოდერნიზაციის შანსი მცირდება. არადა, ნატოსთან ასეთი თანამშრომლობა ამის კარგი საშუალება იყო. იგი თანამედროვე ჯარის ორგანიზების ცოდნასაც იძლეოდა. ახლა კი დავრჩით ჩვენი მოძველებული ხედვით იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს არმია. რუსულ სამხედრო ინდუსტრიას აქვს უზარმაზარი კაპიტალდაბანდებები, რომელიც სამამულო ტექნიკითაა გამყარებული, მაგრამ ის ძალიან შორსაა პროფესიული არმიისაგან, ხოლო ქვეყანაში, სადაც დემოგრაფიული კრიზისია, ვინ წავა ჯარში, ომში? პროფესიული ჯარისთვის საჭიროა იმ აზროვნების, ფსიქოლოგიის, მენტალობის შეცვლა, რომელიც რუს გენერლებსა და ოფიცრებს აქვთ. ნატოს მოშორებით ჩვენსავე თავს ვავნეთ, როცა ევოლუციას ჩამორჩენა ვამჯობინეთ და ქვეყანა მარგინალური არსებობისთვის გავწირეთ, რაც საბოლოოდ ქვეყნის დაშლით შეიძლება დასრულდეს.

**— ბოლო დროს ხშირად გაისმის ტერმინი „რუსეთის ფეოდალიზაცია“. რუსეთში ნამდვილად მონათმფლობელობის შემდგომი ფორმაციაა?**

— მე პირადად არ მიყვარს ხმამაღალი და ზოგადი ტერმინები. დიახ, რუსეთში იქმნება ეკონომიკა, სადაც მსხვილი სახელმწიფო კორპორაციები დომინირებენ, ამიტომ ინტენსიური კონკურენცია არაა, ეს კი არაეფექტიან პოლიტიკაზე მიუთითებს. რუსეთი სანავთობო ქირით ცხოვრობს, მაგრამ როცა ნავთობი შემცირდება, ახლანდელზე ძლიერი ეკონომიკური კრიზისი შემოგვიტევს. რუსეთის ეკონომიკური ბაზა მორალურად და ფიზიკურადაც მოძველებულია: ცუდი გზები, სამუშაო ძალის დეფიციტი, სამუშაო ხელებისა და ტვინების გაქცევა, რასაც, ასე თუ ისე, ნავთობზე მაღალი ფასები აკომპენსირებდა. დადგება დრო, როცა ეს კომპენსატორული ეფექტი საბოლოოდ ამოიწურება. მით უმეტეს, როცა ბიუჯეტის დეფიციტია, ხოლო ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდა არადამაკმაყოფილებელია. ისტორია არ მეორდება. ჩვენ ახლა განსხვავებული სიტუაცია გვაქვს. მე ამას ნამდვილად არ ვუწოდებდი ლამაზ სახელს „ფეოდალიზმი“. საქართველოს ნაწილის დაპყრობის შემდგომ რუსეთი მარტო დარჩა, მას მეგობრები არ ჰყავს, ჩვენ არ გვენდობიან და მაინც ჯიუტად ვიმეორებთ, რომ სწორედ ვმოქმედებდით.



**— რა იყო საქართველოს მთავარი შეცდომა?**

— საქართველოს მთავარი შეცდომა გახლდათ რუსეთის აგრესიაზე მოუფიქრებელი პასუხი. შედეგები პროგნოზირებული არ იყო. საქართველოს ეგონა, რომ აშშ და ნატო უფრო მკაცრად გამოვიდოდა, თვლიდა, რომ რუსეთი არ გაბედავს ასეთ უხეშ ქმედებას. როცა აშშ საქართველოსთან კავშირს ამყარებდა, ამერიკას მკვეთრად უნდა შემოეხაზა ის ჩარჩო, რომლის ფარგლებში აშშ საქართველოსთვის მხარდასაჭერად იყო მზად. ყველაფერი რაც მოხდა, ჩემი აზრით, არის დასავლეთისგან საქართველოს აუხდენელი მოლოდინების ეფექტი. როცა ნატოს წევრმა ქვეყნებმა საქართველოს აპრილში „მეპი“ არ მისცეს, რუსეთი მიხვდა, რომ საქართველოს არარავინ დაიცავდა. ნატოს წევრ ქვეყნებს სიტუაცია ადეკვატურად რომ შეეფასებინათ, არ იქნებოდა სამხრეთ ოსეთის ომი და სიტუაცია დარჩებოდა ისეთად, როგორიც იგი მანამდე იყო. რასაკვირველია, კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო...

**— ანუ თვლით, რომ ქვეყნის პრეზიდენტს ქურთას, ტყვიავის, თამარაშენის დაბომბვაზე პასუხი არ უნდა გაეცა და ისე მოქცეულიყო, თითქოს იქ საქართველოს მოქალაქეები არ ცხოვრობენ, ხოლო რადგანაც ქურთა თბილისი არაა, ამიტომ მისთვის ხელის გამოღებაც არ ღირდა?**

— სააკაშვილს პოლიტიკური მეთოდებით უნდა ემოქმედა, გამოსულიყო უცხოელი დამკვირვებლების მოწვევის მოთხოვნით, მაგრამ პოლიტიკური თამაში თავიდანვე გამორიცხა, რადგან საქართველომ რუსეთს სამხედრო პასუხი გასცა, რაც იმთავითვე წაგებას ნიშნავდა. რასაც თქვენ ამბობთ, ეს ემოციური კომპონენტია, რომელიც ოზივატელისთვის დასაშვები სისუსტეა, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას ყველაფერი აწონ-დაწონილი უნდა იყოს, რეაქტიულად მოქმედება არ შეიძლება.

**— ევროპელი დამკვირვებლები კი არა, პრეზიდენტები ომის დაწყებიდან მეხუთე დღეს ჩამოვიდნენ... მერკელი, საერთოდ მეათე დღეს გამოჩნდა ...**

— ამას ჩვენს ენაზე თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა ჰქვია. იგი ასეთია, იმიტომ, რომ თამაშის წესებია ასეთი. წესები უპრინციპოა, მაგრამ მოგწონთ თუ არა მოგწონთ — ასეთია. ეს უნდა გაიგოთ! აშშ მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას უჭერდა, მაგრამ ჩეჩნეთის გამოყოფაზე და დანგრევაზე ხმა არ ამოუღია. მსოფლიო ძალიან მოწყვლადი და საშიში ადგილი ხდება. მე კარგად მესმის თქვენი, მაგრამ ესეც უნდა გაიგოთ — საქართველოს ნებისმიერი საომარი მოქმედება წარუმატებლობისთვის იყო განწირული. საქართველომ იცოდა რუსული არმიის როკის გვირაბთან კონცენტრირების შესახებ. მიუხედავად ამისა, მან იმოქმედა ისე, როგორადაც იმოქმედა. რუსეთს ნავთობისგან ასეთი პატარა ომებისთვის ყოველთვის ექნება ფული. ოპოზიცია რუსეთში სუსტი და ძლიერ დანაწევრებულია და მას საზოგადოებრივ აზრზე და პოლიტინსტიტუტებზე არანაირი გავლენა არა აქვს. ის დისიდენტურ მოძრაობას ჰგავს, როცა ვიღაცა რაღაცას ამბობდა, მაგრამ ეს პოლიტიკაზე არანაირად აისახებოდა. თუმცა უკრაინას შეიძლება ის ველარ გაუბედონ, რაც — საქართველოს. თუ მოხდა სასწაული და მედვედევმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება უკან წაიღო, ამისგან ყველა მოიგებს. რუსეთ-საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში იმდენი ნეგატიური პოტენციალი დაგროვდა, რომ ეს ომი გარდუვალი იყო. მაგრამ ისიც იცოდეთ: მომავალშიც თქვენს გამო რუსეთს არავინ დაუპირისპირდება. დიახ, თბილისი არ დაუბომბიათ. მაგრამ რუსეთი ამაზე არც წავიდოდა, რადგანაც ეს კონფლიქტს უკვე აბსოლუტურად სხვა ხარისხში გადაიტანდა.

**— არსებობს რუსი ძალოვნებისა და ეკონომიკური თუ პოლიტელიტის საბანკო ანგარიშები აშშ-ში, რაც „ცოტა“ უცნაურია. თვლით, რომ ეს ზემოქმედების ბერკეტი სათვალავიდან ამოსაღებია?**

— მართალი ხართ. რუსების ანგარიშები ამერიკაში — ეს ყოფიერების უცნაურობაა. ყველამ ისიც იცის, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ამ ანგარიშებს არაფერი მოუვათ, რადგან ამერიკა კანონის ქვეყანაა და არავინ დაარღვევს მესაკუთრის უფლებებს (მას საერთაშორისო სამართალიც იცავს ისე, როგორადაც ეს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ხდება. რუსეთი ტანკებით საქართველოში კი არა, ევროპაშიც რომ შესულიყო, არავინ დააყადაღებდა ამერიკაში მათ ანგარიშებს. თუ, რასაკვირველია, თავად რუსები ამერიკაში კანონს მასობრივად არ დაარღვევენ.

**— ახლა სხვა ხარისხის „მეგობრობაა“ რუსეთსა და ირანს შორის.**

— სტრატეგიული თვალსაზრისით ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაცივება ირანისთვის თავისუფლად მანევრირების უფლების მიცემას ნიშნავს. რამდენიმე თვის წინათ კი ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ ატომური ხელსაწყოების დემონტაჟის შეჩერებას აპირებს. კონფლიქტი დასავლეთსა და ირანს შორის განახლდება და ეს ატომური იარაღის გავრცელებას დამატებით ბიძგს მისცემს. ეს კი ისეთი სამარადისო ნაღმი იქნება, რომ ახლა ამაზე საუბარიც კი არ მინდა. თუ ავღანეთში თალიბების პოზიცია გაძლიერდება და ისინი ტაჯიკეთსა და პაკისტანში გადავლენ, უნდა გაიხსენოთ, რომ პაკისტანს ატომური იარაღი აქვს! ცხადზე ცხადია, რომ ძალიან ცუდ პერიოდში შევდივართ. აგვისტოს ომის დროს საშუალო სტატისტიკური რუსი მთავრობას მხარს უჭერდა და საზოგადოება ამ მხრივ კონსოლიდირებული იყო, თანაც მედიაც „კარგად“ მუშაობდა. ვინმე სხვა რამეს თუ ელოდა, მაშინ იგი უსაზღვროდ რომანტიკოსი ყოფილა. პრაღაში 1968 წელს საბჭოთა ჯარების შეჭრის 40 წლისთავზე მოსკოვში წითელ მოედანზე პიკეტზე 40-მდე ადამიანი გამოვიდა, ხუთი წუთი იდგნენ და დაიშალნენ. 40 წლის წინათ, როცა იმავე ადგილას 7 დისიდენტი დადგა, ისინი დაიჭირეს, ციხეში ან ფსიქიატრიულში მოათავსეს. თანამედროვე პროტესტანტებს მხოლოდ სხვადასხვა ადმინისტრაციული სასჯელი „გამოუწერეს“. ხომ ხედავთ რა პროგრესიის მოწმენი ვართ?..

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საქ. კორ.**
**ნიუ-იორკი-მოსკოვი**

სწორი ნაბიჯი

# კაცი თავის ადგილზე

## ანზორ ერქომაიშვილმა პარლამენტი დატოვა და „თავის საქმეს“ დაუბრუნდა

**ისე არავის „გაპარლამენტარება“ არ გაჰკვირვებია ქართველ ხალხს, როგორც ანზორ ერქომაიშვილისა. თან მორიდებით, თან საყვედურით, ზოგმა ეს თქვა, ზოგმა ის თქვა... ეგ, მაინც ვერ გაძლებს იქო... ისე ყველაფერი კარგად აგვიხდეს: ანზორ ერქომაიშვილმა პარლამენტი დატოვა და, თავის ღვთით ბოძებულ საქმეს, შეიძლება ითქვას, ერთიანად დაუბრუნდა. ქართულ ფოლკლორს ხომ მეტი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება, ქართული ფოლკლორი ხომ მეტად და მეტად უნდა შევაყვაროთ მომავალ თაობას. ქვეყანამ იცის, ბატონი ანზორი ამ საქმეს გადაყოლილი კაცია და, რაღა თქმა უნდა, აწი უფრო მიხედავს ყოველივეს. მით უფრო, რომ იგი ქართული ფოლკლორის ბავშვთა სასახლეს უხელმძღვანელებს და მეტ ელფერს შესძენს იქაურობას.**

**შენი გვჯეროდა, შენი გვჯერა, ჩვენო ანზორ! მაშ, შენს „ნამდვილ“ საქმეს კვლავაც დაგილოცავთ!**

**ვილენ მარდალეიშვილი.**

ეკლიკა

# მამ შეხვედრებს კაი პირი უჩანს?..

**ზარზანდელი აგვისტოს მერე, სახელმწიფო სირცხვილისა და პირადი სირცხვილის ჭამის მერე ერთხანს, თუ გახსოვთ, მიეფარასავით თვალს — ყოველ შემთხვევაში იმდენს აღარ დაჭენაობდა შინ და გარეთ (საზღვარგარეთ!).**

ახლა, როგორც ეტყობა, სირცხვილნაჭამობის „საინკუბაციო“ პერიოდს ჩავლილად თვლის და მოუხშირა შინ სხვადასხვა კონტინგენტთან შეხვედრებსაც და უცხოურ ვოიაჟებსაც. უთუოდ რაღაც ჩაიფიქრა, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული.

ოღონდ აქ სხვა რამეზე მინდა მახვილის დასმა: როგორ ხვდებიან ასეთ „ნაავვისტოვარ“ პრეზიდენტს. შემირცხვენია, ჩემდათავად, ის პედაგოგები თუ სტუდენტები თუ ვაგონშემკეთებლები და სხვანი და სხვანი, ასე უჩუმრად, უპროტესტოდ, შეცინცინებით რომ დაუსხდებიან ან დაუდგებიან ამგვარ „ბელადს“ და ტაშსაც დაუკრავენ. არა, განა „ბატინკის“ სროლისაკენ მოვუწოდებ ვინმეს — შემირცხვენია და მეტი არაფერი...

სხვათა შორის, ის ბარსელონელი ფეხბურთელებიც ვერ გამიმართლებია. მაღალ სტუმარს ნახევარწრედ რომ შემოერტყნენ და ბურთი აკენწლინეს... იმ მაღალი სტუმრის უბედურ ქვეყანასა თუ ხალხს სწორედ რომ საკენწლაოდ აქვთ საქმე...

**რამაზ ეკალაძე.**

ხმა ერის გასაგონად

# „სიტყვით სულ სხვა ხართ, საქმით სხვა“

## სპექტაკლის საზოგადოების ტრაგი-კომედია

ამ ბოლო დროს ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ პროტესტის საინტერესო ფორმა გამონახა. საქართველოს ხელისუფლებამ გამაოგნებელი, შაჰ-აბაზსაც რომ შეშურდებოდა, ისეთი ბრძანება გამოსცა ვაზის აჩეხვის შესახებ. კონსერვატორებმა, ეგრე არ უნდა ქართული სულიერების სიმბოლოს – ვაზის შეურაცხყოფაო და ამის საპირისპიროდ ღვინის ჩამოსხმა დაიწყეს. მათი აზრით, ხელისუფლებას მწარე სილა გააწნეს. კვლავ გათამაშდა სცენა! ერთ-ერთ რესტორანში (თუ არ ვცდები „ფაიტონში“ძ იწურებოდა ყურძენი და ყურძნის წვენი ისხმებოდა... მოწვეულ სტუმრებს, რომელთა შორისაც უცხოელი ელჩებიც იყვნენ, შინდისფერ ჩოხაში გამოწყობილი და თეთრყაბალახმოგდებული ზვიად ძიძიგური მასპინძლობდა, რომელსაც ერთობ შვენოდა ქართული სამოსი და იმერული აზნაურის მიხვრა-მოხვრა. მავანი კვლავაც იკითხავს, რა არის აქ მიუღებელიო. არც არაფერი, ბატონო! მაგრამ ამგვარი სცენები, საკუთარი თავის წარმოსაჩენად რომ არის გამიზნული, პროტესტის მოკრძალებული ექოც არ არის. მთავარი მაინც ის არის, რომ იგი ერთგვარ კარგად ცხოვრების ილუზიას უძლიერებს ისედაც მთვლემარე საზოგადოებას და არსებული რეჟიმის წისქვილზე ასხამს წყალს. ქართული ანდაზა გაგეგონებათ: პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ბიჭ-ბუჭა ხელისუფლების ქვეყნის დანგრევის ერთი იარაღიც პროფესიულობის უგულებელყოფაა. ვგონებ, ოპოზიციაც ეხმარება მათ ამ ბნელ საქმეში. რა ხდება: მეღვინეები პოლიტიკოსობენ, პოლიტიკოსები კი მეღვინეობას ჩემულობენ! პოლიტიკოსები მსახიობობენ, მთავარ როლებს ირგებენ, მსახიობები კი პოლიტიკოსობას იჩემებენ, პოლიტიკური ბრძოლის წარმართვა სწადიათ; პოლიტიკოსები ჟურნალისტობით იწონებენ თავს, ჟურნალისტები კი პოლიტიკოსების მანტიას ირგებენ; ფუნქციებს ცვლიან, წამყვანებად გვევლინებიან პოლიტიკოსები (მაგ. კ. დავითაშვილი, ლ. გაჩეჩილაძე და ა.შ.ძ, ხოლო რესპონდენტებად – ცნობილი ჟურნალისტები (მაგ. ინგა გრიგოლია, ე. კიწმარიშვილი და ა.შ.ძ. რა ხდება?! ეს ხომ კარნავალია, სალაღობოდ გამართული შოუები და საბოლოოდ, სხვა არაფერია, თუ არა მიშას რეჟისორობით (თუმანიშვილი არ გეგონოთ!ძ დადგმული დიდი სპექტაკლის შემავსებელი სცენები! უფრო მართებულად, „ლაღი ცხოვრების“ წარმოჩენის ანტურაჟი. ვცდილობ, მაგრამ ვერ და ვერ გამიგია, ვინ უფრო „მაგარი“ ოინბაზი და ილუზიონისტია, მიშა, თუ ჩვენი ე. წ. ოპოზიციის „რჩეულნი“?! ამას თავად მკითხველმა გასცეს პასუხი.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ არ შემიძლია, მოკლედ არ შევეხო ამ ბოლო ხანს ყბადაღებულ თემას „საკანი №5“, რომელმაც ქართველი საზოგადოების აზრის სხვადასხვაობა გამოიწვია: დიდ ნაწილს მოსწონს, მცირეს – არა!

ვგონებ, სადაო არ არის, რომ ჩვენ წინ დადგმული შოუ-სპექტაკლია, რომლის წამყვანად და მთავარი როლის შემსრულებლად გვევლინება გიორგი გაჩეჩილაძე. როგორც ირკვევა, იგი ამ სპექტაკლის არა მხოლოდ წამყვანია, არამედ მისი შემოქმედი, დამდგმელი რეჟისორი, მუსიკის შემქმნელი და სულის ჩამდგმელიც. მოკლედ, ეს წარმოდგენა მთლიანად ეფუძნება გაჩეჩილაძის პოეტურ და მუსიკალურ შემოქმედებას და პოლიტიკურ თვალთახედვებს. მეტიც შეიძლება ითქვას, მისი სამოსის ე. ი. გარდერობის ჩვენებასაც ემსახურება!

რა არის ამ სპექტაკლის მიზანი და არსი?! როგორც თავად გაჩეჩილაძე გვაუწყებს, ეს გახლავთ ერთადერთი სარკმელი, საიდანაც სინათლის სხივი გამოსჭვივის და ბნელში მოარულ ქართველთა სწორი გზის მაჩვენებელია. მას აქვს მეტაფორული გააზრებაც: დღეს მთელი საქართველო ერთ დიდ საპყრობილედ ქცეულა, სადაც ადამიანს თავისუფლად სუნთქვაც კი უძნელდება. იმავდროულად, იბადება ახალი გმირი, რომელმაც თავისი ნებით აღიკვეთა თავისუფლება, საკანში გამოიკეტა და გვარწმუნებს, რომ მანამდე არ დატოვებს საკანს, ვიდრე მ.სააკაშვილი არ გადადგება. ერთი სიტყვით, თვითგვემას მიეცა და წამებულის ეკლიანი გვირგვინი დაიდგა თავზე. გარდა ამისა, გ.გაჩეჩილაძემ არ დაგვიმალა, თუ უნებურად დასცდა საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვის ერთი მიზეზიც: მას სურს, გაფანტოს ის მოარული „ჭორი“, რომელიც მას და მის ძმას ლევან გაჩეჩილაძეს აუგორეს, თითქოს ისინი ხალხის ზურგს უკან მ.სააკაშვილთან „საიდუმლო სეროზას“ მართავდნენ.

ერთობ საყურადღებო მაინც ის არის, რომ ჩვენი საზოგადოების დიდზე დიდი ნაწილი ჩაერთო ამ სპექტაკლში და ხშირად თავად წარმოჩინდება აქტიორის როლში, სიმართლისთვის რომ იღვწის. ასეთ ვითარებაში იშლება ზღვარი სცენასა და პარტერს შორის, მსახიობი და მაყურებელი ურთიერთს ერწყმის და ერთგვარი განცდა ეუფლება ორივეს. ახლა იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი კარგა ხანია სპექტაკლით აღძრულ ილუზიაშია ჩაფლული, მაშინ გასაგებია, რაოდენ მოწყვეტილია იგი რეალობას და სინამდვილეს. ასე რომ, „საკანი №5“ კიდევ ერთი ხაფანგია ადამიანთა წარმოსახვით სამყაროში გასაბმელად. ამიტომაც იგი, როგორც პოლიტიკური სპექტაკლი, მოჩვენებითი ვირტუალური ბრძოლის სურათს ქმნის და, ამდენად, უარყოფით მოვლენად უნდა განვიხილოთ.

ახლა უფრო კონკრეტულად შოუს თაობაზე...

„თვითგვემას“ მიცემული გმირი კარგად მოწყობილ საკანში ზის, გვიკითხავს საკუთარ ლექსებს, რომლებშიც ძალზე ძნელია ჭეშმარიტი პოეზიის მარცვალი აღმოაჩინოთ. გვიჩვენებენ მის კლიპებს, რომელთა შორისაც არის უდავოდ ნიჭიერად განსხეულებული ნახელავი. ხშირად ეკამათება და ებრძვის თავის მოწინააღმდეგეებს, რომელთა სურათებიც გაკრული აქვს კედელზე. ის ეგზალტირებული, ემოციური რიტორიკა (შეგეშინდა მიშიკო?! ხმა ამოიღე, გივიიი და ა.შ.ძ მთლად ფსიქიკურად ჯანსალი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს! უპასუხებს ძვირადღირებულ სატელეფონო ზარებს, განსჯის, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, რაც ძირითადად სუბიექტური ხედვებით არის ნასაზრდოები. ყოველდღე იცვლის სამოსს და ცდილობს, სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩინოს საკუთარი გარეგნობა. როგორც ჩანს, არც სასმელ-საჭმელი აკლია და განუწყვეტლივ ღებულობს მნახველების ერთობ ჭრელ სპექტრს: უდანაშაულოდ მოკლული ადამიანის ახლობლებს, უსაფუძვლოდ დაჭერილ პატიმართა ჭირისუფლებს, უპოვართ და მდიდრებს, ყოფილ პოლიტპატიმრებს და ადვოკატებს, მსახიობებს და პოლიტიკოსებს, მწერლებს და რეჟისორებს, მომღერლებს და მოცეკვავეებს, ბიზნესმენებს და უმუშევართ და მისთ.... ზოგი ფეხიზელი, ზოგი შეზარხოშებული, ზოგი წიგნით, ზოგი გიტარით და დოლით, ზოგი ეულად, ზოგნი – ჯგუფ-ჯგუფად მიდიან, ეახლებიან „აღკვეცილ ნეტარს“ და ალსარებას ეუბნებიან. ეს ჩვენი წამებულიც გულდასმით უსმენს, იწერს, მსჯელობს, არიგებს და დასკვნები გამოაქვს. ერთი სიტყვით, კარნავალი გამართულია, როცა ნათქვამ სიმართლეს (არადა, მნახველთა უმეტესობა სიმართლეს ღაღადებს!ძ მარილი და გაჭრა ეკარგება, რადგანაც არააკადემიურ ვითარებაში ისმის და განმსჯელი და დასკვნის გამომტანიც ხშირად სათანადო ცოდნას და შორსმჭვრეტელობას ვერ ამჟღავნებს. სხვაგვარად, მოსამართლედ ჯამბაზი გვევლინება, რომელიც თითლიბაზობს და ჭეშმარიტების დადგენის არავითარი სურვილი არ კლავს და არც ამის უნარი და შესაძლებლობა აქვს. ასე და ამგვარად, შოუს მთავარი გმირი, მაყურებლის, ანუ სპექტაკლის საზოგადოების მიერ წამებულ რაინდად რომ არის აღქმული, სინამდვილეში უბრალო ჯამბაზია და ამ ჯამბაზობით საკუთარი მუცლის ჭიას ახარებს.

ახლა კონკრეტული მასალის მოხმობა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ მაინც უნდა დავსძინო, რომ ჯერ ერთი, საკანში მისული საზოგადოება ერთობ ჭრელია, ზოგი უბირია, ზოგი განათლებული და ყველა თავის სამრეკლოდან რეკავს, ხოლო ბატონ გიორგის არ ძალუძს, ეს განსხვავებული თვალთახედვანი განაზოგადოს და შესაბამისი დასკვნა გამოიტანოს. მეორეც, თავად მისი მსჯელობა (ვთქვათ, საქართველოს პრეზიდენტის არჩევის თუ სხვათა მიერ დანიშვნის თაობაზეძ იმდენად უმწიფარია, რომ აშკარაა ამ სფეროში მისი გაუთვითცნობიერება. მესამეც, ამ სპექტაკლის მთავარი იდეა, რომ მთელი საქართველო საპატიმროა, სავსებით არ არის ემოციურად გაცხადებული. უფრო მართებულად, ამგვარი განწყობა არ ეუფლება ადამიანს. პირიქით, ამ სპექტაკლის მაყურებელს (გავიხსენოთ, თუნდაც, გოგო-ბიჭების, თუ არ ვცდები, „მაესტროს“ თანამშრომელთა სტუმრობა და გაუთავებელი სიცილ-კისკისიძ უჩნდება აზრი, რომ ყველაფერი ძლიერ კარგად არის და ბედნიერად და ლაღად ცხოვრობენ ქართველები.



მეოთხეც, „საკანი №5“ ამ ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს და უმძაფრეს პრობლემას, რასაც საპატიმროები და უდანაშაულო პატიმრები ჰქვია, ანავლებს და აფერმკრთალებს. ქართველმა ერმა იცის, თუ რა გაუსაძლის ყოფაში არიან ტუსაღნი, რა არაადამიანურ პირობებში უხდებათ ყოფნა, ოცადგილიან საკანში ოთხმოცი კაცი რომ არის შეყრილი, როგორც საქონელი ბაგაში; როგორ აწამებენ, ავიწროვებენ, აბუჩად იგდებენ და ფიზიკურად უსწორდებიან მათ. გავიხსენოთ თუნდაც მოლაშვილისა და მირცხულავას წამების ფაქტები, ანდა ქუთაისის, ხონის და თბილისის პატიმართა ე. წ. ამბოხი და უმოწყალოდ ჩახოცილი ტუსაღები. არ უნდა დავივიწყოთ, თუ როგორ წვალობენ და როგორ უჭირთ პატიმრების ახლობლებს, რომელთაც 24-საათიან რიგში უწევთ დგომა, რომ როგორმე ლუკმა-პური მიაწოდონ თავიანთ ტუსაღებს და სხვ.

ყოველივე ეს გავიხსენოთ და მერე შევხედოთ ჩვენ „წამებულ გმირს“ და მის ლაღ კეკლუცობას კამერების წინ და არა მგონია, შესაბამისი ან თუნდაც მიახლოვებული განცდა დაგეუფლოთ, არსებულმა შემზარავმა რეალობამ რომ უნდა გამოიწვიოს. პირუკუ, ვუმზერთ გალაღებული შემოქმედის „დიად პატიმრობას“ და შენატრით პატიმრის ბედს, მის ტუსაღობას, დიდი სიყვარულით და ყურადღებით, თავისუფლების განცდით და ბედნიერების ნეტარებით გაცისკროვნებულს... ეს ტრაგი-კომიკური ფარსი ტრაგიზმის განცდას და კათარზისს კი არ იწვევს თქვენში, არამედ მოჭარბებული კომიზმით შვებას გგვრით და გაფიქრებინებთ, თურმე არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, როგორც აქამდე გვეგონაო. ისედაც „ტვინგამორეცხილი“ საზოგადოება კვლავაც წყდება რეალობას, საშინელ სინამდვილეს და სპოლოს ძვლის კოშკში გამოკეტილ ნეტარ ილუზიებს ეძლევა.

დასასრულს, რატომ ილტვიან ასე აქტიურად „საკანი №5“-სკენ მართლაც წამებული ადამიანები, ცნობილი მოღვაწენი, პოლიტიკოსები, პოეტები, რეჟისორები, მსახიობები და ა.შ. ეს ის პიროვნებებია, ვისაც არც ეკრანზე გამოჩენა უკვირთ თუ უჭირთ, არც პოპულარობა აკლიათ. მაშ, რა ხდება?! თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ საქციელით პროტესტს გამოხატავს, უსაშველოდ ცდება. ეს პროტესტი კი არა, იმ სპექტაკლში მონაწილეობაა, რომელიც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად არა თუ განაწყობს ადამიანებს, არამედ პირიქით, ამოღებულ ხმალს ქარქაშში აგებინებს. მეტიც შეიძლება ითქვას, ამგვარი შოუ-სპექტაკლები მ. სააკაშვილის დიდი წარმოდგენის უშუალო გაგრძელებაა და მის წისქვილზე ასხამს წყალს. ხოლო საზოგადოების ეს აქტიურობა და შოუთი გატაცება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი (მცირედის გამოკლებითძ უკვე მთლიანად იქცა სპექტაკლის საზოგადოებად, რომლის მიწაზე დაშვება ერთობ ჭირს... აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გ.გაჩეჩილაძემ კარგად უნდა უწყოდეს საკანში პარაშით და თითლიბაზობით მ.სააკაშვილის ძარღვს ვერ აუტოკებს. მას ჭეშმარიტი, ნამდვილი პატიმრების ტრაგედია ფეხებზე ჰკიდია. მით უმეტეს, არ ადარდებს ეს უნიჭოდ დადგმული ფარსი... სამწუხაროდ, გ.გაჩეჩილაძის მონოლოგებმა ვერც იმაში დაგვარწმუნა, რომ ის და მისი ძმა ხალხის ზურგს უკან არ ურიგდებოდნენ მ. სააკაშვილს და მოარულმა ხმებმა კიდევ უფრო მეტად მოიკიდა ფეხი და სინამდვილედ იქცა. ასე რომ, გიორგი ბატონო, დროა, ამ შოუ-სპექტაკლებს შევეშვათ, „მარიაჟობას“ თავი ვანებოთ და ნამდვილი, რეალური ბრძოლა დავიწყოთ!

და კიდევ ერთი, პოზიციის თუ ოპოზიციის გასაგონად მინდა ხმამაღლა განვაცხადო: შაგრენის ტყავივით დაპატარავებული საქართველო სანთელივით ილევა და ქრება. მის სხეულს, როგორც მსუყე ნაჭერს, გულმოდგინედ თლიან და ჭრიან, ხოლო მის ღვთიურ სულს უმოწყალოდ აბინძურებენ და შანთავენ. ახლა ჟამი არ არის სპექტაკლების დადგმისა და მათი უაზრო ცქერისა. ახლა დროა ძილქუშიდან თავის დაღწევისა, რეალობის აღქმისა, მისი კრიტიკული გააზრებისა და შეუპოვარი ბრძოლისა. დროა, გავაცნობიეროთ, რომ, გნებავთ, დასავლეთისკენ და, გნებავთ, ჩრდილოეთისკენ მზერა და მათ იმედად ყოფნა სიკეთეს არ მოუტანს ჩვენს სამშობლოს! მაგრამ, უკლებლივ მთელ ხელისუფლებას და ოპოზიციის დიდ ნაწილს, ქვეყნის ბედზე უფრო მეტად საკუთარი ბედ-იღბალი ადარდებთ, ჩვენობა დავიწყებიათ, მეობა გაუხდიათ ზრუნვის მთავარ საგნად, სულიერება არად უღირთ – და მუცლის ყურყურს უგდებენ ყურს! ამიტომაც არის, რომ ქვეყნის და ხალხის საქმე უკუღმა დატრიალებულა...

დასასრულ, ვთხოვ ქართველ ხალხს, პოლიტიკოსებს, პოზიციას და ოპოზიციას, რამდენიმეგზის წაიკითხოს XIX საუკუნეში დაწერილი ეს ფერწერული პორტრეტი და, თუ დღევანდელ „მამულიშვილთა“ გალერეა არ დაუდგება თვალწინ, მაშინ კიდევ ერთხელ, საბოლოოდ დავრწმუნდები, რომ ქართველი ხალხი სრულად ქცეულა „სპექტაკლის საზოგადოებად“, რომელიც სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს.

ელიზბარ ჯაველიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 40-41.

ხსოვნა გულისა

# წვლილი შეუფასებელი, ღვაწლი დაუფასებელი

**ეს თემა მას შემდეგ მიტრიალებს თავში, რაც ბატონი ბადრი პატარკაციშვილი მოულოდნელად, უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა (გარდაიცვალა კი?) წერილის სათაურიც იმ დროს არის მოფიქრებული, თუმცა ნააზრევი ქაღალდზე დღემდე ვერ გადავიტანე სხვადასხვა მიზეზის გამო. წერად დაჯდომის სურვილი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც „კავკასიის“ ეთერით პატარკაციშვილის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი ვიხილე. ჩემს ყოყმანს კი საბოლოოდ მაშინ დავუსვი წერტილი, როცა ბატონი ბადრის სიბერეგამწარებული დედა და ოჯახის წევრები საკანი №5 ესტუმრნენ.**

და აჰა! დიდმარხვის პირველ ოთხშაბათს გავბედე კალმის აღება. მარხვა ხომ მიტევების, ვნებათა დაცხრომის ჟამია. ჰოდა, მეც მინდა, დროებით შევეშვა ბინძურ პოლიტიკოსებზე საუბარს. თუმცა ვიცი, რომ ზოგადად პოლიტიკას მაინც ვერ ავცდები. მათ შორის ბინძურ ხალხსაც, მაგრამ ნუგეშად იმას ვიტოვებ, რომ წერილის ლაიტმოტივი ბადრი პატარკაციშვილის ქველმოქმედება იქნება.

## ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო

**გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლო თუ ახალი საუკუნის დასაწყისი იყო**. როცა რუსეთის „მართლმსაჯულებისგან“ დევნილმა ბადრი პატარკაციშვილმა, მშობლიურ საქართველოს შეაფარა თავი. რუსეთის ძალოვანების კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, შევარდნაძემ არ გადასცა იგი რუსეთს. რა თქმა უნდა, არა ბადრის ლამაზი თვალების გამო. რუსეთისა და ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის ფინანსური ინექციები ჰაერივით სჭირდებოდა ეკონომიკურ-მორალურად გაკოტრებულ შევარდნაძის ხელისუფლებას.

ჰოდა, ბადრიც იხდიდა საკუთარი უსაფრთხოების საფასურს. მოგვიანებით შევარდნაძეს ახლად წამოჩიტული ე. წ. „რეფორმატორებიც“ დაემატნენ...

შემდეგ იყო „ვარდების რევოლუცია“, როცა ორივე მხარეს უხდიდა ხარკს... პარალელურად ქველმოქმედებას ეწეოდა. აქტიურად მონაწილეობდა სამების ტაძრის მშენებლობაში და, რაც მთავარია, უბრალო მოკვდავებზე ზრუნავდა, შეძლებისდაგვარად უმსუბუქებდა დუხჭირ ცხოვრებას, რითაც იმთავითვე დაიმსახურა რიგითი ქართველების სიყვარული და პატივისცემა. აღარაფერს ვამბობ ე. წ. ინტელიგენციაზე. თუ რატომ ეგრეთ წოდებულზე, ამაზე – ქვემოთ.

დაიწყო ბავშვთა რესპუბლიკური ლეიკემიის ცენტრის დაფინანსება. თუ რა მდგომარეობა იყო ბადრიმდე ამ დაწესებულებაში, საკუთარი მწარე გამოცდილებით ვიცი – 1996 წელს 13 წლის ვაჟი წამართვა ამ საშინელმა სენმა.

დააარსა ტელერადიო კომპანია „იმედი“. თუმცა მანამდე, სანამ „იმედი“ მართლაც ხალხის იმედად იქცეოდა, ჯერ შორს იყო. ჯერ ხელისუფლებაში მოსული „ნაცების“ დაუოკებელი მადა უნდა დაეკმაყოფილებინა. ყველაფერს აქვს დასასრული და აი, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის პროკურატურამ პატარკაციშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, წარმოებით შეწყვიტა. ამის შემდეგ წარმოჩინდა ხალხის წინაშე ბადრის ნამდვილი სახე. ერთ „ნაცებისთვის“ ნამდვილად არა მშვენიერ დღეს, ბადრიმ საჯაროდ განაცხადა პირდაპირ ეთერში:

## „მე ფულის ტომარა არა ვარ!“

**ამას აცხადებდა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი.** ამავე პერიოდიდან იწყება „იმედის“ იმ ტელევიზიად ჩამოყალიბება, რომელიც ქართული მედიის ფლაგმანად იქცა. ცოტა ხანში კი გაიმართა ბიზნესმენთა ფედერაციის შეკრება, სადაც სეფე სიტყვა ბადრიმ თქვა. მან ღიად, უშიშრად განაცხადა სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი ბიზნესის განვითარების ხელშეშლაზე, არსებულის რეკეტზე და სხვა. ეს იყო აქამდე ჯერ არგაგონილი კრიტიკა, რასაც ჩვენი ჩანჩურა ბიზნესმენები დუმილით შეხვდნენ, რადგან ბადრის გვერდით დგომას და ღირსების დაცვას ფულის ტომრების თუ სააკაშვილის მეწველი ძროხების კონფორმისტული სტატუსის შენარჩუნება არჩიეს.

და ბადრიმ დატოვა ბიზნესმენთა ფედერაცია.

**შემდეგ იყო სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, რის შესახებაც „იმედის“ ეთერით გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, სანაპიროზე, კორტებთან, ახალგაზრდების ავტომატებით ჩაცხრილვა, ე.წ . ციხის ბ უნტი, ჟვანიას მკვლელობის დამადასტურებელი დოკუმენტური ფილმი „ტყვიის გარეშე“, რომელიც ჯერ „202“-ით, ხოლო შემდეგ „იმედის“ ეთერით, მთელმა საქართველომ იხილა, იგივე „იმედში“ ირაკლი ოქრუაშვილის „აღსარება“, რამაც პოსტრევოლუციურ საქართველოში უპრეცედენტო ქუჩის აქციებს დაუდო საწყისი – ასიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში.**

დაბოლოს, 2 ნოემბერი, სადაც, დაპატიმრების საფრთხის მიუხედავად, ინგლისიდან სპეციალურად ჩამოსულმა ბადრი პატარკაციშვილმა ასიათასობით ადამიანის წინაშე განაცხადა, „მთელს ჩემს ქონებას უკანასკნელ თეთრამდე დავხარჯავ, რათა ეს ფაშისტური ხელისუფლება შეიცვალოსო“.

და ხელისუფლება სერიოზულად შეშფოთდა, რადგან იცოდნენ, რომ ბადრი, ბევრისგან განსხვავებით, საკუთარ სიტყვას პატივს სცემდა და როგორც იტყვიან, „ძალაც შესწევდა ქადილისა“.

ბადრის ამ განცხადების შემდეგ, გიგა ბოკერიამ, – „ასე არ სჯობია? ძალიანაც კარგი, რომ ბოლოს და ბოლოს, ჩრდილიდან გამოვიდა და საკუთარი თავი მხარედ, ანუ „ოპოზიციად დააფიქსირაო“.

ერთი შეხედვით, მშვიდად თქვა ეს ქართველმა ჰებელსმა, მაგრამ ეს სიმშვიდე რა „სიმშვიდეც“ იყო, ყველა ხვდებოდა. ყველამ იგუმანა, რომ წამზომი ჩაირთო, ხელისუფლების დასასრული დაწყებული იყო და ხალხისთვის საძულველ „ნაცებს“, რაღაც უნდა ელონათ! ილონეს კიდეც...

## 2007 წლის 7 ნოემბრის სახით

**პირველ რიგში ქართველებმა და შემდეგ მთელმა პროგრესულმა მსოფლიომ (ბუშის ადმინისტრაციის გარდა) დაინახეს, რომ ასეთი კაცთმოძულე, ქართველმოძულე ნაციონალ-ფაშისტური ხელისუფლება, რეჟიმი, არ ახსოვს საქართველოს ისტორიას. ის სისასტიკე და მეთოდები ტექნიკური საშუალებები, რაც ჩაიდინეს და გამოიყენეს მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ, როდიონოვის ჯალათებსაც შეშურდებოდათ.**

„სულს ამოგხდით, თქვე ნაძირალებო!“ გაჰყვიროდა მართლაც ნაძირალა. და აკი შეგვისრულა კიდეც, რის შემდეგაც გამარჯვების მარშით ჩაიარეს „გათავისუფლებულ“ რუსთაველზე ძალოვანი უწყებებისა თუ საჯარო სამსახურების მაღალჩინოსნებმა, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ნიღბიან მანქურთებს სამშობლოს დაცვისთვის.

...დაარბიეს და იავარჰყვეს ტელეკომპანია „იმედი“, გათიშეს „კავკასია“... რომელი ერთი ამათი „ნავაჟკაცარი“ ჩამოვთვალო? და რაც მთავარია, მეორე დღიდანვე დაიწყეს ხალხის იდეოლოგიური დამუშავება, რომ იმ ყველაფრის უკან, რაც ბოლო პერიოდში ხდებოდა საქართველოში, რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ და თუ აქციებში მონაწილე ათასობით ადამიანი არა, როგორც მინიმუმ, აქციის ორგანიზატორები რუსეთის აგენტები იყვნენ.

ერთიმეორის მიყოლებით მოგვასმენინეს სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიათა ლიდერების სატელეფონო საუბრები, რასაც გვირგვინი დაედგა მაშინდელი „ზამპროკურორის“ ნიკა გვარამიას კინოშედევრით „ნოემბრიდან, ნოემბრამდე“, სადაც უპირველეს დამნაშავედ და საქართველოს დაუძინებელ მტრად, კაგებეს, ცერეუსა და მოსადის აგენტი, არკადი (ბადრიძ პატარკაციშვილი იყო წარმოჩენილი.

> „თუ ვერ ვიგუებთ,
> ვერ შევიფერებთ,
> კარგი შვილები რად
> გვებადება?
> ცრემლები მაღრჩობს,
> ვეღარას ვამბობ,
> კარგის დაღუპვა რად
> გვენატრება!
> ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
> არ გეკადრება, არ გეკადრება“!..
> ვაჟა

**პირადად ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის პირველად გახდა ცნობილი, რომ ბადრის, თურმე არკადი რქმევია და სწორედ ეს იყო „ამათი“ ყველაზე დიდი „იალლიში“**. ყველასთვის, მეტნაკლებად მოაზროვნე ხალხისთვის, იმთავითვე აბსურდი იყო პატარკაციშვილის აგენტობა. იმათაც კი, ვინც აზროვნებასთან მწყრალადაა, ბუნებრივად გაუჩნდეობდა კითხვა, რა არის ეს? რატომ აქამდე არავის გახსენებია ბადრის პასპორტის მონაცემები? და პასუხსაც ადვილად იპოვნიდნენ: ყველაფერი, რასაც „ნაცები“ ამბობენ, ტყუილია და ცილისწამება, მაგრამ...

**მე ის გამიკვირდა და იმან მატკინა გული, რომ პოლიტიკოსებში, რომლებიც მანამდე, ლამის ყოველ კვირაში, ყველა ერთად და ცალ-ცალკე დარბოდნენ ლონდონში,** ე. წ. ინტელიგენციაში (აი რატომ „ეგრეთ წოდებული“ძ აღარაფერს ვამბობ ე. წ. „არტიმედის“ სეფაშვილ-წურწუმიებზეძ სპორტმენებშიც, არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ბადრის დასაცავად ხმას აღიმაღლებდა ნონა გაფრინდაშვილის, ლერი ხაბელოვის, გოგა ხაინდრავას გარდა.

სააკაშვილს პრეზიდენტის არჩევნები ჰქონდა დანიშნული და ყველა პოლიტიკოსმა, ზოგმა დემონსტრაციულადაც, არკადისგან განაპირება არჩია, ზოგმა კი უსირცხვილოდ ფეხებიც შეაწმინდა მას.

შემდეგ იყო 5 იანვრის პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც სააკაშვილმა, არნახული მასშტაბის გაყალბების მიუხედავად, თუ არ წააგო, როგორც მინიმუმ, მეორე ტური მაინც უნდა დანიშნულიყო, რაც იგივე წაგებას ნიშნავდა, რადგან ამ შემთხვევაში ყველა ხმა, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ მისცეს, ლევან გაჩეჩილაძეს დაეწერებოდა. მათ შორის ბადრის ხმები, რომელმაც იმ დროს, როცა დაპატიმრების საფრთხის გამო თბილისში ვერ ჩამოდიოდა, როცა მოხერხდა მისი ამოუწურავი ფინანსების ბლოკირება, მაინც მესამე შედეგი აჩვენა!!!

ახლა წინ მიდევს პატარკაციშვილის საარჩევნო დაპირებების ბუკლეტი. დაპირებების შეუსრულებლობის მეტი რა გვინახავს, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა უეჭველად დაიჯერებდი იმ მოწოდებას, რაც ამ ბუკლეტის გარეკანზე ეწერა – გვჯეროდეს! და აი რა ეწერა იქ:

## საპრეზიდენტო ვალდებულებები

**პირველი 18 თვის განმავლობაში პენსია – 120 ლარი, ვეტერანებს – 150 ლარი და უფასო სამედიცინო მომსახურება. მინიმალური ხელფასი – 300 ლარი. შემწეობა უმუშევართათვის – 600 ლარი. წყლის გადასახადიდან სრულიად განთავისუფლება. 100 კვ/სთ ელექტროენერგია და 100 მ.კ. გაზის გადასახადიდან განთავისუფლება. დევნილების და მიწისძვრით დაზარალებულთათვის უფასო საცხოვრებელი ფართი. პირველ შეძენილ შვილზე – 3000 ლარი, მეორეზე – 4000 ლ. მესამე და ყოველ მომდევნო შვილზე 5000 ლარი!**

ყველაფერ ამის უეჭველად გამკეთებელი, რომ იყო, ვინმეს ეჭვი ეპარებოდა? და ამის საპირწონედ მიშას პიარცრემლები...

ჰოდა, არჩევნებმაც ჩაიარა, ოპოზიციამაც ბევრი იხტუნავა, მაგრამ ბოლოს ორგზის დაშალეს და სახლებში გააბრუნეს ასიათასობით ქართველი. და მოხდა დაუჯერებელი, თავზარდამცემი რამ...

## საქართველოს მოუკვდა ბადრი პატარკაციშვილი

**დიახ! საქართველოს და ეს განსაზღვრება სულაც არ მგონია გადაჭარბებული.** ერთი სცენა მახსენდება თენგიზ აბულაძის კინოშედევრიდან, როცა გათოშილი ელიოზის ცხედარს ვითომ თანაგრძნობით პირჯვარს გადასწერს საქეიფოდ მიმავალი ოხროხინე მღვდელი. შემდეგ კი მარხილში, თანამეინახეებთან განმარტოებული, დასცინის – ახლა ზეცაში ექებე შენი ნატვრის თვალი, არ სჯობდა, ჩვენსავით ექეიფნა და დრო ეტარებინაო!

**მართლაც, რა უნდოდა ამ კაცს, აუტკივარი თავი რომ აიტკია? უკვანტავი, საკვაენტაოდ რომ გაიხადა? არხეინობის, „ჩემს მერე, ქვა-ქვაზე არ დარჩენილას“ მაგალითები წინ არ ედო მეწველ ძროხებად, ფულის ტომრებად ქცეულთა სახით? ეს ცხოვრება რომ ცხვრის დუმაა, არ იცოდა? ყოფილიყო თავისთვის და ეთალა ეს დუმა...**

ამისთანებს, ალბათ, ბევრი ფიქრობს და ლაპარაკობს კიდეც, მაგრამ უფრო მეტნი ისინი ვართ, ვინც კაცურად ფიქრობს. ეს ფიქრი კი ის არის, რომ ქართველობა პირველ რიგში მენტალიტეტი, სულიერი მდგომარეობაა და გენეტიკა, სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი. ბადრიმ იცოდა ეს ჭეშმარიტება. აგრეთვე ისიც, რომ მისთვის, სოლოლაკელი ბიჭისთვის, არასოდეს უგრძნობინებიათ საქართველოში, მით უმეტეს თბილისში, ებრაელი თუ ხარ, უკან დაჯექიო. მერაბ კოსტავას ცნობილი ნათქვამის პერიფრაზით თუ ვიტყვით, ბადრის, საკუთარ თავში უყვარდა საქართველო და არა საქართველოში საკუთარი თავი, როგორც ეს ბევრ მის „კოლეგას“ ახასიათებს.

**ბადრი შეცდა, ბადრი შეაცდინეს – ხშირად გაიგონებ დღეს. არ ვიცი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ შეცდა, მხოლოდ ადამიანთა ცნობაში – ისეთმა ხალხმა დაუნგრია, ვისაც აუშენა! ვისაც ჩააცვა, იმან გახადა! ვისაც უერთგულა, იმან გაყიდა თხასავით და ახლა ზოგი დეპუტატის სავარძელში აჩხრიალებს 30 ვერცხლს, ზოგიც – ბიზნესში!**

ისევ წერილის დასაწყისში ნახსენებ ფილმს მინდა დავუბრუნდე. ეს რამდენი და რამხელა საქმეები უკეთებია საქართველოსთვის ამ კაცს!

გრემი თუ გარეჯი, ონის სინაგოგა თუ ზუგდიდის დადიანების სასახლე და რა ვიცი კიდევ რამდენი სიკეთე, რომელთა შესახებ იმ ფილმიდან შევიტყვე და დარწმუნებული ვარ, რომ ფართო საზოგადოებისთვისაც უცნობი იყო. სიამოვნებით ვნახავდი ფილმს კიდევ ერთხელ!

რაო, ე. წ. საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ევალება, რომ სრულიად საქართველოს ანახოს ამ კაცის საქმეები? მაგრამ არა, | არხიც ხომ მიშას პიარაქციების ტრანსლირებით არის დაკავებული.

უპრეცედენტო რამ ხდებოდა ბადრის დაკრძალვაზე, როცა „არკადიაში“ სრულიად საქართველოს ებრაელთა რაბინი და საქართველოს მართლმადიდებელთა კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ერთად ატარებდნენ სამგლოვიარო ცერემონიალს.

**ოდესმე ყოფილა, რომ საქართველოს მეფეს მოღალატედ შერაცხდა ვინმე და ეს „ვინმე“ მერე საქართველოს პატრიარქს გაეპატიოსნებინოს? თავად ეს ფაქტი იყო თუ არა „ნაცებისთვის“, პირადად პრეზიდენტისთვის გაწნული სილა – რაებს მიჰქარავ, ბადრია მოღალატეო? განა ეს არ არის იმისთვის საკმარისი, რომ „ამათ“ ილია II სძულდეთ და მის სიკვდილს ნატრობდნენ?..**

წყალნი წავლენ და წამოვლენ... გავა დრო და ისტორია ყველას და ყველაფერს თავისას მიუზღავს!

ბადრი პატარკაციშვილი ისტორიაში დაივანებს, როგორც საქართველოს მოჭირნახულე, მისთვის დამწვარი კაცი, ხოლო მისი სულის საცხონებლად იმ ათობით თუ ათასობით გადარჩენილი ბავშვის სიცოცხლეც კმარა, ვისაც უშველეს ლეიკემიის ცენტრში, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა, უთვალავ მადლიან საქმეზე!

დავით მხეიძე.

*P. S. **წერილი** რომ გადავიკითხე, მივხვდი – დაპირების მიუხედავად ვერც ემოციები დავიოკე და ვერც ნერვები. და თუ კი ამ დიდმარხვის ჟამს მკითხველებს სული ავუფორიაქე, დიდ ბოდიშს ვუხდი.*

*თუმცა ბოლოს, უპრინციპო მეწველი ძროხების გასაგონად, კონსტანტინე გამსახურდიასეული სიბრძნით მინდა დავასრულო – „ვინც გველს რძეს ასმევს, თავადვე უორკეცებს შხამს“.*

დ. მ.





№ 42. შაბათი, 7 მარტი, 2009 წელი.

„რაც მოგონებად აიკინძა“

**53 წელი სრულდება თბილისში 1956 წლის 5-9 მარტის სახალხო მღელვარებიდან, რასაც მომიტინგეთა მასობრივი ხოცვა მოჰყვა. ამ დღესთან დაკავშირებით ვბეჭდავთ ცნობილი კომკავშირულ-პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის თამაზ ჟანეიაძის მოგონებას მისი ახლახან გამოცემული წიგნიდან „რაც მოგონებად აიკინძა“.**

# 1956 წლის 9 მარტი

50-იანი წლები საქართველოში საკმაოდ დამთრგუნველი მოვლენებით აღინიშნა. ეს იყო 1956 წლის 5-9 მარტის მშვიდობიანი გამოსვლები, რომლებმაც თავისი ყველასათვის მოულოდნელი და უსასტიკესი განვითარებით მთელ ჩვენს მაშინდელ ეროვნულ თვითშეგნებაზე მოახდინა გავლენა. მე მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახლდით.

ვერაფერით დავეთანხმები მათ, ვინც ცდილობს, მარტის მოვლენები გააიგივოს როგორც არსებული სისტემის დამხობისკენ მიმართული, გარკვეულ პოლიტიკურ რადიკალიზმზე დაფუძნებული საზოგადოებრივი მღელვარება. რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, გახლდათ ეროვნული თვითშეგნებისა და ღირსების შეგრძნებით შეურაცხყოფილთა საერთო-სახალხო აღშფოთება, რომელზეც, პროვოკატორთა გავლენით, ზოგიერთი ანტისაბჭოთა მოწოდებაც გაისმა.

საკითხი შეეხო მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ პიროვნებას – სტალინს. ყველაფერს დაემატა მისი ქართველობაც, ერთი შეხედვით, უწყინარი დეტალი, რომელიც მთელი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ეროვნული თვითმყოფადობისთვის ყველაზე შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა.

თუ კარგად ჩავუფიქრდებით, 1956 წლის მარტის მღელვარება იყო უზარმაზარი შინაგანი წინააღმდეგობის მატარებელი მოვლენა. თუმცა ნამდვილად ვერ იტყოდი, რომ რაიმე მსოფლმხედველობრივი თუ მორალური წინააღმდეგობა არსებობდა იმ ადამიანთა შორის, ვინც მაშინ იმ პიროვნების „ბარიკადების“ გაღმა-გამოღმა აღმოჩნდა.

მოვლენები კი დაახლოებით ასეთი თანმიმდევრობით განვითარდა:

1956 წლის თებერვალში მოსკოვში ჩატარდა სკკპ XX ყრილობა, სადაც მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა. ეს იყო დღემდე ყველასათვის ცნობილი „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“, რომელმაც, სხვათა შორის, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც მასობრივი პროტესტი გამოიწვია.

1956 წლის 5 მარტი – ბელადის გარდაცვალების სამი წლისთავი – თბილისში უკვე სულ სხვა სულისკვეთებისა გათენდა. სტალინის ძეგლთან თავშეყრილ ახალგაზრდობას თანდათან შეემატნენ საზოგადოების სხვა ფენათა წარმომადგენლებიც. ამ მიტინგის მიზანი იყო უკვე არა იმდენად გარდაცვლილი ბელადის ხსოვნისა და პატივისცემის დადასტურება, რამდენადაც სკკპ XX ყრილობის ანტისტალინური სულისკვეთების გაპროტესტება და ასევე, ხრუშჩოვის გამოსვლის მთელი იმ არგუმენტაციის გაქარწყლება, რომელშიც ასე ულირსად იყო მოხსენიებული ის, ვის მხრებზეც იდგა ათწლეულების მანძილზე ამ ქვეყნის ძლევამოსილებაც და ღირსებაც.

ასე დაიწყო გამოსვლები. დღე დღეს გადაება, მომიტინგეები გააქტიურდნენ, გაჩნდნენ ლიდერებიც და, რა თქმა უნდა, უკვე საკმაოდ კარგად ორგანიზებულმა ამ გამოსვლებმა თავის უმთავრეს იარაღად აქცია ის მართლაც ყოვლად გაუმართლებელი სუბიექტივიზმი, სტალინის პიროვნული შეფასების ძალზე ბევრ ასპექტში რომ გამოავლინა ცენტრალურმა ხელისუფლებამ და, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, თავად ხრუშჩოვმა.

ამით მაშინვე ისარგებლეს უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებმაც და თავიდან მხოლოდ სტალინის ღირსების დამცველ ამ მრავალათასიან თავყრილობებზე უკვე მესამე-მეოთხე დღეს გაჩნდა შემოგდებული მოწოდებებიც. და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოიკვეთა საერთო აზრი და განწყობილება, გამოვეყოთ საბჭოთა სახელმწიფოსო.

ერთი სიტყვით, დამოუკიდებელ საქართველოზე დაიწყო ლაპარაკი. ეს კი უკვე ის საკითხი იყო, რომელზეც მაშინ ილუზიასაც ვერ შეიქმნიდი. რასაკვირველია, საბჭოთა კავშირი არ გახლდათ ის სახელმწიფო, რომელიც ასეთ „ანტიპარტიულ“ თუ „ანტისახელმწიფოებრივ“ აქციებსა თუ მსვლელობებს დაუსჯელად დატოვებდა.

ამასობაში სახალხო მღელვარება სულ უფრო და უფრო მეტ თავდაჯერებასა და პრინციპულობას იძენს და მომიტინგეების პირველ, ასე ვთქვათ, „ყოფით“ პროტესტებს უერთდებიან ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციას. მაგალითად, იღებოდა სტალინის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიისა და ლენინის მოედნის (ამჟამად თავისუფლების) მიტინგების ჩანაცვლებად რადიოფიცირება, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა.

ცხადია, რესპუბლიკის მთელი პარტიულ-კომკავშირული აქტივი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობასთან ერთად, ყველაფერს აკეთებდა, რომ რამენაირად მშვიდობიანად გამოსულიყავით შექმნილი მდგომარეობიდან და ვითარების ნორმალიზებისთვის მიგველწია.

ამ სიტუაციაში საქართველოს კომპარტიამ კონკრეტულად კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა, რომ შეძლებისდაგვარად, არ დაეშვა ქუჩის დემონსტრაციები, რადგან გამოვიდოდა, რომ ამ გამოსვლებით ჩვენი ახალგაზრდობა ფაქტობრივად, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს უპირისპირდებოდა და იწონებდა პიროვნულ კულტს, რომელიც დაგმო ამ ყრილობამ. ეს კი მაშინ მძიმე ბრალდება იყო!

საპროტესტო აქციის წარმმართველი ძალა, რა თქმა უნდა, სტუდენტობა გახლდათ. ეს გამოიკვეთა სახალხო უკმაყოფილების ჩამოყალიბების პირველივე საათებიდან: დემონსტრანტთა პირველი ტალღები სწორედ ინსტიტუტებიდან დაიძრა. ამ უპირველესთა შორის იყო საქართველოს ზოოვეტერინარული და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ახალგაზრდობა და, რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა. მე დღესაც მგონია, რომ ის ტრაგიკული 9 მარტი ასცდებოდა საქართველოს, თავად ხრუშჩოვს მეტი კეთილგონიერება ან ტაქტი რომ გამოეჩინა.



რა თქმა უნდა, არც მანამდე და არც მერე არავის უმტკიცებია, ხრუშჩოვი დიდი ადამიანური სიღრმეების კაციაო, მაგრამ ეს კი ყველას დაგვანახა, რომ საკუთარი არასრულფასოვნებით საკმაოდ გაწამებული ადამიანი გახლდათ და სერიოზულადაც იტანჯებოდა პატარა კაცის კომპლექსით.

არადა, მეტი პიროვნული გამჭრიახობა რომ გამოეჩინა, მიხვდებოდა, მასაც და მისნაირებსაც სწორედ სტალინმა რომ გაუადვილა ხელისუფლებაში მოსვლაცა და დამკვიდრება: ისეთი ძლიერი და მობილიზებული აპარატი დაუტოვა ცენტრალურ კომიტეტს, გენერალურ მდივნად ბავშვიც რომ დაგესვა, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ივარგებდა, თუ, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით არ იფანტაზიორებდა ან მეტისმეტად არ მოეძალებოდა სისულელეები. ხრუშჩოვმა ყოველგვარი ფსიქოლოგიური შემზადების გარეშე დაატეხა მასებს „თავისი სიმართლე“. ლაპარაკია საბჭოთა საზოგადოებაზე, ადამიანებზე, რომლებიც სამი ათეული წლის მანძილზე აცხოვრეს სტალინის ზეკაცობის რწმენით. ამ დროს კი გუშინ ალზევებულმა ხრუშჩოვმა გაბედა იმის მტკიცება, სტალინი ერთი ბანალური დიქტატორი იყო, რომელსაც იმდენი სამხედრო მომზადებაც კი არ ჰქონია, რომ ხეირიანად რუკა წაეკითხა.

თანაც ეს ითქვა ქვეყნის მმართველი ორგანოს უმაღლესი ტრიბუნიდან, სულ რაღაც რამდენიმე წლის მერე იმ ძლევამოსილი ომიდან, რომლის დროსაც ადამიანები სამშობლოსა და სტალინის ძახილით ტანკებს ქვეშ უვარდებოდნენ.

რასაკვირველია, ხრუშჩოვის გალაშქრება პიროვნების კულტის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, სტალინის წინააღმდეგ გალაშქრება გახლდათ. აკი ერთხანობა თავადაც მოახერხა, რომ საკუთარი „კულტიც“ შეექმნა, მაგრამ მისმა „ერთგულმა“ თანამოაზრეებმა, როგორც კი მისი პიროვნული ღირსებების სწორი შეფასება მოახერხეს, ლაზათიანად გამოაპანღურეს ყველა იმ თანამდებობიდან და „პერსონალურ პენსიონერად“ აქციეს. ჩემი აზრით, ეს უფრო ადრე რომ გაეკეთებინათ, ბევრად მოიგებდა ხალხიცა და სახელმწიფოც.

ასე რომ, სკკპ XX ყრილობამ საკმაოდ დააბნია და დათრგუნა ქვეყნის მოსახლეობა. მაგრამ ამ ფონზეც სრულიად აშკარა იყო – ხრუშჩოვის რევანშიზმმა მაინცდამაინც ვერაფერი არგო მის ავტორიტეტს. ეს საუკეთესოდ გამოჩნდა შემდგომი წლების მემუარულ ლიტერატურაშიც, რომლებიც სტალინის თანამედროვე და მასთან უშუალო თანამშრომლობით დაკავშირებულ მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსებს, დიპლომატებსა თუ მარშლებს ეკუთვნოდათ. წაიკითხეთ ეს მოგონებები და დარწმუნდებით, რომ ადამიანებს ჯერაც არ ღალატობთ ობიექტურობის გრძნობა!

აი, ამ მსოფლმხედველობრივ და ფსიქოემოციურ ფონზე განვითარდა მთელი ის სახალხო მღელვარება, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ჩვენთან, საქართველოში, ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა. თუმცა ეს არავის ულიარებია არც რესპუბიკურ და ბუნებრივია, არც საკავშირო დონეებზე.

მღელვარების პირველივე საათებიდან ყველაფერი კეთდებოდა, რომ თავიდან აგვეცილებინა მოსალოდნელი ექსცესები თუ პროვოკატორთა გავლენები.

აქ მინდა გავიხსენო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის ერთი, არცთუ რიგითი (როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა) რეაქცია... შესთავაზეს, მომიტინგე ახალგაზრდობას დავშლით წყლის ჭავლით, ბრანდსპოიტებითო. რას ამბობთ, დაცინვებინან გავფუჭდით... აი, ასეთი პასუხი მისცა.

6 მარტს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელსაც, როგორც მაშინ უკვე ბიუროს წევრობის კანდიდატი, მეც ვესწრებოდი. რა თქმა უნდა, თბილისსა თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებში შექმნილ მდგომარეობაზე იყო მსჯელობა. ცოტა მოგვიანებით, ამ შეკრების კვალზე, გაიმართა პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი. მიზანი თითქმის ერთადერთი იყო, რამენაირად უნდა მიგვეღწია არსებული მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის.

მაგრამ ისე მოხდა, რომ 7 მარტიდან ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ერთი შეხედვით, ამის საბაბად იქცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მარშალ ჯუ დეს და მის თანმხლებ პირთა თბილისური ვიზიტი. მომიტინგეებმა შეიტყვეს, რომ საპატიო სტუმრები კრწანისში დააბინავეს და დაუყოვნებლივ გადაწყვიტეს, რომ სწვეოდნენ ჯუ დეს და თავიანთ მიტინგზე სიტყვის წარმოსათქმელად მოეპატიჟებინათ.

გამოყვეს რამდენიმე კაცი ჯუ დესთან შესახვედრად, მათ შორის სტუდენტი კონსტანტინე ციციშვილიც. იგი ჯუ დეს მიესალმა, დიდი პატივისცემით მოიკითხა მაო ძე-დუნი და ორივეს ჯანმრთელობა უსურვა. ამასთან, აუწყა, რომ რაკილა მისი ჩამოსვლა სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავის აღნიშვნას დაემთხვა, სთხოვს საპატიო სტუმარს, მობრძანდეს სტალინის მონუმენტთან გამართულ მიტინგზე და იქ გამოვიდეს სიტყვით.

ჯუ დემ დელეგაციის წევრებს აუხსნა, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს ხალხის თხოვნის შესრულებას, მაგრამ თბილისში, მიტინგზე სიამოვნებით გაგზავნის თავის წარმომადგენელს.

ხალხმა დაუჯერა და თბილისისკენ შემობრუნდა. მას თან ახლდნენ მ. გიორგაძე, ჯუ დეს წარმომადგენელი და თარჯიმანი. სანაპიროზე გამართულ მიტინგზე ჯუ დეს წარმომადგენელმა სულ რაღაც ხუთწუთიანი სიტყვა წარმოთქვა. აღნიშნა, რომ ჯუ დე და ჩინეთის მთელი დელეგაცია კმაყოფილები არიან საქართველოში ჩამოსვლით და თავის რეზიდენციაში, კრწანისში დაბრუნდა.

ეს ის დღეებია, როცა თბილისს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე შიკინი – ტანდაბალი, მრგვალი, ვიწროშუბლიანი ტიპიური ველიკოდერჟაველი შოვინისტი და ანტისტალინისტი, რომელმაც მარტის მოვლენათა ტრაგიკულად განვითარებაში თითქმის ფატალური როლი შეასრულა.

ეს შიკინი წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ყოფილი უფროსი გახლდათ, შესაბამისად – ვასილ მჟავანაძის ყოფილი ზემდგომი ჩინოსანი, როდესაც ის კიევის სამხედრო ოლქის საბჭოს წევრი იყო. ამდენად, მათ შორის ფსიქოლოგიურად უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებულია უფროს-უმცროსობა, ანუ უახლოესი სამხედრო წარსულის ინერციით, ჩინის უაღრესად პატივცემულ ჩვენს პირველ პირსაც მორჩილება უკვე ხასიათში უნდა ჰქონდეს გამჯდარი.

თანაც შიკინი სტალინზე გამწყრალი კიდევ ერთი მაღალი სახელმწიფო მოხელეა, იმ თავისი პოლიტსამმართველოს უფროსობიდან გათავისუფლებული და მერე საერთოდაც, არმიიდან გაძევებული. მიუხედავად ამისა, თავისი ყოფილი არმიული ხელქვეითი მჟავანაძე ძლიერი გავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული და იმდენად პარალიზებული, რომ ფაქტობრივად, არავის რჩევას არ იღებდა.

მეტიც შეიძლება ითქვას, მარტის იმ სახალხო მღელვარებით მოცულ თბილისსა თუ ჩვენს სხვა ქალაქებს, მდგომარეობის გართულების საბაბით, არა ერთი მოსკოველი „ტურისტი“ და შემდეგ ვითარების საკუთარ ინტერესთა სასარგებლოდ გამოყენების უნარით გამოირჩეოდნენ. ბევრი მათგანის მისია თანავე ნათელი იყო: ხელში აელო ფაქტობრივი ძალაუფლება და საქართველოს ხელისუფლებისთვის საკუთარი ნების მოხვევის პარალელურად თუ მისი გვერდის ავლით, დამოუკიდებლად ცენტრისთვის ცნობები მიეწოდებინა.

ეს ის დროა, როცა ჩვენ, ანუ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, ჯერ კიდევ არ ვკარგავთ იმედს, რომ პარტია დაგვრთავს ნებას, პროცესების მიმდინარეობაზე გარკვეული ზემოქმედების მიზნით, სათავეში მოვექცეთ ამ საპროტესტო გამოსვლებს და ამ წინადადებით რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობას კიდეც მივმართავთ.

მაგრამ ჩვენს ამ მცდელობას განხორციელება არ ეწერა... ეს წინადადება არ გაითვალისწინა საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ, რადგან სწორედ შიკინის მოსაზრებამ ითამაშა მთავარი საპირისწონის როლი: მაშინ გაირკვა, რომ კომკავშირი ანტიპარტიულ და ანტისამთავრობო გამოსვლებს უჭერს მხარს და XX ყრილობის წინააღმდეგ ილაშქრებსო, გამოგვიცხადა შიკინმა და ამით აშკარად შეზღუდა რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის ინიციატივიანობა და მოქმედების არეალი.

მაშინ ვითხოვე, რომ ტრიბუნასთან აქტიურობის ნება მაინც მოეცათ. კი, ბატონო, მიბრძანდითო. მაგრამ ახლა თავად მომიტინგენი მოგვეკიდნენ უნდობლად: სახლის კედლები რომ ამოვიყვანეთ, მზამზარეული მოგეწონათო?! მოკლედ, არ მიგვიშვეს. მეტიც, გამოგვაპანღურეს. იმ ცხელ გულზე და იმ ვითარებაში ნადვილად დავიმსახურეთ კიდეც ცხვირწინ კარის მოხურვა!

მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ იმ მიტინგებზე დამახსოვრებული ერთი-ორი სახე დღემდე მომყვება...

ამჯერად ერთი მინდა გავიხსენო: საკმაოდ შეხედული ახალგაზრდა, სხვათა შორის, იშვიათი ორატორიც, თითქოს მართლაც ტრიბუნისთვის გაჩნდაო, ლაზათიანი გამოსვლა ჰქონდა: ლექსებსაც ყოჩაღად იშველიებდა. გვარ-სახელიც მახსოვს: ზაურ მაჭავარიანი. მომიტინგეთა შორის გამორჩეული ავტორიტეტი იყო – როგორც იტყოდა ხოლმე, ყველაფერი ისე კეთდებოდა. ეგრეთ წოდებული პრეზიდიუმის წევრი გახლდათ, რომელშიც, სხვათა შორის, შედიოდა მაშინაც უკვე ცნობილი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილიც.

ამ ბიჭთან დაკავშირებით, ჩვენი ურთიერთობის ერთი ასეთი, არცთუ სასიამოვნო ეპიზოდი მინდა გავიხსენო... მე და უშიშროების მაშინდელ მინისტრს – ალექსი ინაურს დაგვევალა მომიტინგეებთან მოლაპარაკება. ჩავედით სანაპიროზე და დაველაპარაკეთ ამ ზაურს. შევთანხმდით, რომ 9 მარტს, სტალინის დასაფლავების საათისთვის დანიშნული სამგლოვიარო მიტინგის დამთავრებისთანავე, მომიტინგეები შეწყვეტდნენ თავიანთ აქციას.

მოკლედ, იმედიანად ვართ, იმ ზაურმა სიტყვა მოგვცა, ასე ვიზამთო. ასე ვთქვათ, შევთანხმდით კაცურად და ეს იმედიანი ცნობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამდეც მივიტანეთ.

ერთი სიტყვით, კი გამოგვიცხადა ამ ზაურმა, დათქმული დროისთვის მიტინგი შეწყდებაო და გაგვაგონა კიდეც, როგორ გასძახა ეს ხალხს, მაგრამ ესეც იყო, რომ იქვე მდგომ ბიჭებს მიუგდო, მე ჩემი ვთქვი და აწი თქვენ იცითო, ანუ, ვფიქრობ, სხვაგვარად ეს მიტინგის გაგრძელების პაროლი იყო.

ამ მომენტში ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი, რომ რამენაირად მოვახერხებდი მომიტინგეთა ტალღის გარღვევას და ტრიბუნამდე მიღწევას, მაგრამ არ გამოგვივიდა არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ჩვენმა პასუხისმგებელმა მუშაკმა და მათ შორის, თემო ბადურაშვილმაც, რაღაც სიტუაციებში იმარჯვეს, ტრიბუნაზე შეხტნენ და იქიდან წარმოთქვეს ორიოდე სიტყვა.

იხ. 10 გვ.

ჩვენი პუბლიკაცია

# მარიკა ბარათაშვილი
# ასი წლის გადმოსახედიდან


მარიკა ბარათაშვილი.

## „საქართველოს ქალის“ იუბილე. სემინარი გაგრაში და სხვადასხვა

**1984 წ. 18 ივნისს „საქართველოს ქალის“ 60 წლის საიუბილეო საღამო ტარდება გრიბოედოვის სახელობის თეატრში. თეატრი ხალხითაა სავსე.** გვყავს სტუმრებიც: „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ რედაქტორი ვალენტინა ფედოტოვა, „რაბოტნიცას“ რედაქტორი ზოია ნიკოლოზის ასული, „აზერბაიჯან გადინის“ რედაქტორი ხალიდა გასილოვა და „ჰაიასტან აშხატავორუის“ რედაქტორი ანჟელა ჩილინგარიანი. არის მილოცვები... კონცერტი...

სტუმარი რედაქტორები სამ დღეს დარჩნენ. მხოლოდ ერთი უხერხულობა მოჰყვა მათ სტუმრობას: ვალენტინა და ზოია კრწანისის სამთავრობო სასტუმროში წაიყვანეს, ხალიდა და ანჟელა „აჭარაში“, რითაც ეს ორი ქალი ცოტა გაგვინაწყენდა. გასაგებიცაა, რადგან არც ბაქოში, არც ერევანში, ასეთი რამ არ ყოფილა. მე წინააღმდეგი ვიყავი ასეთი დაყოფისა, მაგრამ ვინ შემეკითხა!

საერთოდ „საქართველოს ქალის“ 50 და 60 წლის იუბილეები საკმაოდ მოკრძალებულად ჩატარდა, მაშინ, როდესაც სომხეთსა და აზერბაიჯანში სახალხო ზეიმების სახე მიიღო. ყველა რესპუბლიკის ორ-ორი წარმომადგენელიც კი ჰყავდათ მიწვეული. დიდი ყურადღებითა და პატივისცემით გვმასპინძლობდნენ, თანაც, თითქმის ერთი კვირის განმავლობაში.

* * *

**1984 წლის სექტემბერში გარდაიცვალა ნოდარ დუმბაძე. ძალიან განვიცადე. წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ სიცოცხლით დაუპურებელი, საქართველოს მზისა და მეგობრობის საგალობლებით გულავსებული შესანიშნავი მწერალი, ადამიანი. სიკვდილმა მას ვერ წაართვა მთავარი – ნიჭი სიყვარულისა, რომელიც მარადისობის კანონის ძალით გადაეცემა ადამიანებს.**

ნოდარ დუმბაძეს, ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი. მისი გმირებიც იქ დასახლდნენ და ოლღაბებია ჩვეული სიყვარულით შემოევლება შვილიშვილის სახეს, ხოლო ათასობით დაფრთიანებული ზურიკელა და ხატია თაობიდან თაობას გადასცემენ ერთი, სიყვარულით მოუსვენარი, შემოქმედის ცხოვრების ამბებს.

* * *

**1985 წლის 1-7 მარტს, გაგრაში დრამატურგთა სემინარი ჩატარდა. შედგა პიესების კითხვა-განხილვა მწერალთა დასასვენებელ სახლში.** ჩემი „ცეკვასიმღერის მასწავლებლის“ ირგვლივ ილაპარაკეს: მერაბ გეგიამ, თამაზ მეტრეველმა, გურამ ბათიაშვილმა, აკაკი გეწაძემ, გიგლა ხუხაშვილმა. ჰქონდათ საინტერესო შენიშვნები და რჩევები. ასევე წრფელი იყო ყველა იქ წაკითხული პიესების განსჯა-შეფასებაც.

გაგრაშივე დამებადა ახალი პიესის დაწერის სურვილი. სიუჟეტი მომავალი პიესისა „მამა“ – ჩვენი რედაქციის მუშაობის პრაქტიკიდანაა და ვფიქრობ, საინტერესო. ჩანაფიქრი გავაცანი მერაბ გეგიას და გიგლას. ძალიან მოიწონეს. ამან წამახალისა და დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობ. მთელი პასაჟები დავწერე. ეგება, აქ რომ ვრჩებოდე, კიდეც დამემთავრებინა, რადგან საკმარისია, დროებით შევწყვიტო მუშაობა, პიესა „გაგრილდეს“ და... ერთი სიტყვით, ლექსია თუ პიესა, ერთი ამოსუნთქვით თუ არ ვთქვი, შემდეგ მიბრუნება მიჭირს. დავწერე რამდენიმე ლექსიც – მათ შორის იუმორისტული „სემინარი გაგრაში“.

გაგრიდან გამოვემგზავრე და სარვამარტოდ თბილისში ვარ.

ამ დღის აღსანიშნავად, სადილი სასტუმრო „საქართველოს“ რესტორანში გაიმართა. საინტერესო მოღვაწე ქალებით, ომისა და შრომის ვეტერანებით, პენსიონერებით სავსეა დარბაზი. მათ შორის ბრძანდება ვეტერან ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ნამდვილად ღირსეული ქალი ოლია საბაშვილი. გვიან დავიშალეთ. მე და დარეჯან იოსელიანი ერთად წამოვედით. ხვავრიელად ბარდნის...

...მაინც რამდენი მომჩივანი აწყდება რედაქციას! მე და ირმა ჩოფიკაშვილი ლამის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებად გადავიქეცით. ყველას უნდა, მაინცდამაინც მე მოვუსმინო – ეს ნდობა მეამაყება, მაგრამ ძალზე მღლის.

სოფელ კაცხის კეთილმოწყობაში მის სასაფლაო საბჭოს თავმჯდომარეს მუხრან მოდებაძეს ვეხმარები.

განათლების სამინისტროში დამპირდნენ, რომ ნავარძეთის სკოლას მიუშენებენ სასადილოს, სპორტულსა და სააქტო დარბაზებს. ეს მხოლოდ ფრაგმენტებია ჩემი ყოველდღიური ბრძოლისა.

დავიწყეთ საბავშვო სახლების შემოწმება – ასეთი სასწავლებელი ჩვიდმეტია საქართველოში. მივედით თბილისის საბავშვო სახლში. კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ასევე, ჩვილ ბავშვთა სახლმაც. მაინც რა მძიმეა უდედმამო ბავშვთა ხვედრი. გული მეწურება...

30 მარტს, მწერალთა კავშირმა, პოეტი ქალები: მე, ნაზი კილასონია, მედეა კახიძე, ლალი ჯაფარაშვილი, ნინო ქუთათელაძე და პროზაიკოსი ჯანეტა ქორიძე ახმეტაში მიგვავლინა პოეზიის საღამოს გასამართავად. მეტად სასიამოვნო ღონისძიება გამოვიდა.

...„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე თამაზ ნატროშვილი აკრიტიკებს ეთერ გუგუშვილს წერილისათვის, რომლითაც ეთერი იცავს ხორავასა და ვასაძეს, პასუხად თამარ წულუკიძის წიგნისა. ესაა კრიტიკის კრიტიკა, ჩემი ფიქრით ჭკვიანური, მართებული, ნიჭიერად დაწერილია. და საერთოდ, რა საჭიროა გარდასულთა ლანდების აფორიაქება?

რამდენიმე ხნის წინათ, თამარი ჩამოვიდა მინსკიდან, სადაც იგი გადასახლებაში გაცნობილ თავის მეორე ქმართან ცხოვრობს. ნიჭიერი ქალია, ოდესღაც მშვენიერი მსახიობი იყო, რომელსაც მოუკლეს ქმარი, დაეღუპა ერთადერთი შვილი. ტრაგიკული ბედის ადამიანია. მაჩუქა მინსკში გამოცემული მშვენიერი საბავშვო წიგნები. ახლა ჩემ მაგიდაზეა მისი წიგნი, რომელიც სანდრო ახმეტელის ცოლის მოწამეობრივი ცხოვრების მატიანეა.

1985 წლის აპრილში თეატრალური საზოგადოების პლენუმზე ვიყავი. მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე. საუბარი კვლავაც მარჯანიშვილს, ახმეტელს, ხორავასა და ვასაძეს შეეხო.

ამავე თვეში, ჟურნალისტთა სახლში, ჩვენი რედაქცია ომის ვეტერან ქალთა შეკრებას ვატარებთ. საღამო თბილი გამოვიდა. მომხსენებელი ლია კაკაბაძე იყო, სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს: ნაზი კილასონიამ, მედეა კახიძემ, ნანული ცაგარეიშვილმა, ეთერ ჯაფარიძემ, ელენე საყვარელიძემ, დამანა მდივნიშვილმა, ზინა კვერენჩხილაძემ, დოდო ზურაბიშვილმა. საღამო მომღერალ ქალთა მშვენიერმა კვარტეტმა და ჟურნალისტთა სახლის დირექტორის ზურაბ რცხილაძის მონაწილეობამ კიდევ უფრო გაალამაზა. მეც წავიკითხე „მომიხვალ, მჯერა!“ და „სიხარულის ცრემლი“. ომგადახდილ ქალებს ჩვენი რედაქციის „ღიმილის პრიზი“ გადავეცით.

დრო შეუჩერებლივ გარბის, ირგვლივ უამრავ ადამიანს ესაჭიროება თანადგომა. სპაზმებმა მიმატა, რაღაც სიმძიმე მაწევს გულზე. პროფესორმა ირაკლი ჭუმბურიძემ მირჩია გამოზომილად ვხარჯო ენერგია. ექიმი მერი ჭიჭიაშვილიც მირეკავს, რომ აუცილებელია საავადმყოფოში ჩემი დაწოლა. მე კი კონვეიერზე ვარ-მეთქი, ვხუმრობ.

სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო თეატრალური ფესტივალი. მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ოტია იოსელიანის პიესა „ადამიანი იბადება ერთხელ“, სოხუმში კი – გიგლა ხუხაშვილის პიესა.

ფესტივალის დღეებში, ხარფუხში, გრიშაშვილობაზე ვიყავი. პატარა სიტყვა ვთქვი, ლექსი „ვისი ბრალია“ წავიკითხე და საზოგადოება გავამხიარულე. ასევე მოვიგონე სოსო – ჩემი ლექსების პირველ კითხვას რომ ესწრებოდა მწერალთა კავშირში, 1943 წლის მარტში და, მისი სიტყვები: „მარიკავ, დღეიდან მე თქვენი ტრუბადური ვარ“.

* * *

**1985 წლის 6 სექტემბერი, ბედნიერად ვგრძნობ თავს. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, ჩახრუხაძის ქ. №17-ში ვარ. გაიმართა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – საქართველოს სახალხო მასწავლებლის – ჩემი მშობლების ვერა კასრაძისა და გერვასი ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.** ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოსწავლეები, მსახიობები, მომღერლები.

აქ არიან ჩემი შვილები და შვილიშვილები, რედაქციის მუშაკები, ნაცნობები, მეგობარ-ნათესავები. მათ შორისაა ჩვენი ახლობელი, ნათესავი ბუკა ნაკაიძე და მისი ძმა ბუჯუ.

ბუკამ დიდი სიყვარულით მოიგონა მისი ყოფილი მასწავლებელი მამაჩემი, დედაჩემი და ჩემი ძმა ვახტანგი. საერთოდ, ბევრი კარგი ითქვა მათ შესახებ. მეც, რა თქმა უნდა, დიდი გულისტკივილით მოვიგონე ჩემი გაუხარელი მშობლები. და ბედნიერი ვარ, თუნდაც ასე წამიერად მაინც რომ გაცოცხლდა მათი ხსოვნა... მაგონდება ჩემი პირველი შემოქმედებითი საღამო: 1943 წლის ოქტომბერი, ჭიათურის კულტურის სახლის ხალხით გაჭედილი დარბაზი. პირველ რიგში ჩემი მშობლები სხედან, ჩემს პირველსა და მათთვის ერთადერთ საღამოს ესწრებიან. და თითქოს ახლაც ჩამესმის მამაჩემის ჩურჩულით ნათქვამი: „ჩვენ არ მოვკვდებით, ვერიჩკა“... და დედას ეღიმება... არადა, რა იშვიათად ეღიმებოდა დედას!!!


გივი მელაძე, მარიკა ბარათაშვილი, ნოდარ დუმბაძე, ეთერ ჯაფარიძე, იოსებ ნონეშვილი, სერგი ჭილაია. თბილისის აეროდრომზე, სტუმარი მწერლების მოლოდინში. 1978 წლის 25 ოქტომბერი


ნანა ღვინეფაძე, ელენე საყვარელიძე, მარიკა ბარათაშვილი, თამარ იშხნელი, ცინუკი დადიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში.

◎ პოეზია

ნოდარ ჯალაღონია

# სიამაყეც და ჩვენი სიმდიდრეც

## თუ ქართველები ვიქნებით ერთად

იყო კრწანისის დღე სისხლიანი
და შემოსევა სისხლის მსმელების.
მაგრამ ხომ იყო ის ბასიანიც
და ის სამასი არაგველებიც.

იყო ის ჟამი, არც ისე შორი,
ისიც სასტიკი და სისხლის მღვრელი.
იყო ღალატი, იყო კოჯორი,
მაგრამ ხომ იყო დიდგორის ველიც.

გქონია წლები ამაზე ძნელიც,
ჩემი სამშობლოს მთებო და ველო,
იყო თბილისი ოთხასი წელი
უქართველოდ და უსაქართველოდ.

გადაიტანა ეს ყველაფერი
ქართულმა გენმა, ქართულმა ჯიშმა.
ვერა, ვერ ძლია ქართული სული
ვერავითარმა მტერმა და შიშმა.

დღესაც რწმენა და იმედი მხოლოდ,
რაც ოდითგანაც ქართველებს
მოგვდგამს.
ვერც დღეს მოუღებს ვერავინ ბოლოს
გორგასლის ჯილაგს, დავითის
მოდგმას.

თუკი გვექნება კვლავ ერთი პირი,
თუ გავუძელით შურსა და ღალატს,
გაყვება დრო-ჟამს ეს ქართლის ჭირიც
და საქართველო იქნება ხვალაც.

თუ ქართველები ვიქნებით ერთად
ჩვენი მზე ცაზე კვლავ იმზიანებს
და საქართველო ისევ, ისევე
იდიდგორებს და იბასიანებს.

* * *

განა შურის, განა მტრობის,
ფეხზე მტკიცედ დგომის დროა,
ეს ამდენი მოღალატე
მტერმა როგორ მოაგროვა.

ეს შადიმან-ბაღვაშები
ასე რაღამ გააცოფა.
რისთვის, რატომ, საქართველოვ,
ეს ამდენი შური, მტრობა.

რისთვის, რატომ ვით გავუძლებთ
ამდენ ღალატს, ამდენ სირცხვილს.
სანამ ვღვაროთ ქართველებმა
ისევ ერთმანეთის სისხლი.

* * *

სინდის-ნამუსთან თუ ხარ გამწყრალი,
სურვილით თუნდაც თავსაც იკლავდე,
ქვეყნის სიყვარულს ვერვინ გასწავლის,
დაბადებიდან უნდა გიყვარდეს.

* * *

მუდამ იყო ქართვლის ჭირი,
აქ ყოფნა თუ არ ყოფნა,
ერთი ცის და ერთი მიწის
კუთხეებად დაყოფა.

თუ გვჯობნიდა ზოგჯერ სპარსი,
თურქი, რუსი, მონღოლი,
ეს, ეს იყო ჩვენი ქვეყნის
ბაბილონის გოდოლი.

ერთმანეთის შური, მტრობა
და ღალატის მორევი,
სხვა არავინ აღარ არის
ქართველების მომრევი.

* * *

ერთი გული მაქვს, ერთი სამშობლო,
მე სხვა სამშობლო არსად მეგულვის.
ერთი სიცოცხლით, ერთი სიკვდილით
ვრჩები სამშობლოს მარად ერთგული.

* * *

ჩვენი ენა და სამშობლო
ბრძოლით იბადებოდა,
კლავდნენ, მაგრამ არ კვდებოდა
ისევ ფეხზე დგებოდა.

ყველა ჩვენი სიტყვა, ბგერა
ენის ნაპერწკალია.
„გამარჯობა“
„გამარჯვების“
მართლაც ტყუპისცალია.

არ ჩაქრება საქართველოს
საკმელი და სანთელი,
– „გამარჯობა“,
– „გაგიმარჯოს“
სანამ ამბობს ქართველი.

* * *

გაუსაძლისი ხდება ხანდახან,
თუმცა, ამ ქვეყნად პოეტის ყოფა,
ის გოლგოთის გზა გერჩიოს ძმაო,
უღმერთოდა და ულექსოდ ყოფნას.

ჯალათის ტყვია მოჰყვება ხშირად,
თურმე პოეტის გზასა და ყოფას.
საფლავის მიწა გერჩიოს ძმაო,
უსამშობლოდ და ულექსოდ ყოფნას.

თუმცა წამება არის ხანდახან,
მართლაც, ამ ქვეყნად პოეტის ყოფა.
ულუკმაპუროდ ყოფნა გერჩიოს
ქართული ენის გარეშე ყოფნას.

არც ჭამა-სმა და ჯილდო-ტიტული
სიკვდილის შემდეგ სულს
ვერ გიცხონებს,
დიდხანს ცხოვრება არაფერს ნიშნავს,
მთავარი არის როგორ იცხოვრებ.

2008-2009 წ.

◎ ახალი ფოლკლორი

# ღმერთი არასდროს შეგარჩენთ

ქაჯები ხალხის სისხლს სწოვენ
„ვით უკვდავების წყაროსა“,
მზად არის ერის წყლულებზე
მარილი მოაყაროსა“.

* * *

ქვეყნის უვიცი მთავრობა,
დასაბმელია ბაგაზე,
ღორივით ცხოვრობს და ფიქრობს
მხოლოდ ფულსა და ჭამაზე.

* * *

როდესაც გორში ბომბი აფეთქდა
და ცას მოედო შავი ღრუბელი,
შეშინებული, ჰალსტუხის ჭამით,
მიშა გარბოდა როგორც კურდღელი.

* * *

ვინაც ისევ გაიძახის
„მიშა მაგარია“,
ან ჭკუაზე მწყრალად არის,
ანდა ახვარია.

* * *

დრო დადგა – ერთად შევძახოთ
ქვეყნის მძარცველებს, ავსულებს:
ღმერთი არასდროს შეგარჩენთ,
ნაძარცვ ქონებას და ფულებს.

ლევან ბაღდავაძე

◎ პროფესიონალი

# შუქით და გზებით მანიპულირება იგივეა, XXI საუკუნეში კაცს კბილი ამოუღო და ეტკინოს

**ხაჭაპურიძეების სტომატოლოგთა ოჯახი წლების განმავლობაში საკუთარ პროფესიას ერთგულად ემსახურება. ბოლო პერიოდის კატაკლიზმებმა ბევრ ექიმს შეაცვლევინა პროფესია, ოჯახის რჩენის მიზნით მათ ან ბიზნესს მოჰკიდეს ხელი ან ფარმაცევტულ საქმიანობაში ჩაებნენ. ოჯახის უფროსმა გიორგი ხაჭაპურიძემ სხვადასხვა ქვეყნიდან მიიღო შეთავაზება, მაგრამ თურქეთში ან რუსეთში წასვლას საქართველოში დარჩენა ამჯობინა. მან და მისმა მეუღლემ ნინო ხაჭაპურიძემ საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა გახსნეს.**

— სროლებს, გაჭირვებას, პურის რიგებს რა დამავიწყებს, — მეუბნება ბატონი გიორგი, — ამას აგვისტოს საშინელებაც დაემატა. აშკარაა, რომ ხალხს უფრო გაუჭირდა, გაღიზიანებული არიან, ჩვენს კლინიკაშიც მოვიდნენ შიდა ქართლიდან დევნილები. ყველანაირ შეღავათს ვუწევთ და, შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. ამას წინათ, დევნილმა ოცლიტრიანით ღვინო ჩამომიტანა. წასულა ეს ადამიანი, უწვალია, და ისე უშოვია დიდებული თავკვერი. რაღა პატივისცემა გამომივიდა-მეთქი? ვუსაყვედურე.

სამწუხაროა, რომ მოსახლეობის ორ მესამედს სტომატოლოგიური პრობლემები აწუხებს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მკურნალობს. უცხოელ სტომატოლოგებთან შედარებით, ჩვენ მათ მინიმალურ ფასად ვემსახურებით, და მაინც ვერ იხდიან. ხშირად შემოსულა პაციენტი და უთქვამს, ფული არა მაქვს და უტკივილგამაყუჩებლოდ ამომიღე კბილიო. ერთ-ერთი კლინიკის კარზე პრეისკურანტი ვნახე, თუ რა ღირდა კბილის ამოღება გამაყუჩებლით და უმისოდ. გავბრაზდი, როგორ შეიძლება უგამაყუჩებლოდ კბილის ამოღება? შეიძლება პაციენტს ასე მოექცე?

განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება პაციენტისადმი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, ერთ-ერთ ბავშვთა პოლიკლინიკაში პრაქტიკაზე რომ გაგზავნეს: სანდომიანმა მოხუცმა შვილიშვილი მოიყვანა ექიმთან. თავიდან ექიმმა აღმაშფოთა, რომელიც უხეშად ექცეოდა პატარას, შემდეგ დავინახე, სხვა პაციენტთან გამოყენებული ინსტრუმენტი როგორ ჩაუდო პირში... ვეღარ მოვითმინე და ბებუას მივეჭერი — სასწრაფოდ აქედან წაიყვანეთ თქვენი ბავშვი-მეთქი...

ამის გამო გიორგი ხაჭაპურიძე პრაქტიკიდან მოხსნეს, მაგრამ შემდეგ, როცა ხელმძღვანელს ყველაფერი უამბო, საქციელი მოუწონეს...

პირველი, დამოუკიდებელი ოპერაციაც ახსენდება ბავშვთა ყბა-სახის ქირურგიაში, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიასთან. მაშინ მე-3 კურსზე იყო: კოჯრის ბავშთა სახლის აღსაზრდელს გავუკეთე ოპერაცია, ზურაბ ვადაჭკორიას ასისტენტი ვიყავი... იმ პალატაში მდიდრების შვილები იწვნენ, მშობლები მათ ყოველდღე საჩუქრებით ანებივრებდნენ... იმ ბავშვთან კი არავინ მოდიოდა... შემეცოდა, ნადირობაზე წიგნი შევარჩიე და ვაჩუქე. მასზე ბედნიერი მე ვიყავი. ისე დამიწერეს ხუთიანი, არაფერი უკითხავთ...

ბევრი რამ აქვს მოსაგონარი. 90-იან წლებში თბილისის ომის დროს, ყბა-სახის ქირურგიაში მორიგეობდა. „პაციენტების ნაკადი არ წყდებოდა, — იხსენებს ბატონი გია, — დიდი პალატა მოვამზადე. მაგრამ ის ვერ გავითვალისწინე, რომ „ზვიადისტის“ და პუტჩისტის ერთად მოთავსება არ შეიძლებოდა. პირველ პაციენტს ტყვია ჰქონდა მოხვედრილი ყბა-სახის არეში. ჭრილობა დავუმუშავე და დავაწვინე. მალე მისი მეუღლეც მოვიდა, მეორე პაციენტსაც აღმოვუჩინე დახმარება, ისე რომ აზრადაც არ მომსვლია, მეკითხა, რომელ მხარეს ომობდა, თურმე ერთი „ზვიადისტი“ იყო, მეორე — „პუტჩისტი“... გავიხედე, ვიღაც კივის, ექიმო, პალატაში ერთი ამბავიაო... შევდივარ და რას ვხედავ, ორივენი პირდაღებული წვანან, ცოლები კი ერთმანეთს თმებით ითრევენ... „ზვიადისტის“ ცოლმა მომაძახა, შენ სპეციალურად მოგვიწყეო. დავაცილეთ ავადმყოფები ერთმანეთს. შემდეგ პაციენტებს ვეკითხებოდით, რომელ მხარეს იბრძოდა და ისე ვათავსებდით პალატებში...“

გიორგი ხაჭაპურიძის აზრით, მაშინ დავისაჯეთ, როცა გავიხლიჩეთ და ერთმანეთს დავუპირისპირდით. არც 9 აპრილს დაღვრილი სისხლი მიმაჩნია გმირობად: „ლიდერების ამბიციებს ავყევით, ხალხი შევწირეთ. პატრიარქმა მოუწოდა მომიტინგეებს, ეკლესიის ეზოში ილოცეთო. უწმინდესს არავინ დაუჯერა. საბჭოთა კავშირი კი ისედაც იშლებოდა. ეს ყველამ იცოდა... მახსოვს, ასეთი სტატიები იწერებოდა — როგორ გავიდეთ კავშირიდან, ჩვეულებრივად თუ კარების გაჯახუნებით? რას ნიშნავდა „კარების გაჯახუნება“ ან თვითბლოკადა? ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკამ ხელი ჩაკიდა ერთმანეთს, დადგა ცენტრალურ გზაზე და მსოფლიოს დაანახვა, რომ დამოუკიდებლობა უნდოდათ. მეორე დღეს ჩვეულებისამებრ სამსახურებში წავიდნენ...

ჩვენ კი მეზობლებს ვპარავდით სპილენძს, საკუთარი ლიფტებიდან ვხსნიდით ძრავებს და თურქეთში მიგვქონდა გასაყიდად. ამ საქციელს დღეს ვიმკით. თავად მოვშალეთ და დავანგრიეთ საქართველო. სამწუხაროდ, პატრონი არავინ აღმოჩნდა, რომ საზღვარზე ეს სიმდიდრე არ გადაეტანათ... მაშინდელ გატანილ სპილენძს ახლა ვყიდულობთ თურქებისგან. ჩვენი საზღვრიდან ტრაპიზონამდე ტერიტორია ბარაკებით იყო სავსე, აბა, ახლა ნახეთ, როგორ ცხოვრობენ თურქები. ჩვენ ავაყვავეთ, რადგან სულმოკლეები აღმოვჩნდით. ახლა კი ხელისუფლება შუქით და გზებით მანიპულირებს. ეს სირცხვილია, იგივეა, 21-ე საუკუნეში კაცს კბილი ამოუღო და ეტკინოს. ქვეყანა თუ ხარ, გზაც უნდა გქონდეს და შუქიც“...



სათქმელს რა გამოულევს!.. 1984 წლიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებიდან დღემდე საქმის სიყვარულით მოვიდა სტომატოლოგი გია ხაჭაპურიძე. ეამაყება, რომ ბოლო 3-4 წელიწადია სტომატოლოგია ძალიან განვითარდა, უნიჭიერესი თაობები წამოვიდა, ბათუმში ყოველწლიურად ტარდება სტომატოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია. პოლონელი ექიმების ნათქვამს მაწერინებს, იშვიათად რომ ევროპაში ამ დონის კონფერენცია გაიმართოსო.

გია და ნინო ხაჭაპურიძეების შვილებიც მშობლების გზას განაგრძობენ. თაკოს გაცვლითი პროგრამებით კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხშირად იწვევენ უცხოეთში. ის წარმატებული ექიმია, უმცროსი — გიორგი კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტ-სტომატოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია, აგვისტოს ომის დროს იგი ხელმძღვანელობდა ჰუმანიტარულ აქციას, რითაც დევნილ მოსახლეობას დაეხმარნენ. მან ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისა და უნივერსიტეტის რექტორისგან სამადლობელი სიგელიც მიიღო.

შვილები მამის დარიგებით ცხოვრობენ: გახსოვდეთ, ვიდრე პაციენტს ხელს მოკიდებდეთ, წარმოიდგინეთ, რომ მის ადგილას შენ თავად ზიხარ!

**თამარ შაიშმელაშვილი.**

**მურად ალაშვილის ფოტო.**

## „რაც მოგონებად აიკინძა“



# 1956 წლის 9 მარტი

(მეშვიდე გვერდიდან)

მაგრამ მაინც მიმაჩნია და მაშინაც მიმაჩნდა, რომ ეს არ იყო კონტაქტი, ჩვენ რომ გვჭირდებოდა. ის კი ვერ მივიღეთ იმიტომ, რომ ვერ დავიმსახურეთ!

მომიტინგეთა სახეებიდან კი ერთი ალბათ, სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ დამავიწყდება კუთხოვანი, უფრო სწორად, კვადრატული სახე ვილაც ტიპისა, დუგლას ფერბენქსის ულვაშით. ვილაცას გასძახა, ნიკოლოზ, მოხსენი ერთი 2000 კაცი და კავშირგაბმულობის სახლისკენ გაუშვი, გავაგებინოთ ჩვენი ამბავიო.

ამ განკარგულების გაცემა იყო და ერთბაშად იხულვა იმ ზღვა ხალხმა და მიაწყდა ცენტრისკენ მიმავალ გზას. ეს ბრძანება ჩვენს შეთანხმებას აშკარად უსინდისოდ ეწინააღმდეგებოდა. რომ დაინახა, ხალხი გაემზადა იქით წასასვლელადო, ალექსი ინაურმა სასწრაფოდ დარეკა: შეამოწმა, რამდენად დაცული იყო კავშირგაბმულობის სახლი, მთავრობის სასახლე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა და სხვა ობიექტები, რომ მათში ხალხის შევარდნის ალბათობა გამორიცხა.

ამასობაში საქმეში ჩაერთვნენ სამხედროები, ძირითადად — მესაზღვრეები. ამ გადაწყვეტილებამ გაგვახარა: მესაზღვრეები მოსახელობასთან მუშაობას ნაჩვევი, ძალზე ადამიანური ხალხია, სხვაგვარად ქვეყანას საზღვარს ვერ შეუნარჩუნებენ. სულ კარგით რა, ბიჭებო, იძახეს, გეყოთ, დავამთავროთ, დავიშალოთო, სულ ასე — დაყვავებით, მშვიდობიანად ცდილობდნენ ეგზალტირებული ახალგაზრდების დაშოშმინებას. განსხვავებით მე-8 პოლკის ჯარისკაცებისაგან — ბავშვთა სახლებიდან აკრეფილი ფაქტობრივად, უსამშობლო, გაბოროტებული ბიჭებისაგან, რომლებიც, როგორც კი ამის საშუალება მიეცათ, იქ შეკრებილ ადამიანებს უსასტიკესად უსწორდებოდნენ.

ასეთ სახიფათო სიტუაციაში გაისმა პირველი გასროლის ხმა. ახლა ამბობენ, ჯარისკაცებმა გაისროლესო. მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ პირველად გასროლის ხმა სწორედ ხალხიდან გაისმა. ვფიქრობ, პროვოკატორმა იმუშავა! ამის მერე ჰაერში სამხედროებმაც გაისროლეს, ავტომატიც კი აკაკანდა.

გავარდა ტყვია და ქაოსიც დაიწყო. დაიშალა კავშირგაბმულობის სახლის შენობისკენ დაძრული მთელი კოლონა. მაგრამ ისე ჩანს, დაპირისპირება ჯერ კიდევ წინაა... რადგან სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან ისევ 2000 კაცამდე დგას და იქიდან ფეხსაც არ იცვლის!

შიკინმა რომ დაინახა, იოლად გავიმარჯვეთო, დაჯდა ჯავშანტრანსპორტიორზე და დაუყოვნებლივ ჩააკითხა სანაპიროზე თავშეყრილებს. ახლა უკვე სანაპიროს მთელი ის ძეგლის ირგვლივი მიდამო მოაქცია ალყაში მე-8 პოლკმა, თუმცა მომიტინგეებმა მაინც სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს და არ დაიშალნენ. აი, მაშინ კი გაიცა ბრძანება: ხალხი დაშალეთო, ბიჭებს ტყვიებითა და ხიშტებით გაუმასპინძლდნენ, იმასაც ამბობდნენ, მტკვარში კარგა ბევრი გადაყარესო.

83 კაცი დაიღუპა! თუმცა, ხალხში გავრცელდა ათასგვარი ხმა თუ ჭორი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სასწრაფოდ შექმნა ამ ფაქტების შემსწავლელი კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა მიხეილ გიორგაძე — ყოველმხრივ სანდო და ღირსეული პიროვნება, ხოლო ჩვენი ცენტრალური კომიტეტიდან მის შემადგენლობაში შევიყვანეთ ნათელა ვასაძე. სწორედ ამ ხალხმა, რა თქმა უნდა, კომისიის სხვა წევრებთან ერთად, ნახა და დათვალა ეს მსხვერპლი. 83 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, ეს ციფრი არასდროს გამოქვეყნებულა!

ამდენად, 9 მარტის ტრაგედიამ ერთბაშად გადარეცხა საქართველოს სამომავლო იმედები და ხალხს უმაღლესი პარტიული ხელისუფლების რწმენა საფუძვლიანად შეურყია. ფაქტობრივად, ამ სამარცხვინო ხოცვა-ჟლეტის დამთავრებისთანავე, იმავე ღღეს, უფრო სწორად, ღამით გამოქვეყნდა თბილისის გარნიზონის უფროსის გენერალ-მაიორ გლადკოვის ბრძანება, რომელიც ქალაქში წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად, ქალაქ თბილისის კომენდანტს — პოლკოვნიკ მაკუშევს ფაქტობრივად, იმავე ღამის 24 საათიდან ავალებდა სამხედრო პატრულირების დაწესებას და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ პირთა დაუყოვნებლივ დაკავებას, თუკი ასეთები გამოჩნდებოდნენ.

გამოქვეყნდა, აგრეთვე, მოსალეობისადმი პარტიისა და ჩვენი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების ერთობლივი მიმართვაც, რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ აკმაყოფილებდა სახელისუფლო დამოკიდებულებათა იმდროინდელ სტანდარტებს, თუმცა კი როგორც ჩვენი, ისე რესპუბიკის პარტიული ხელმძღვანელობის წმინდა ადამიანური განცდების შესაფასებლად ოდნავადაც ვერ გამოდგებოდა.

ისევ უნდა დავუბრუნდე 1956 წლის 9 მარტის მომდევნო დღეების რეალობას, როცა საქართველოს ყოველდღიურობამ მოჩვენებითი სიმშვიდე დაიბრუნა. თუმცა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა კაბინეტებში გრძელდებოდა მომიტინგე აქტივისტთა მოზრდილი ჯგუფის დაკითხვები ტერორისტული აქტების დაგეგმვის ბრალდებით.

სწორედ იმ დღეებში მჟავანაძემ დამირეკა და მთხოვა ინაურის მიერ აყვანილი „ბავშვების“ ამბის გარკვევა, თვითონ ინაურმა კი მითხრა, რადგან ამ საკითხით თავად მჟავანაძეა დაინტერესებული, მიდი, გაიარე ოთახებში და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეო...

რასაკვირველია, ასეც მოვიქეცი. შევედი ერთ-ერთ კაბინეტში და ვხედავ, მაგიდას მისჯდომია განყოფილების უფროსი ბორია კაციტაძე, რომელთანაც კომკავშირში მიმუშავია, წინ კი გულამომჯდარი, სულმთლად ბავშვი გოგო უზის. გაღვარღვარებულ ცრემლებშია. თან ახლა ნახეთ ამისი განცვიფრება: კაცმა არ იცის, სტალინის სიყვარულისთვის რა სასჯელს უმზადებენ და აგერ, დაკითხვაზე, უშიშროების კომიტეტის შენობაში, სოლიდური თანამდებობის პირს, კაცი რომ არ სჯის ისე, კედელზე, სრულიად აშკარად და დაუფარავად, სტალინის პორტრეტი არ უკიდია?—

ამით რა მინდა, ვთქვა... საბჭოთა ხელისუფლებამ სკკპ XX კრილობაზე გამოტანილი იმ თავისი სრულიად მოულოდნელი და არცთუ ტაქტიანი ვერდიქტით, სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებით, უზარმაზარი დაბნეულობა დათესა ადამიანთა შორის. ხალხი ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა, ვინ ვის უპირისპირდებოდა, ვინ ვის ცოდვას იდებდა. რაც ყველაზე ტრაგიკომიკურია, ასეთ დაბნეულობაში იყვნენ არა მარტო მიტინგებს მიძალებული ადამიანები, არამედ თანამდებობის პირებიცა და ნომენკლატურული მუშაკებიც, მიუხედავად იმისა, რომ მარტის იმ საბედისწერო დღეებში ხელისუფლების დასაყრდენს ერთი შეხედვით, ისინი წარმოადგენდნენ და ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ახალმა საკავშირო ხელისუფალმა თავისი ჩანაფიქრი მთლიანად მათი ხელით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მათი იგნორირებით განახორციელა!

ვფიქრობ, სწორედ ამ შინაგან წინააღმდეგობაშია 1956 წლის მარტის იმ დღეების მთელი პარადოქსულობაცა და ტრაგიზმიც. ის, რომ მშრალ ხიდთან სტალინის პორტრეტებით „შეიარაღებული“ ახალგაზრდობის ასალაგმავად გამოყვანილ ტანკებსაც სტალინის პორტრეტებით ამკობდნენ!

მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ჩვენი ობიექტური რეალობა იყო. დაბნეულები, ბელადზე ანგარიშმიუცემლად შეყვარებული ადამიანების განწყობა, რომელიც შიკინის მსგავსმა პათოლოგმა ანტისტალინისტებმა თავიანთი ღვარძლის ამოსანთხევად გამოიყენეს!

აქ, არ შემიძლია, არ დავუბრუნდე ცოტა ზემოთ ნახსენებ გვარ-სახელს ლიდერისას, რომელმაც მე და ალექსი ინაურს, პირველი შთაბეჭდილებით, თითქოს კაცური სიტყვა მოგვცა!.. ერთხელაც, ბედმა თუ შემთხვევამ ინება, გარკვეული ხნის მერე ჩემთან — კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში — მოხვედრილიყო ის ზაურ მაჭავარიანი. პირადი სათხოვრით მომადგა, კომკავშირში აღმადგინეთო. მარტის ამბებში მონაწილეობისთვის იყო გარიცხული. ჩასუქებულიყო, თავისი კარგი ბიჭური შესახედაობა უკვე დაეკარგა.

გამახსენა ის ჩვენი ძველი, ყველასათვის საერთო ამბები და მეც თავისი უპიროზა გავახსენე: მე და ინაურს ერთი რომ შეგვპირდა და იქვე, ხელდახელ, სრულიად საწინააღმდეგო წამოიწყო... მოკლედ, კარგად შევარცხვინე, გავთათხე და არც აღვადგინე! თუმცა ცოტა მოგვიანებით, კომკავშირის რიგებიდან ყველა გარიცხული აღადგინეს.

კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო მარტის იმ მოვლენებიდან... არ გასულა ამ ამბებიდან დიდი ხანი, რომ ერთ დღესაც სამსახურში ფეხით მივდივარ. ვხედავ, ჩემ წინ ვილაც კაცი მიაბიჯებს.

უცებ... მოიხედა, რაღაცით მეცნო. თითქოს მარტის იმ დღეებში თვალმოკრული მომაგონდა. ის იყო, ვიფიქრე, ნამდვილად მეშლება-მეთქი, რომ ისევ მომხედა.

ახლა უკვე ნამდვილად ვიცანი! ის იყო — პროვოკატორი! სწორედ ის — დუგლას ფერბენქსის ულვაშით! შევეცადე, შეუმჩნევლად ნაბიჯი ამეჩქარებინა. იმანაც აუჩქარა. აშკარა იყო, არ მეშლებოდა!

ერთი სული მაქვს, როდის შევვარდები ცკ-ის ეზოში და ბიჭებს დავიხმარ, მაგრამ ესეც კარგა მაგარია — გარბის.

ერთი სიტყვით, გამექცა მწერალთა კავშირის შენობისკენ. შევარდა შიგ და კვალიც დავკარგე. შევყარე მთელი ჩვენი ხალხი. გამოვიდნენ, დაათვალიერეს მთელი ის შენობა თუ შემოგარენი, მაგრამ ვერსად მიაგნეს!

აქ კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო... ის უბედურება რომ დატრიალდა, სწორედ იმ ღამეს უშიშროების ხალხი დაუსრულებლად მიჩვენებდა ვილაცების ფოტოსურათებს, რომ როგორმე იმ ბრძანების გამცემის პიროვნების იდენტიფიცირება მოგვეხერხებინა, მაგრამ სად იყო... „დუგლას ფერბენქსის“ სახე დაფიქსირებული არ აღმოჩნდა.

არ იყო გამორიცხული, რომ უცხოური დაზვერვიდანაც ყოფილიყო. ომის შემდგომ პერიოდში უცხოური აგენტურა ჩვენში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.

9 მარტს მოჰყვა საზოგადოების დათრგუნვა და გაოგნება. იმიტომ, რომ ასეთი უკიდურესი ნაბიჯის გადადგმას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, მოსახლეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვერც საქართველოს ხელისუფლება წარმოიდგენდა. უამრავი ისეთი კითხვა გაჩნდა, რომელიც დაუყოვნებლივ პასუხს ითხოვდა.

## თვალსაზრისი

# რუსეთი ერაყის საფანგში



**ახლა ვინმეს თუ აკვირვებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩამოაგდო სადამ ჰუსეინი, რათა მიეღო კონტროლი იაფ ენერგორესურსებზე.**

უდაბნოში ჩაკარგული ერაყის ქალაქი ერბილი მეკობრეების დედაქალაქს ჰგავს — რაღაცით შუასაუკუნეების პორტ-როიალს. ფასები სასტუმროებში არ ჩამორჩება პარიზისას, ბინის ფასი კი ახალ მშენებლობაზე უფრო ძვირია, ვიდრე მოსკოვში. მსგავსება მეკობრეების ნავსადგურთან კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ დავუმატებთ, რომ აქ უამრავი ავანტურისტია, რომლებიც გვთავაზობენ „განძთა რუკებს“, მხოლოდ კუნძულების ნაცვლად, სადაც ბევრია სკივრები პიასტრებით, — არის „დაუზვერავი“ ნავთობის მონაკვეთები. სასტუმროებს შემორტყმული აქვთ ბეტონის კედლები: ეშინიათ თვითმკვლელი ტერორისტებისა, მაგრამ ერბილში ძნელად რომ იპოვო თავისუფალი ნომერი — ყველა დაკავებულია ჩამოსული ბიზნესმენებითა და თავგადასავლების მოყვარულებით. სულ რაღაც 40 წუთის მგზავრობის შემდეგ არის ერაყში უძველესი ნავთობის საბადო კირკუკი: „შავი ოქროს“ ზღვა იზიდავს ამ ხალხს, როგორც თაფლი ფუტკრებს.

— გაიაფდა ნავთობი თუ გაძვირდა — ჩემთვის სულ ერთია, — ამბობს მენეჯერი „ერკონ — მობაილიდან“. — მუქთად მას მაინც არავინ მოგვცემს. აქ არ არის ციმბირი — ჩვენ გამოვიმუშავებთ ერაყის ნავთობზე მილიარდებს მაშინაც კი, თუ ბარელი ნავთობი 2 დოლარი ეღირება.

ენერგოშემცველებზე ახლანდელი ფასების დაცემამ ერაყში ბევრი ვინმე თუ გააოცა. აქ ამისთვის თავიდანვე ემზადებოდნენ. არც არავინ ფიცავს: ქვეყანა, რომელიც ოკუპირებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, სამი წელი ზრდიდა ნავთობის მოპოვებას, ცდილობდა გაეიაფებინა „შავი ოქრო“ მსოფლიო ბაზარზე. აქტიური თამაში ფასების შემცირებაზე მივიდა დანიშნულების ადგილამდე: იაფად ღირებული ნავთობის უზარმაზარმა ოდენობამ ერაყიდან დაფარა ყველა ბირჟა და, რასაკვირველია, ფასები გასაოცრად დაეცა.

— თუ ერთი მხრივ შევხედავთ, აღნიშნავს ერაყის ნავთობის სამინისტროს ყოფილი ჩინოვნიკი ახმედ ჰასანი, — თითქოსდა, ყველაფერი ნორმალურადაა. ერაყში ამერიკელების შემოჭრამდე აქ მოიპოვებდნენ 2,5 მილიონ ბარელს დღეში, ახლა — 2,7. მატება უმნიშვნელოა, 2,2 მილიონი ექსპორტზე მიდის. ომამდე ამერიკის შეერთებული შტატები არალეგალურად ყიდულობდა ერაყის ნავთობს სხვადასხვა ფირმების შუამავლობით — დაახლოებით 500 ათას ბარელს დღეში. ახლა კი ამერიკა ერაყიდან აწარმოებს მილიონი ბარელი ნავთობის ექსპორტირებას ყოველდღიურად — ესე იგი, ორჯერ მეტს. მსოფლიო ფასებს ნედლეულზე აყალიბებს სწორედ ნიუ-იორკის ბირჟა, შეერთებული შტატები ხომ ენერგოშემცველების მთავარი მომხმარებელია. მაგრამ, როგორც კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეავსო თავისი ნავთობსაცავები, ბენზინის ფასი მსოფლიოში დაიმსხვრა.

როდესაც ნავთობის ველის ნაპირზე დგახარ, ხედავ უზარმაზარ ცეცხლის ჩირაღდანს, რომელიც ამოდის ნავთობგადასასხმელი სადგურების შავი სილუეტების ფონზე. ფეხქვეშ — ათეული ათასობით მილიარდი დოლარია, მიწა მშრალია — მაგრამ გეჩვენება, რომ იგი გაჟღენთილია ნავთობით. ყველა პოულობს თავის სასარგებლო რამეს: ამერიკული ფირმებიც, ადგილობრივი ხელისუფლებაც, ბოევიკებიც კი ღებულობენ დოლარებისგან ამონაგებს იმისთვის, რომ თავს არ ესხმიან ბენზინმზიდებს. შავმა წებოვანმა სითხემ დააკავშირა ყველა ერთ კვანძში: კირკუკის მინდორი შეიცავს მთელი ერაყის ნავთობის 15 პროცენტს, თავად ერაყს კი მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში დაზვერილი სანავთობო მარაგების მიხედვით (დაახლოებით 120 მილიარდი ბარელი). მაგრამ მთავარია ნავთობის მოპოვების თვითღირებულება ერაყში, რომელიც ამჟამად შეადგენს ერთ დოლარს ბარელზე, რუსეთში კი — 10 დოლარს. თუ „შავი ოქროს“ ფასი დაეცემა 5 დოლარამდე, აქ მაინც გააგრძელებენ მის მოპოვებას მოგებით — ჩვენთან დაინგრევა ნავთობის მრეწველობა. მიუხედავად ნავთობის გაუფასურებისა. ერაყი აგრძელებს მისი ნაკადის გადიდებას, უარს ამბობს ნავთობის მოპოვების შემცირებაზე. უფრო მეტიც, იგეგმება მისი წარმოება გაიზარდოს 1,5-ჯერ — 4,5 ბარელამდე დღეში. თუ რა ეღირება ნავთობი, ამის შესახებ მხოლოდ მკითხაობა თუ შეიძლება.

სასტუმრო „შერატონის“ გარშემოც ქვის კედელია, შიგნით — ტყვიამფრქვევები, ქვიშიანი ტომრები და ორი ლითონსაძიებელია. რესტორანში საქმოსნები ტკბებიან ყინულიანი ლუდით — ერთი ბოკალი ღირს 10 დოლარი. აქ ჩამოდიან, რათა მოილაპარაკონ კირკუკის საბადოსთან დაკავშირებით: მასზე პრეტენზიები აქვთ, როგორც ქურთებს, ისე ბაღდადს. მაგრამ კომპანიები ამერიკის შეერთებული შტატებიდან უკვე გეგმავენ მოწყობილობათა დადგმას: 2009 წლის ზაფხულში გაიმართება ტენდერი დამუშავების უფლებისთვის და ფირმებს იმედს არ კარგავენ, რომ გაიმარჯვებენ. „ეს ნორმალურია, — ამბობს ამერიკელი ბიზნესმენი. — ვინ გითხრათ, რომ თავისუფლებას უფასოდ იძლევიან?“.

„ოკუპაციას ერაყში ჰქონდა უფრო სერიოზული გეგმები, ვიდრე კონტროლი ნავთობის ჭაბურღილებზე, — აყენებს სენსაციურ ვერსიას ერაყის ინფორმაციის სამინისტროს სადამ ჰუსეინისდროინდელი ექს-თანამშრომელი, — უკვე მაშინ ბევრმა იცოდა, რომ ნავთობი დაიწყებდა გაძვირებას, ხოლო ენერგშემცველებით მოვაჭრენი გაზრდიან თავიანთ გავლენას. სადამის ჩამოგდების მიზანი იყო არა მხოლოდ ნავთობზე ფასების შემცირება, არამედ ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკის ნგრევაც საერთაშორისო არენაზე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, ვენესუელა და ირანი. როგორც ხედავთ გეგმა გამოუვიდათ“.

რუსეთის ნავთობის ბიზნესის წარმომადგენელი, აგრეთვე წყარო რუსეთის ფედერაციის საელჩოში არ იზიარებენ ამ თვალსაზრისს და მას სადავოს უწოდებენ. გეტყვით საშინელ ამბავს: უკვე გულს მირევს ანტიამერიკანიზმით გაჟღენთილი ჩვენი ტელეარხები. მაგრამ გიკვირს, თუ რამდენად ცინიკურია კერძო საუბრები თავად ამერიკელებისა. ყველა ჩემი მოსაუბრე, რომლებიც მუშაობენ ერბილის ნავთობის კონცერნებში, აშკარად დარწმუნებულია: ამერიკის შეერთებული შტატების არმია ერაყში იმყოფება მხოლოდ ნავთობზე საჭირო ფასების უზრუნველყოფისთვის.

უზარმაზარი ჩირაღდანი კირკუკში კვლავ ანთია, მილიარდობით ბარელი ნავთობი კი გაედინება ერაყის წიაღიდან. ისტორია ხშირად მეორდება. უკვე აღარავის ახსოვს, თუ როგორ გაერთიანდა რამდენიმე ამერიკული კომპანია 1994 წელს, რათა გაზსადენი თურქმენეთიდან ავღანეთის გავლით გამოეყვანათ ინდოეთის ოკეანისკენ, რომ წაერთმიათ რუსეთისთვის ტრანზიტის შესაძლებლობა. ავღანეთი იყო არასტაბილური და საუდის არაბეთის ფულმა, იარაღმა, პაკისტანისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვამ ქაბულში ხელისუფლებაში მოიყვანა „თალიბანის“ მოძრაობა. დანარჩენი უკვე ყველასთვის დიდი ხანია ნაცნობია...

**გიორგი ზოტოვი**

Аргументы и Факты

რაგბი

# ფიჯის ვერ გაუმკლავდნენ



დუბაიში შვიდკაცა რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (ვიქტორ კოლელიშვილი, ალექსანდრე თოდუა, გიორგი ჩხაიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი (ლაშა ხმალაძეძ, გიორგი კაჭარავა (ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი შკინინიძ პირველი მატჩი მოქმედ ჩემპიონ ფიჯის ეროვნულ გუნდთან გამართა. ბორჯღალოსნებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მრისხანე მეტოქეს – დასტურად პირველი ტაიმიც გამოდგება, რომელიც ჩვენებმა 10:12 დათმეს. შესვენების შემდეგ ფიჯელთა უპირატესობა გამოიკვეთა და ჩემპიონებმა პირველი გამარჯვებაც იზეიმას – 26:10. B ჯგუფში, სადაც ბორჯღალოსნებიც გამოდიან, ფრანგებმა ამერიკელებს სძლიეს 26:17.

**A ჯგუფი:** ზელანდია – იტალია 42:0, ტონგა – საამიროები 19:0,

**C ჯგუფი:** შოტლანდია – კანადა 14:33, სამხრეთ აფრიკა – იაპონია 26:5,

**D ჯგუფი:** სამოა – ირლანდია 35:5, ავსტრალია – პორტუგალია 24:12,

**E ჯგუფი:** კენია – ტუნისი 29:7, ინგლისი – ჰონგკონგი 42:5,

**F ჯგუფი:** არგენტინა – ურუგვაი 19:7, უელსი – ზიმბაბვე 31:5.

კალათბურთი



# სერბეთის სახელით

**ევროლიგის არაერთგზის ტრიუმფატორი „პანათინაიკოსი" წლევანდელ გათამაშებაშიც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება. ბერძენთა ამბიციების საფუძვლიანობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ II ჯგუფურ ეტაპზე ჟელკო ობრადოვიჩის გუნდი ერთადერთი იყო, რომელიც V ტურამდე უდანაკარგოდ ასპარეზობდა.**

დიამანტიდისის, სპანულისის, პეკოვიჩის, ცარცარისის, ფოცისის, იასეკიავიჩუსის, ბატისტესა და მათ პარტნიორთა ძლევამოსილ სვლას წერტილი ბელგრადში დაესვა, სადაც „პარტიზანი" 22 000 ფანატიკოსის თანდასწრებით სამაგალითოდ ებრძოლა მრისხანე მეტოქეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა – 63:56 (12:13, 14:16, 15:11, 22:16ძ.

მართალია, მასპინძლებს კაშკაშა ვარსკვლავები არ ამშვენებენ, მაგრამ ისინი, ვინც სარბიელზე სერბეთის სახელით გამოდიან, პატრიოტიზმის უდიდესი გრძნობით არიან განმსჭვალულნი და თავს არ ზოგავენ თანამემამულეთა გასახარად. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს მხოლოდ სპორტული ჟინი და მხურვალე გულშემატკივრობა განაპირობებდეს ბალკანელთა წარმატებებს. ღირსებები მათაც გააჩნიათ, მარამ განსაკუთრებულად მაინც ტრიპკოვიჩის, ბოჟიჩის, პეშიჩის, ვესელის, რაშიჩისა და ერთადერთი ლეგიონერის – გაბონელი ლასნეს სნაიპერული თვისებები უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც უმოწყალოდ ბომბავდნენ ელადელთა კალათს საშუალო და შორი დისტანციებიდან.



ამ მოგებით ექს-იუგებმა პლეიოფში დაიჯავშნეს ადგილი. მეტიც – არის ვარიანტი, რომ მათ პირველი ადგილი დაიკავონ, რაც მეოთხედფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობას მიანიჭებთ. საამისოდ აუცილებელია დასკვნით ტურში „რომას" დამარცხება „მარადიულ ქალაქში", ხოლო ათენელებმა შინ უნდა წააგონ მატჩი „უნიკახასთან".

**ხუთშაბათის რაუნდის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:** „ოლიმპიაკოსი" – „მილანი" 84:81, „ალბა" – „მაკაბი" 70:76, „სიენა" – „ციბონა" 86:70.

**„ა" ჯგუფი.** „ტაუგრესი", „ოლიმპიაკოსი" – 4-4, „მილანი" – 2, „პროკომი" – 0 მოგება.

**„ბ" ჯგუფი.** „ბარსელონა", „რეალი" – 4-4, „მაკაბი" – 2, „ალბა" – 0 მოგება.

**„გ" ჯგუფი.** ცსკა – 4 „სიენა" – 3, „ციბონა" – 2, „ულქერი" – 0 მოგება.

**„დ" ჯგუფი.** „პანათინაიკოსი", „პარტიზანი" – 4-4, „უნიკახა" – 2, „რომა" – 0 მოგება.

ძიუდო

# კიმონოთი მონაგარი

**მორიგი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ახალი რეიტინგლისტი გამოაქვეყნა. 60 კილოში ფრანგი დმიტრი დრაგინი 300 ქულით ლიდერობს, მას რვა ქ ულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა ამირან პაპინაშვილი.** 260 ქულით მესამეა უზბეკი რაშიდ სობიროვი. 66 კილოში, ასევე, 300 ქულით იაპონელი მასატო უჩიშიბა მეწინავეობს. ამდენივე ქულა აქვს კორეელ იო-ინ კიმს. მესამე საფეხურზეა უნგრელი მიკლოშ უნგვარი – 200 ქულა. 73 კილოში პირველი სამეული ასეთია: 1. კი-ჩენ ვანგი (კორეა, 300 ქულაძ, 2. მანსურ ისაევი (რუსეთი, 260ძ, 3. იორდანის არენსიბია (კუბა, 180ძ. ორივე წონაში ქართველი ძიუდოისტები საუკეთესო სამეულისგან შორს დგანან. 81 კილოში კი 116 ქულით მეცხრე ადგილზეა ლევან წიკლაური. ლიდერი აქაც კორეელია, დაე-ნამსონგი, 300 ქულით. მეორე-მესამე ადგილებს რუსი ძიუდოისტები – სირაჟუდინ მაგომედოვი (260ძ და ივან ნიფონტოვი (200ძ ინაწილებენ.

90 კილოში ფრანგმა ივ მატეო დაფრევილმა 500 ქულის მოგროვება მოასწრო. ბელარუსი ანდრეი კაზუსიონაკი მას 304



ქულით ჩამორჩება. მესამეზეა იაპონელი ტაკაში ონო (180ძ. ვარლამ ლიპარტელიანს 160 ქულით მეექვსე ადგილი უჭირავს.

100 კილოგრამ წონით კატეგორიასა და მძიმე წონაში ქართველთაგან სხვებზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ირაკლი ცირეკიძეს (მე-13 ადგილი, 80 ქულაძ, ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი (VIII-IX ადგილები 80-80 ქულით. პირველ-მესამე ადგილებზე არიან: **100 კილოში:** 1. ტაკამასა ანაი (იაპონია, 500ძ, 2. იაუჰენ ბიადულინი (ბელარუსი, 240ძ, 3. დანიელ ბრატა (რუმინეთი, 200ძ.

**მძიმე წონაში:** 1. აბდულ ტანგრიევი (უზბეკეთი, 320ძ, 2. ტედი რინერი (საფრანგეთი, 300ძ, 3. ოსკარ ბრისონი (კუბა, 220 ქულაძ.

კადრი



დინასტია

# ის ურჩევნია მამულსა

**მოგეხსენებათ, პაოლო მალდინი წლეულს უკანასკნელ სეზონს ატარებს. ბევრს ეგონა, რომ „სკუადრა აძურასთან" გამოსათხოვარ მატჩს „მილანის" კაპიტანი ბრაზილიელთა წინააღმდეგ ამას წინათ გამართავდა, მაგრამ მარჩელო ლიპიმ ლეგენდარული მცველი აღნიშნულ ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად არ გამოიძახა. რატომ? – ამ და სხვა საინტერესო კითხვებს პაოლოს მამა ჩეზარე მალდინი პასუხობს.**

**– „მილანის" კაპიტნობა თქვენთვის უცხო არ არის. მოკლედ ხომ ვერ დაახასიათებთ, რას ნიშნავს იყო „როსონერის" ლიდერი?**

– უპირველესად, უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია. გეცოდინებათ, „მილანში" ტრადიციაა დამკვიდრებული, რომლის მიხედვითაც კაპიტნად იმას ირჩევენ, ვისაც ყველაზე მეტი მატჩი აქვს გამართული „შავ-წითელი" მაისურით, ანუ ის, ვინც ძირძველი მილანელია. ნამდვილად არ ვიქნები ტენდენციური, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს გუნდში არაერთ დიდებულ კაპიტანს უთამაშია, რომ აღარაფერი ვთქვა ექსტრა-კლასის ფეხბურთელებზე.

**– დიდებულ კაპიტნებში თქვენც შედიხართ...**

– ალბათ, თუმცა ფრანკო ბარეზის და ჩემს შვილს ნამდვილად ვერ შევედრები. ისინი განუმეორებლები არიან.

**– მოდით, დღესდღეობით ფრიად აქტუალურ საკითხზე, პაოლო მალდინის ბოლო სანაკრებო მატჩზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.**

– მარჩელო ლიპის კომპეტენციაში ვერ ჩავერევი. იგი ბრწყინვალე მწვრთნელია და თავად გადაწყვეტს, როდის გამოიძახოს პაოლო. ჩემი ვაჟი ძალიან ემადლიერება ტიფოზებს, რომლებიც აქტიურად მოითხოვენ მის ნაკრებში დაბრუნებას. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: ლიპიმ პაოლოს ტელეფონის ნომერი მე გამომართვა და საუბარში აღუთქვა, რომ აუცილებლად ათამაშებს ერთ სანაკრებო მატჩში. ამჯერად მეტს ვერაფერს გეტყვით.



საქმე №2/4529-07

# განჩინება

## საქართველოს სახელით

## სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

2 მარტი 2009 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ლევან გვარამია

განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

დაინტერესებული პირები: 1. დავით აზნიანიძე მცხ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 117, ბ. 5. 2. ლევან აზნიანიძე თბილისი, კეკელიძის ქ. 25. 3. ანზორ აზრაუმაშვილი თბილისი, გლდანის დასახ. VII-მ/რ კორპ. VIა. 4. მალხაზ აზრაუმაშვილი თბილისი, თორნიკის 10. 5. სერგო აბულაძე თბილისი გლდანის მასივი VI მ/რ კორპ. 30 ბ. 123. 6. ციალა ავალიანი ქ. თბილისი, დიდი დიღომი III მ/რ, მე-5 კორპ. ბინა №216. 7. აუტო ათანასიანი თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 79. 8. დავით განცაძე თბილისი ლიბანის I ჩიხი, კორპ. 14, ბ. 18. 9. გიორგი ბადრიძე თბილისი, გვაზაურის ქ. 52. 10. ელგუჯა ბაბლიძე თბილისი, მიშველაძის 2. 11. ქეთევან ახრახაძე ტყვარჩელი, მარძის ქ. 99, ბ. 39. 12. მერიამ ახოზაძე თბილისი, გლდანის მას. V მ/რ, კორპ 92ბ. 13. გივი აფციაური თბილისი, ვარკეთილის დას. მეგობრობის გამზ. 18. 13. შალვა არჯევანიძე თბილისი, წყალტუბოს ქ. კორპ. 3, ბ. 66. 14. ალიევა სიმზარ ხან-ახმედ კიზი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 15. თინებიზ ალიანი თბილისი, ხიმშიაშვილის ქ. 10. 16. ვასილ ბოყოჩაძე თბილისი, გამსახურდიას პროს. 35. 17. მარინა ბლიაძე თბილისი ილორის ქ. 7, ბ. 8. 18. დავით ბედაური თბილისი ბაგები, იმედაძის IV შეს. 10ა. 19. ჯემალ ბერუაშვილი თბილისი, თორნიკის ქ. 42. 20. ამირან ბერიძე თბილისი, ვარკეთილის 4 მ/რ 1-ლი კორპ. ბ. 18. 21. დემურ ბებლარიშვილი, თბილისი, ილორის 6. 22. არსენ ბებლარიშვილი, თბილისი ილორის 6. 23. გიორგი ბატკუაშვილი, თბილისი, კოლექტივიზაციის 19. 24. ირაკლი ბართიშვილი თბილისი, გლდანის დასახლება VIII მ/რ, კორპ. 17, ბ. 55. 25. გიორგი გელაშვილი თბილისი, გლდანის დასახლება „ა" მ/რ, კორპ. 64, ბ. 91. 26. ზილდა გაჩეჩილაძე თბილისი, მუხიანის დას. I მ/რ 19 კორპ. ბ. 3. 27. ნატალია გარბატენკო თბილისი, ხევძმარის ქ. 4. 28. როსტომ გამყრელიძე ზესტაფონი, ბიბილაშვილის ქ. 4, ბ. 30. 29. თამარ გაგელიძე თბილისი, ილორის ქ. 3. 30. ასმათ გუჯიაშვილი თბილისი, ჩეჩელაშვილის ქ. 40. 31. ავთანდილ გუჯიაშვილი თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ 17 კორპ. ბ. 70. 32. ზურაბ ბუბუტეიშვილი თბილისი, მილორავას 6. 33. ელგუჯა ბუბუტეიშვილი თბილისი, მილორავას ქ. 6. 34. მამია გოგბერაშვილი მცხეთის გასას. 8. 35. ეთერ გიგაური თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ 17 კორპ. ბ. 70. 36. გიორგი გეჯაძე თბილისი, კრუპსკაიას ქ. 17. 37. ცისანა გერმისაშვილი ქ. თბილისი, გლდანის მასივი IV მ/რ, კორპ. 92ბ, ბინა 38. 39. მარინე გენებაშვილი თბილისი, თემქა ა კვ. კორპ. 40, ბ. 26. 39. ბალიკო გენელიძე თბილისი, ჭრებალოს ქ. 11. 40. ნოდარ გელაძე თბილისი, გამსახურდიას გამზ. 35. 41. რუსუდან გელაშვილი ქ. თბილისი, გლდანის მასივი, IV მ/რ, კორპ. 92ბ. ბინა 36. 42. გურამ გელაშვილი თბილისი, გლდანის დას. V მ/რ, კორპ. 92, ბ. 36. 43. ზვიად გოგოხია თბილისი, მუხიანის დას. 1 ს/ჰნ ავჭალა 1, ბ. 42. 44. კონსტანტინე გოგლიძე თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 77, ბ. 9. 45. თორნიკე გოგლიძე თბილისი, გლდანის დას. 4 მ/რ, 96ა კორპ. ბ. 54. 46. გივი გოგიძე თბილისი, გლდანის რუსთაველის 22. 47. ევგენია გოგიშვილი დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 48. გაიოზ გოგიშვილი თბილისი, ვარკეთილის 3 მ/რ 25 კორპ. ბ. 79. 49. რევაზი გოგიტაური თბილისი, ჭიჭინაძის ქ. 7. ბ. 3. 50. მარიკა გოგინაშვილი თბილისი, წალენჯიხის ქ. 10. 51. გურამ გოგიაშვილი თბილისი, ვატუტინის 75. 52. ვლადიმერ დორფმანი თბილისი, გლდანის მასივი, III მ/რ, კორპ. 13. ბ. 50. 53. ირაკლი დოთიაშვილი თბილისი, ათონელის ქ. 3. 54. დიმიტრი დევიძე ა. წერეთლის გამზ. 25. 55. ოთარ დანელია თბილისი, გლდანის დას. 3 მ/რ კორპ. 3. 56. გიორგი დალაქიშვილი თბილისი, გლდანის დას. II მ/რ კორპ. 38. ბ. 24. 57. გიორგი გუჯეჯიანი თბილისი, ფალიაშვილის ქ. 81. 58. რევაზ გურასაშვილი თბილისი, ყაზბეგის 34ა, ბ. 75. 59. ნუნუ გულაშვილი თბილისი, ულიანოვის I ჩიხი 11. 60. ასმიკ გრიგორიანი თბილისი, ილორის ქ. 10. 61. ელიზავეტა ზიმლიცკაია თბილისი, ილორის 15. 62. გოჩა ზარიძე ქ. თბილისი, გლდანის მასივი, V მ/რ, კორპ. 17, ბინა 81. 63. რაია ვასილევა თემქის დას. III მ/რ კორპ. 21. ბ. 19. 64. მერაბ ელიოზიშვილი თბილისი, საბურთალოს 61. ბ. 3. 65. ნანული ელიკიშვილი თბილისი, გაბაშვილის ქ. 7. 66. გურამ ელიკიშვილი ქ. თბილისი, გაბაშვილის ქ. 7. 67. ზაურ ელაშვილი თბილისი, ი. აბაშიძის 37. ბ. 5. 68. სერგო დუბოვოი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 69. ლუსია დუბოვაია თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 70. გიორგი იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. ბ. 12. 71. ავთანდილ იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. ბ. 12. 72. ნაზი თხილიშვილი თბილისი, თემქა, 3 მ/რ 2 კვ. 30 კორპ. ბ. 11. 73. ბესიკ თოდუა თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ კორპ. 5. ბ. 40. 74. დავით თევზაძე თბილისი, დიდი დიღომი 2 მ/რ 25 კორპ. ბ. 41. 75. გიორგი თევზაძე თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 4 კვ. 14 კორპ. ბ. 24. 76. მაია თარიმანიშვილი თბილისი, ვაზისუბანი I მ/რ კორპ 2, ბ. 57. 77. თამაზ თამაზაშვილი თბილისი, ახტალის 26: 78. ცაცინო თაბაგარი თბილისი, გლდანის I მ/რ 4 კორპ. ბ. 38. 79. იამზე კანდელაკი თბილისი, ზარზმის ქ. 13. 80. ნათელა კალანდაძე თბილისი, ნარიმანოვის ქ. 3. 81. ნანა კაკაშვილი თბილისი, გლდანის მას. 4 მ/რ კორპ. 96ა. ბ. 50. 92. თამარ კაზიევა თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 93. ზურაბ კაზალიკაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 94. ლუიზა იმედაძე ქ. თბილისი, თემქა, III მ/რ, კვ. V, კორპ. 18, ბინა 39. 95. ვიაჩესლავ ითონიშვილი რუსთავი, მშენებელთა ქ. 43. 96. ლამარა იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. 97. კონსტანტინე იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. 98. ამირან კირვალიძე თბილისი, თემქა III მ/რ I კვ. კორპ. 7 ბ. 18. 99. ბენო კიკილაშვილი, თბილისი, ჟღენტის 6. 100. შალვა კიკაბიძე ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 15. ბ. 8. 101. ჯემალ კელეპტრიშვილი ბიჭვინთის საერთო საცხ. 1. 102. აკაკი კეთილაძე თბილისი, დარიალის შესახვევი 12. 103. დავით კევლიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. ბ. 33. 104. ნათელა კახაძე თბილისი, ჩაპაევის ქ. 14. 105. მარინა კაპრელოვა თბილისი ილიას 2. 106. სულთან კანდელაკი თბილისი, თმოგვის ქ. 8. 107. პაატა ლასარეიშვილი თბილისი, შატბერაშვილის ქ. 1. 108. ნინა კორსაძე თბილისი, გლდანის დასახლება 6 მ/რ 10 კორპ. ბ. 36. 109. ტარიელ კოპალიანი თბილისი, შავგულიძის ქ. 7 ბ. 74. 110. თამარ კონჯარია თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 6კა. 13 კორპ. ბ. 9. 111. ალექსი კობიაშვილი თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორპ. 20. 112. ფოტინე კოზესალიშვილი თემქის დასახლება IV მ/რ კორპ. 5 ბინა 71. 113. კობა კობერიძე თბილისი, ბახტრიონის ქ. 26 ბ. 95. 114. იური კობახიძე თბილისი, კ. გამსახურდიას ქ. 3 ბ. 9. 115. ციალა კირვალიძე თბილისი, დ. სარაჯიშვილის 3 ბ. 16. 116. მარია მამულაშვილი თბილისი, დიღმის მას. IV კვ. კორპ. 2. ბ. 14. 117. ნათელა მაისურაძე თბილისი, თემქის დას. III მ/ჰრ კორპ. 54. ბ. 25. 118. ზოდიკო მაისურაძე თბილისი, გლდანის მას. 4 მ/რ 112 კორპ. ბ. 24. 119. გურამ მაისურასძე თბილისი, პროლეტარიის ქ. 56. 120. ნიკოლოზ მაზმიშვილი თბილისი, სააკაძის 134. 121. ლამარა მაზანაშვილი თბილისი, კაჭარავას ქ. 30 ბ. 54. 122. ოთარ ლორთქიფანიძე თბილისი, ქობულეთის ქ. 3/15. 123. ნოდარ ლომაძე თბილისი, აბაშიძის ქ. 42 ბ. 3. 124. ივანე ლიპარტელიანი თბილისი, ანტონოვსკაიას ქ. 9ზ. ბ. 74. 125. ვილმა მინაძე თბილისი, იპოლიტო-ივანოვის ქ. 115ბ. 126. რაჟდენ მეტრეველი თბილისი, მერკვილაძის ქ. 16. 127. გივი მეტრეველი თბილისი, ტურბინის ქ. 27. 128. ალექსი მეტრეველი თბილისი, მეტრომშენის დასახ. საერთ. საცხ. 2. 129. რევაზ მგელაძე თბილისი, ვაზისუბნის 2 მ/რ 2 კორპ. 142. 130. ნაზი მახსოიანი თბილისი, გლდანის დასახ. VI მ/რ კორპ. 23 ბ. 45. 131. ნარგიზი მახარაძე თბილისი, ხიფშიძის ქ. 14. 132. კუეწულა მარკოზაშვილი თბილისი, თემქა III მ/რ III კვ. კორპ. 47, ბინა 13. 133. ალთუნ მაჟდინიანი, თბილისი, თემქის დასახ. III მ/რ, კორპ. 33 ბ. 7. 134. მიხეილ ნიკოლაიშვილი თბილისი, ბალანჩივაძის 39. 135. ირაკლი მუყასაშვილი თბილისი, გლდანის მას. IIIა მ/რ კორპ. 20 ბ. 95. 136. ნადეჟდა მუზიჩკენო თბილისი, ილორის ქ. 421. 137. ბადრი მოლაშხია თბილისი, ბახტრიონის ქ. 18, ბ. 61. 138. იური მოისეევი თბილისი, გლდანის დას. VII მ/რ კორპ. 20. 139. პაატა მიშველაძე თბილისი, ბარათელის ქ. 18. 140. მერი მიშელაშვილი თბილისი, მუხიანის დას. III მ/რ კორპ. 8 ბ. 23. 141. მერაბ მიქაშავიძე თბილისი, ალმაშენებლის ქ. 179ა. ბ. 25. 142. ვახტანგ მირველაშვილი თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 97, ბ. 26. 143. კახა ორმოცაძე თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ ბ. 128. 144. მარინე ორთანეზაშვილი თბილისი, პატარა გლდანი, ჯანჯღავას ქ. 2. 145. თინა ორველაშვილი თბილისი, ლიბანის ქ. 9. 146. იზოლდა ნუცუბიძე თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ კორპ. 7. ბ. 49. 147. სერგო ნონიაშვილი თბილისი, გლდანის დას. VIII მ/რ კორპ. 12. ბ. 151. 148. სეირან ნონიაშვილი თბილისი, კონდოლის ქ. 48. 149. ნანა ნიშნიანიძე თბილისი, გუმათბესის 2 კორპ. ბ. 17. 150. ერეკლე ნინიაშვილი თბილისი, III მასივი, III კვ. კორპ. 4 ბ. 36. 151. ნოშრევან ნიკოლეიშვილი ..... 152. მაია პირველი თბილისი, გლდანის დას. VII მ/რ კორპ. 22 ბ. 35. 153. გაიოზ პატარქალიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 154. ავთანდილ პატარიძე ვარკეთილი, XV კვ. კორპ. 3. ბ. 21. 155. კახაბერ პაპკიაური თბილისი, ილორის ქ. 22. 156. ზაზა პაპკიაური თბილისი, გლდანის დას. VII მ/რ კორპ. 16, ბ. 132. 157. პავლიდი კრირიაკ თბილისი, დიღმის დას. ახმეტელის ქ. 14 ბ. 7. 158. ასმათ ოტიაშვილი თბილისი, მუხიანის 4ა მ/რ 11 კორპ. ბ. 9. 159. გია ოსეფაიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. ბ. 48. 160. ამირან ოსეფაიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 161. თინა სინაჯიაშვილი ქ. თბილისი, თემქა, XI მ/რ, კორპ. 41 ბინა 3. 162. ვიქტორ სევასტიანოვი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 163. ვასილ საფრინოვი თბილისი, მუხიანის დას. 201 კორპ. ბ. 54. 164. ჯუმბერ რუხაძე ევდოშვილის ქ. 20. 165. ვასილ რობაქიძე თბილისი, ათონელის ქ. 23. 166. ლეონტი რამიშვილი თბილისი, გლდანის მას. II მ/რ კორპ. 45. 167. შურა რაზმაძე თბილისი ულიანოვის ქ. 145, ბ. 10. 168. ნიკოლოზ ჟიჟიაშვილი თბილისი, გლდანის დას. II მ/რ კორპ. 47ა, ბ. 51. 169. პოპოვა გალინა თბილისი, გლდანის დას. ა მ/რ კორპ. 59, ბ. 2. 170. აკაკი ტაბიძე თბილისი, ა. წერეთლის პრ. კორპ. 3. სად. 2 ბ. 22. 171. მერი სუჯიაშვილი თბილისი, სოფ. დიღომი. 172. ლიანა სუხიაშვილი თბილისი, ულიანოვის I შეს. 59. 173. ლილი სურამელაშვილი თბილისი, ქვიშხეთის ქუჩა 1 კორპ. ბ. 40. 174. ციური სულაბერიძე თბილისი, გლდანის დას. 7 მ/რ 16 კორპ. ბ. 132. 175. დათო სულაბერიძე თბილისი, კაჭარავას ქ. 37ა. 176. ლუსია სმოევა თბილისი, სანზონა კორპ. 2ა, ბ. 48. 177. ეთერ სმოევა თბილისი, ვარკეთილი 3 II მ/რ კორპ 5. ბ. 26. 178. ბახო სირაძე ლერმონტოვის 25. ბ. 15. 179. შოთა ქიტუაშვილი თბილისი, ლიბანის ქ. 8. 180. შალვა ქაცარავა, თბილისი, დიღმის დას. 2 კვ. 6 კორპ ბ. 85. 181. კონსტანტინე ფერაძე თბილისი, იოსებიძის ქ. 74. 182. სულხან ფარეშიშვილი თბილისი, ბაღდადის ქ. 11. 183. პეტრე ურჯუმელაშვილი თბილისი, ილორის ქ. 4. 184. თამარა ტყებუჩავა თბილისი, ნუცუბიძის ქ. 211, კორპ. 3. ბ. 33. 185. დავით ტუღუში თბილისი, იოანე პეტრიწის ქ. 11. ბ. 88. 186. თამარა ტატანაშვილი თბილისი, თემქის დას. III მ/რ I კვ. კორპ 1. 187. ლიანა ტაბლიაშვილი თბილისი, ჯავახეთის ქ. კორპ. 4. ბ. 25. 189. ალექსანდრე შენგელია თბილისი, გლდანის მას. III მ/რ კორპ. 1 ბ. 100. 190. გიორგი ყანჩაველი თბილისი, გამსახურდიას გამზ. 58 ბ. 18. 191. ნოშრევან ყანდარელი თბილისი, თაყაიშვილის ქ. 4 ბ. 3. 192. გია ღვინიაშვილი ქ. თბილისი, ვაზისუბანი, III მ/რ, I კვ. კორპ. 2 ბინა 13. 193. ნატალია ქურდაძე თბილისი, ილორის ქ. 25. 194. გიორგი ქუბიაშვილი თბილისი, ილორის ქ. 13. 195. ავთანდილ ჩოჩიაშვილი პავლივოს 3ა. 196 მარო ქობულაშვილი თბილისი, გლდანის დას. I მ/რ კორპ. 6. ბ. 50. 197. ლეილა ქობელაშვილი თბილისი, ლიბანის ქ. 25 ბ. 19. 198. თამაზ ცერცვაძე თბილისი, თეთნულდის ჩიხი 7. 199. სევერიან ჩიგოგიძე ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5 მე-2 სადარბაზო, ბინა 11. 200. ვაჟა ჩახიძე თბილისი, ავჭალა, სკოლის ქ. 6. 201. ავთანდილ ჩალაძე თბილისი, დიდი დიღომი, II მ/რ კორპ. 1 ბ. 70. 202. რუბენ შკუბულიანი თბილისი, გობიაშვილის III შეს. 18. 203. ნანა შკუბულიანი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-2 მ/რ I კვ. კორპ 1ა, ბ. 67. 204. ეთერ შკუბულიანი თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის მე-3 შეს. ბ. 34. 205. ზურაბ შერმადინი თბილისი, თემქა IX კვ. კორპ. 21. ბ. 46. 206. გივი შერეზადაშვილი თბილისი, ავჭალის გზატკ. 14. 207. რეზო წამალაშვილი თბილისი, გლდანის მე-5 ქ. 2. 208. მერაბი წამალაშვილი თბილისი, გაგარინის I შეს. 10. 209. გულიკო ცხენოსანიძე თბილისი, დავით სარაჯიშვილის გამზ. 5 ბ. 22. 210. გივი ცხენოსანიძე თბილისი, დავით სარაჯიშვილის გამზ. ბ. 5. 211. თეიმურაზ ცქიტიშვილი თბილისი, ბარათაშვილის ქ. 6/10. ბ. 10. 212. ცუცრუკიანი ვლადიმერი ყიფიანის ქ. 13. 213. გიორგი ცოფურაშვილი თბილისი, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი 23.214. ელგუჯა ცინცაძე თბილისი, კეკელიძის ქ. 25. 215. სერგო ცერცვაძე თბილისი, მე-3 მას. I კვ. 3 კორპ. ბ. 11. 216. ავთანდილ ხიზანიშვილი თბილისი, ილორის ქ. 9. გ. 35.217. კონსტანტინე ხიდაშელი ვარკეთილი 3, III მ/რ კორპ. 304, ბ. 18. 218. ნიკოლოზ ხევსურიშვილი, თბილისი ილორის 2. 219. გურამ ხევსურიშვილი თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ 17 კორპ. ბ. 50. 220. გურამ ხატიაშვილი თბილისი, მე-2 ნათვლუხის დას. 3. სახლი 78. 221. ბოჩია ხაინდრავა თბილისი, ვაზისუბანი, II მ/რ კორპ. 18. ბ. 7. 222. ლეილა ჭითინავა ქ. თბილისი, ხომლელის ქ. №7, ბ 23. 223. ვახტანგ წიკლაური თბილისი, ლევანდოვსკის 19. 224. გიორგი წიკლაური თბილისი, თემქა IV მ/რ კორპ 4, ბ. 22. 225. ზურაბ ჯანგიშერაშვილი თბილისი, გლდანის დას. II მ/რ კორპ 47ა ბ. 12. 226. ვასილ ჯალაბაძე თბილისი ნუცუბიძის პლატო IV მ/რ, კორპ. 16, ბ. 8. 227. იზოლდა ჯავახიშვილი თბილისი, ჩარგლის ქ. 51. 228. თამაზ ჯავახიშვილი საგარეჯოს რაიონი სოფ. ყანდაურა. 229. ანზორ ჯავახიშვლი საგარეჯოს რაიონი სოფ. ყანდაურა. 230. დავით ხუბულოვი თბილისი, თემქა 2 კვ. 32 ა კორპ. ბ. 18. 231. ალვასი ხოშტარია ლუქსემბურგის 7. 232. ლია ხონელიძე თბილისი, ჩიტაძის ქ. 9. 233. ნუნუ ხმალაძე თბილისი, მუშის ქ. 13. 234. ვლადიმერ ჯოლოხავა თბილისი, ბარნოვის IV ჩიხი 18. 235. თეიმურაზ ჯოლბორდი თბილისი, ილორის 9. 236. მალხაზ ჯლანტიაშვილი ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. 7, ბ. 36. 237. გრეტა ჯიხვაძე თბილისი, დიღმის მას. 5 კვ. კორპ. 18. ბ. 38. 238. ზვიად ჯაფარიძე თბილისი, საბურთალოს ქ. 36, ბ. 28. 239. გივი ჯაფარიძე თბილისი, საბურთალოს ქ. 36. 240. ანზორ ჯაფარიძე ქ. თბილისი, გლდანის მასივი, I მ/რ, კორპ. 5 ბინა 150. 241. ჯემალ ჯანელიძე თბილისი, დიღმის დას. 5 კვ. კორპ. 23. ბ. 84.

მოთხოვნის საგანი: აქციათა სავალდებულო მიყიდვა.

### გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა სს „დავით სარაჯიშვილის და ენისლის" აქციონერთა – დავით აზნიანიძისა და სხვების წინააღმდეგ და მოითხოვა საზოგადოების აქციების სავალდებულო მიყიდვა, აქციათა სამართლიანი ფასისა და გამოსყიდვის თარიღის დადგენა.

განცხადებაში მითითებულია, რომ ელგუჯა ბუბუტეიშვილი არის სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" ხმის უფლების მქონე აქციათა 97,4 პროცენტის მფლობელი, რომელსაც სურვილი აქვს გამოისყიდოს სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" სხვა აქციონერთა აქციები. განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „აუდიტ-ცენტრის" მიერ 2006 წელს გაცემული №487/4 დასკვნის თანახმად, სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" 1 ცალი აქციის გამოსყიდვის სამართლიანი ფასია 6.43 ლარი, რაც შეესაბამება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომ შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი უნდა იყოს იმ უმაღლესი ფასის ტოლი, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა. 2006 წლის მაისიდან დღემდე, კი, საფონდო ბირჟაზე არ დაფიქსირებულა ს/ს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" აქციათა გაყიდვის 6,43 ლარზე უფრო ძვირი ფასი.

განცხადების შინაარსიდან ასევე ირკვევა, რომ 2006 წლის მარტიდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანის აკრძალვამ სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები გააუარესა და მისმა მოგებამ 2004 წელს შეადგინა 3 207.0 ათასი ლარი, 2005 წელს 7 400.0 ათასი ლარი, 2006 წელში, კი საზოგადოებამ მოგების მაგივრად განიცადა ზარალი.

სასამართლომ დაინტერესებულ პირთათვის განცხადებისა და თანდართული საბუთების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხის განხილვისას დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტები:

ელგუჯა ბუბუტეიშვილის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით მიღებულია სასამართლო წარმოებაში;

მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების მიზნით დაინტერესებულ პირებს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნათ განცხადების და თანდართული საბუთების ასლები, მაგრამ გზავნილები მობრუნდა ადრესატებისათვის ჩაუბარებელი სახით იმ მიზეზით, რომ მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობენ;

სასამართლომ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ დაინტერესებულ პირებს საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოთ ელგუჯა ბუბუტეიშვილის განცხადებისა და თანდართული საბუთების შინაარსი, რასაც საფუძვლად უდევს შემდეგი სამართლებრივი შეფასება და სამართლის ნორმები:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[13]-ე მუხლი ითვალისწინებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ, განცხადების განხილვის წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო განსაზღვრავს დროს ზეპირი მოსმენისათვის და მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობებს სხდომის დროსა და ადგილს. აქციონერს, რომლის აქციების გამოსყიდვასაც მოითხოვს მყიდველი (შემდგომში –

დაინტერესებული იყოს, უწყებასთან ერთად ეგზავნება განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები და განესაზღვრება ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის და თანდართული საბუთების ასლების ჩაბარების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესი. კერძოდ, 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ვითარებასთან, როცა მოწინააღმდეგეების მისამართი სწორია, თუმცა მათთვის ვერ ხერხდება განცხადების და თანდართული საბუთების ჩაბარება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე საჯარო პუბლიკაციით დაინტერესებულ პირებს: 1. დავით აბზიანიძე მცხ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 117, ბ. 5. 2. ლევან აბზიანიძე თბილისი, კეკელიძის ქ. 25. 3. ანზორ აბრამიშვილი თბილისი, გლდანის დასახ. VII-მ/რ კორპ. VIა. 4. მალხაზ აბრამიშვილი თბილისი, თოდრიას 10. 5. სერგო აბულაძე თბილისი გლდანის მასივი VI მ/რ კორპ. 30 ბ. 123. 6. ცირა ავალიანი ქ. თბილისი, დიდი დიღომი III მ/რ, მე-5 კორპ. ბინა №216. 7. აშოტ ათანასიანი თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 79. 8. დავით ბანცაძე თბილსი ლიბანის I ჩიხი, კორპ. 14, ბ. 18. 9. გიორგი ბადრიძე თბილისი, გვაზაურის ქ. 52. 10. ელგუჯა ბაბლიძე თბილისი, მიშველაძის 2. 11. ქეთევან ახრახაძე ტყვარჩელი, მარქსის ქ. 99, ბ. 39. 12. მარიამ ახოზაძე თბილისი, გლდანის მას. V მ/რ, კორპ 92ზ. 13. გივი აფციაური თბილისი, ვარკეთილის დას. მეგობრობის გამზ. 18. 13. შალვა არჯევანიძე თბილისი, წყალტუბოს ქ. კორპ. 3, ბ. 66. 14. ალიევა სიმზარ ხან-ახმედ კიზი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 15. თენგიზ ალიანი თბილისი, ხევძმარის ქ. 10. 16. ვასილ ბოყოჩაძე თბილისი, გამსახურდიას პროს. 35. 17. მარიამ ბლიაძე თბილისი ილორის ქ. 7, ბ. 8. 18. დავით ბექაური თბილისი ბაგები, იმედაძის IV შეს. 10ა. 19. ჯემალ ბერუაშვილი თბილისი, თოდრიას ქ. 42. 20. ამირან ბერიძე თბილისი, ვარკეთილის 4 მ/რ 1-ლი კორპ. ბ. 18. 21. დემურ ბეგლარიშვილი, თბილისი, ილორის 6. 22. არსენ ბეგლარიშვილი, თბილისი ილორის 6. 23. გიორგი ბატკუაშვილი, თბილისი, კოლექტივიზაციის 19. 24. ირაკლი ბართიშვილი თბილისი, გლდანის დასახლება VIII მ/რ, კორპ. 17, ბ. 55. 25. გიორგი ბელაშვილი თბილისი, გლდანის დასახლება „ა" მ/რ, კორპ. 64, ბ. 91. 26. ზილდა ბაჩეჩილაძე თბილისი, მუხიანის დას. I მ/რ 19 კორპ. ბ. 3. 27. ნატალია გარბატენკო თბილისი, ხევძმარის ქ. 4. 28. როსტომ გამყრელიძე ზესტაფონი, ბიბილაშვილის ქ. 4, ბ. 30. 29. თამარ გაგელიძე თბილისი, ილორის ქ. 3. 30. ასმათ ბუჯიაშვილი თბილისი, ჩეჩელაშვილის ქ. 40. 31. ავთანდილ ბუჯიაშვილი თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ 17 კორპ. ბ. 70. 32. ზურაბ ბუზუტეიშვილი თბილისი, მილორავას 6. 33. ელგუჯა ბუზუტეიშვილი თბილისი, მილორავას ქ. 6. 34. მამია გოგბერაშვილი მცხეთის გასას. 8. 35. ეთერ გიგაური თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ 17 კორპ. ბ. 70. 36. გიორგი გეჯაძე თბილისი, კრუპსკაიას ქ. 17. 37. ცისანა გერმისაშვილი ქ. თბილისი, გლდანის მასივი IV მ/რ, კორპ. 92ზ, ბინა 38. 39. მარინე გენებაშვილი თბილისი, თემქა ა კვ. კორპ. 40, ბ. 26. 39. ბალიკო გენელიძე თბილისი, ჭრებალოს ქ. 11. 40. ნოდარ გელაძე თბილისი, გამსახურდიას გამზ. 35. 41. რუსუდან გელაშვილი ქ. თბილისი, გლდანის მასივი, IV მ/რ, კორპ. 92ზ. ბინა 36. 42. გურამ გელაშვილი თბილისი, გლდანის დას. V მ/რ, კორპ. 92, ბ. 36. 43. ზვიად გოგოხია თბილისი, მუხიანის დას. 1 ს/ჰნ ავჭალა 1, ბ. 42. 44. კონსტანტინე გოგლიძე თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 77, ბ. 9. 45. თორნიკე გოგლიძე თბილისი, გლდანის დას. 4 მ/რ, 96ა კორპ. ბ. 54. 46. გივი გოგიძე თბილისი, გლდანის რუსთაველის 22. 47. ევგენია გოგიშვილი დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 48. გაიოზ გოგიშვილი თბილისი, ვარკეთილის 3 მ/რ 25 კორპ. ბ. 79. 49. რევაზი გოგიტაური თბილისი, ჭიჭინაძის ქ. 7. ბ. 3. 50. მარიკა გოგინაშვილი თბილისი, წალენჯიხის ქ. 10. 51. გურამ გოგიაშვილი თბილისი, ვატუტინის 75. 52. ვლადიმერ დორფმანი თბილისი, გლდანის მასივი, III მ/რ, კორპ. 13. ბ. 50. 53. ირაკლი დოთიაშვილი თბილისი, ათონელის ქ. 3. 54. დიმიტრი დევიძე ა. წერეთლის გამზ. 25. 55. ოთარ დანელია თბილისი, გლდანის დას. 3 მ/რ კორპ. 3. 56. გიორგი დალაქიშვილი თბილისი, გლდანის დას. II მ/რ კორპ. 38. ბ. 24. 57. გიორგი გუჯეჯიანი თბილისი, ფალიაშვილის ქ. 81. 58. რევაზ გურასაშვილი თბილისი, ყაზბეგის 34ა, ბ. 75. 59. ნუნუ გულაშვილი თბილისი, ულიანოვის I ჩიხი 11. 60. ასმიკ გრიგორიანი თბილისი, ილორის ქ. 10. 61. ელიზავეტა ზიმლიცკაია თბილისი, ილორის 15. 62. გოჩა ზარიძე ქ. თბილისი, გლდანის მასივი, V მ/რ, კორპ. 17, ბინა 81. 63. რაია ვასილევა თემქის დას. III მ/რ კორპ. 21. ბ. 19. 64. მერაბ ელიოზიშვილი თბილისი, საბურთალოს 61. ბ. 3. 65. ნანული ელიკიშვილი თბილისი, გაბაშვილის ქ. 7. 66. გურამ ელიკიშვილი ქ, თბილისი, გაბაშვილის ქ. 7. 67. ზაურ ელაშვილი თბილისი, ი. აბაშიძის 37. ბ. 5. 68. სერგო დუბოვოი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 69. ლუსია დუბოვაია თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 70. გიორგი იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. ბ. 12. 71. ავთანდილ იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. ბ. 12. 72. ნაზი თხილიშვილი თბილისი, თემქა, 3 მ/რ 2 კვ. 30 კორპ. ბ. 11. 73. ბესიკ თოდუა თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ კორპ. 5. ბ. 40. 74. დავით თევზაძე თბილისი, დიდი დიღომი 2 მ/რ 25 კორპ. ბ. 41. 75. გიორგი თევზაძე თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 4 კვ. 14 კორპ. ბ. 24. 76. მაია თარიმანიშვილი თბილისი, ვაზისუბანი I მ/რ კორპ 2, ბ. 57. 77. თამაზ თამაზაშვილი თბილისი, ახტალის 26: 78. ციცინო თაბაგარი თბილისი, გლდანის I მ/რ 4 კორპ. ბ. 38. 79. იამზე კანდელაკი თბილისი, ზარზმის ქ. 13. 80. ნათელა კალანდაძე თბილისი, ნარიმანოვის ქ. 3. 81. ნანა კაკაშვილი თბილისი, გლდანის მას. 4 მ/რ კორპ. 96ა. ბ. 50. 92. თამარ კაზიევა თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 93. ზურაბ კაზალიკაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 94. ლუიზა იმედაძე ქ. თბილისი, თემქა, III მ/რ, კვ. V, კორპ. 18, ბინა 39. 95. ვიაჩისლავ ითონიშვილი რუსთავი, მშენებელთა ქ. 43. 96. ლამარა იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. 97. კონსტანტინე იაშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. 98. ამირან კირვალიძე თბილისი, თემქა III მ/რ I კვ. კორპ. 7 ბ. 18. 99. ბენო კიკილაშვილი, თბილისი, ჟღენტის 6. 100. შალვა კიკაბიძე ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 15. ბ. 8. 101. ჯემალ კელეპტრიშვილი ბიჭვინთის საერთო საცხ. 1. 102. აკაკი კეთილაძე თბილისი, დარიალის შესახვევი 12. 103. დავით კევლიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 3. ბ. 33. 104. ნათელა კახაძე თბილისი, ჩაპაევის ქ. 14. 105. მარინა კაპრელოვა თბილისი ილიას 2. 106. სულთან კანდელაკი თბილისი, თმოგვის ქ. 8. 107. პაატა ლასარეიშვილი თბილისი, შატბერაშვილის ქ. 1. 108. ნინა კორსაძე თბილისი, გლდანის დასახლება 6 მ/რ 10 კორპ. ბ. 36. 109. ტარიელ კოპალიანი თბილისი, შავგულიძის ქ. 7 ბ. 74. 110. თამარ კონჯარია თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 6კა. 13 კორპ. ბ. 9. 111. ალექსი კობიაშვილი თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორპ. 20. 112. ფოტინე კობესალიშვილი თემქის დასახლება IV მ/რ კორპ. 5 ბინა 71. 113. კობა კობერიძე თბილისი, ბახტრიონის ქ. 26 ბ. 95. 114. იური კობახიძე თბილისი, კ. გამსახურდიას ქ 3 ბ. 9. 115. ციალა კირვალიძე თბილისი, დ. სარაჯიშვილის 3 ბ. 16. 116. მარია მამულაშვილი თბილისი, დიღმის მას. IV კვ. კორპ. 2. ბ. 14. 117. ნათელა მაისურაძე თბილისი, თემქის დას. III მ/ჰრ კორპ. 54. ბ. 25. 118. ზოდიკო მაისურაძე თბილისი, გლდანის მას. 4 მ/რ 112 კორპ. ბ. 24. 119. გურამ მაისურასძე თბილისი, პროლეტარიის ქ. 56. 120. ნიკოლოზ მაზმიშვილი თბილისი, სააკაძის 134. 121. ლამარა მაზანაშვილი თბილისი, კაჭარავას ქ. 30 ბ. 54. 122. ოთარ ლორთქიფანიძე თბილისი, ძოწულეთის ქ. 3/15. 123. ნოდარ ლომაძე თბილისი, აბაშიძის ქ. 42 ბ. 3. 124. ივანე ლიპარტელიანი თბილისი, ანტონოვსკაიას ქ. 9ზ. ბ. 74. 125. ვილმა მინაძე თბილისი, იპოლიტო-ივანოვის ქ. 115ზ. 126. რაჟდენ მეტრეველი თბილისი, მერკვილაძის ქ. 16. 127. გივი მეტრეველი თბილისი, ტურბინის ქ. 27. 128. ალექსი მეტრეველი თბილისი, მეტრომშენის დასახ. საერთ. საცხ. 2. 129. რევაზ მგელაძე თბილისი, ვაზისუბნის 2 მ/რ 2 კორპ. 142. 130. ნაზი მახსოიანი თბილისი, გლდანის დასახ. VI მ/რ კორპ. 23 ბ. 45. 131. ნარგიზი მახარაძე თბილისი, ხიფშიძის ქ. 14. 132. კუჟწულა მარკოზაშვილი თბილისი, თემქა III მ/რ III კვ. კორპ. 47, ბინა 13. 133. ალთუნ მაჟღინიანი, თბილისი, თემქის დასახ. III მ/რ, კორპ. 33 ბ. 7. 134. მიხეილ ნიკოლაიშვილი თბილისი, ბალანჩივაძის 39. 135. ირაკლი მუყასაშვილი თბილისი, გლდანის მას. IIIა მ/რ კორპ. 20 ბ. 95. 136. ნადეჟდა მუზიჩკენო თბილისი, ილორის ქ. 421. 137. ბადრი მოლაშხია თბილისი, ბახტრიონის ქ. 18, ბ. 61. 138. იური მოისეევი თბილისი, გლდანის დას. VII მ/რ კორპ. 20. 139. პაატა მიშველაძე თბილისი, ბარათელის ქ. 18. 140. მერი მიშელაშვილი თბილისი, მუხიანის დას. III მ/რ კორპ. 8 ბ. 23. 141. მერაბ მიქაშავიძე თბილისი, აღმაშენებლის ქ. 179ა. ბ. 25. 142. ვახტანგ მირველაშვილი თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 97, ბ. 26. 143. კახა ორმოცაძე თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ ბ. 128. 144. მარინე ორთანეზაშვილი თბილისი, პატარა გლდანი, ჯანჯღავას ქ. 2. 145. თინა ორველაშვილი თბილისი, ლიბანის ქ. 9. 146. იზოლდა ნუცუბიძე თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ კორპ. 7. ბ. 49. 147. სერგო ნონიაშვილი თბილისი, გლდანის დას. VIII მ/რ კორპ. 12. ბ. 151. 148. სეირან ნონიაშვილი თბილისი, კონდოლის ქ. 48. 149. ნანა ნიშნიანიძე თბილისი, გუმათგესის 2 კორპ. ბ. 17. 150. ერეკლე ნინიაშვილი თბილისი, III მასივი, III კვ. კორპ. 4 ბ. 36. 151. ნოშრევან ნიკოლეიშვილი ..... 152. მაია პირველი თბილისი, გლდანის დას. VII მ/რ კორპ. 22 ბ. 35. 153. გაიოზ პატარქალიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 154. ავთანდილ პატარიძე ვარკეთილი, XV კვ. კორპ. 3. ბ. 21. 155. კახაბერ პაპკიაური თბილისი, ილორის ქ. 22. 156. ზაზა პაპკიაური თბილისი, გლდანის დას. VII მ/რ კორპ. 16, ბ. 132. 157. პავლიდი კრირიაკ თბილისი, დიღმის დას. ახმეტელის ქ. 14 ბ. 7. 158. ასმათ ოტიაშვილი თბილისი, მუხიანის 4ა მ/რ 11 კორპ. ბ. 9. 159. გია ოსეფაიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. ბ. 48. 160. ამირან ოსეფაიშვილი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 161. თინა სინაჯიაშვილი ქ. თბილისი, თემქა, XI მ/რ, კორპ. 41 ბინა 3. 162. ვიქტორ სევასტიანოვი თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5. 163. ვასილ საფრინოვი თბილისი, მუხიანის დას. 201 კორპ. ბ. 54. 164. ჯუმბერ რუხაძე ევდოშვილის ქ. 20. 165. ვასილ რობაქიძე თბილისი, ათონელის ქ. 23. 166. ლეონტი რამიშვილი თბილისი, გლდანის მას. II მ/რ კორპ. 45. 167. შურა რაზმაძე თბილისი ულიანოვის ქ. 145, ბ. 10. 168. ნიკოლოზ ჟიჟიაშვილი თბილისი, გლდანის დას. II მ/რ კორპ. 47ა, ბ. 51. 169. პოპოვა გალინა თბილისი, გლდანის დას. ა მ/რ კორპ. 59, ბ. 2. 170. აკაკი ტაბიძე თბილისი, ა. წერეთლის პრ. კორპ. 3. სად. 2 ბ. 22. 171. მერი სუჯიაშვილი თბილისი, სოფ. დიღომი. 172. ლიანა სუხიაშვილი თბილისი, ულიანოვის I შეს. 59. 173. ლილი სურამელაშვილი თბილისი, ქვიშხეთის ქუჩა 1 კორპ. ბ. 40. 174. ციური სულაბერიძე თბილისი, გლდანის დას. 7 მ/რ 16 კორპ. ბ. 132. 175. დათო სულაბერიძე თბილისი, კაჭარავას ქ. 37ა. 176. ლუსია სმოევა თბილისი, სანზონა კორპ. 2ა, ბ. 48. 177. ეთერ სმოევა თბილისი, ვარკეთილი 3 II მ/რ კორპ 5. ბ. 26. 178. ბახო სირაძე ლერმონტოვის 25. ბ. 15. 179. შოთა ქიტუაშვილი თბილისი, ლიბანის ქ. 8. 180. შალვა ქაცარავა, თბილისი, დიღმის დას. 2 კვ. 6 კორპ ბ. 85. 181. კონსტანტინე ფერაძე თბილისი, იოსებიძის ქ. 74. 182. სულხან ფარეშიშვილი თბილისი, ბაღდადის ქ. 11. 183. პეტრე ურჯუმელაშვილი თბილისი, ილორის ქ. 4. 184. თამარა ტყეშუჩავა თბილისი, ნუცუბიძის ქ. 211, კორპ. 3. ბ. 33. 185. დავით ტუღუში თბილისი, იოანე პეტრიწის ქ. 11. ბ. 88. 186. თამარა ტატანაშვილი თბილისი, თემქის დას. III მ/რ I კვ. კორპ 1. 187. ლიანა ტაბლიაშვილი თბილისი, ჯავახეთის ქ. კორპ. 4. ბ. 25. 189. ალექსანდრე შენგელია თბილისი, გლდანის მას. III მ/რ კორპ. 1 ბ. 100. 190. გიორგი ყანჩაველი თბილისი, გამსახურდიას გამზ. 58 ბ. 18. 191. ნოშრევან ყანდარელი თბილისი, თაყაიშვილის ქ. 4 ბ. 3. 192. გია ღვინიაშვილი ქ. თბილისი, ვაზისუბანი, III მ/რ, I კვ. კორპ. 2 ბინა 13. 193. ნატალია ქურდაძე თბილისი, ილორის ქ. 25. 194. გიორგი ქუზიაშვილი თბილისი, ილორის ქ. 13. 195. ავთანდილ ჩოჩიაშვილი პავლივოს 3ა. 196 მარო ძოწულაშვილი თბილისი, გლდანის დას. I მ/რ კორპ. 6. ბ. 50. 197. ლეილა ძოწელაშვილი თბილისი, ლიბანის ქ. 25 ბ. 19. 198. თამაზ ცერცვაძე თბილისი, თეთნულდის ჩიხი 7. 199. სევერიან ჩიგოგიძე ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 5 მე-2 სადარბაზო, ბინა 11. 200. ვაჟა ჩახიძე თბილისი, ავჭალა, სკოლის ქ. 6. 201. ავთანდილ ჩალაძე თბილისი, დიდი დიღომი, II მ/რ კორპ. 1 ბ. 70. 202. რუზენ შკუბულიანი თბილისი, გოზიაშვილის III შეს. 18. 203. ნანა შკუბულიანი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-2 მ/რ I კვ. კორპ 1ა, ბ. 67. 204. ეთერ შკუბულიანი თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის მე-3 შეს. ბ. 34. 205. ზურაბ შერმადინი თბილისი, თემქა IX კვ. კორპ. 21. ბ. 46. 206. გივი შერეზადაშვილი თბილისი, ავჭალის გზატკ. 14. 207. რეზო წამალაშვილი თბილისი, გლდანის მე-5 ქ. 2. 208. მერაბი წამალაშვილი თბილისი, გაგარინის I შეს. 10. 209. გულიკო ცხენოსანიძე თბილისი, დავით სარაჯიშვილის გამზ. 5 ბ. 22. 210. გივი ცხენოსანიძე თბილისი, დავით სარაჯიშვილის გამზ. ბ. 5. 211. თეიმურაზ ცქიტიშვილი თბილისი, ბარათაშვილის ქ. 6/10. ბ. 10. 212. ცუცრუკიანი ვლადიმერი ყიფიანის ქ. 13. 213. გიორგი ცოფურაშვილი თბილისი, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი 23.214. ელგუჯა ცინცაძე თბილისი, კეკელიძის ქ. 25. 215. სერგო ცერცვაძე თბილისი, მე-3 მას. I კვ. 3 კორპ. ბ. 11. 216. ავთანდილ ხიზანიშვილი თბილისი, ილორის ქ. 9. გ. 35.217. კონსტანტინე ხიდაშელი ვარკეთილი 3, III მ/რ კორპ. 304, ბ. 18. 218. ნიკოლოზ ხევსურიშვილი, თბილისი ილორის 2. 219. გურამ ხევსურიშვილი თბილისი, გლდანის დას. 5 მ/რ 17 კორპ. ბ. 50. 220. გურამ ხატიაშვილი თბილისი, მე-2 ნათვლუხის დას. 3. სახლი 78. 221. ბოჩია ხაინდრავა თბილისი, ვაზისუბანი, II მ/რ კორპ. 18. ბ. 7. 222. ლეილა ჟითინავა ქ. თბილისი, ხომლელის ქ. №7, ბ 23. 223. ვახტანგ წიკლაური თბილისი, ლევანდოვსკის 19. 224. გიორგი წიკლაური თბილისი, თემქა IV მ/რ კორპ 4, ბ. 22. 225. ზურაბ ჯანგიშერაშვილი თბილისი, გლდანის დას. II მ/რ კორპ 47ა ბ. 12. 226. ვასილ ჯალაბაძე თბილისი ნუცუბიძის პლატო IV მ/რ, კორპ. 16, ბ. 8. 227. იზოლდა ჯავახიშვილი თბილისი, ჩარგლის ქ. 51. 228. თამაზ ჯავახიშვილი საგარეჯოს რაიონი სოფ. ყანდაურა. 229. ანზორ ჯავახიშვლი საგარეჯოს რაიონი სოფ. ყანდაურა. 230. დავით ხუბულოვი თბილისი, თემქა 2 კვ. 32 ა კორპ. ბ. 18. 231. ალვასი ხოშტარია ლუქსემბურგის 7. 232. ლია ხონელიძე თბილისი, ჩიტაძის ქ. 9. 233. ნუნუ ხმალაძე თბილისი, მუშის ქ. 13. 234. ვლადიმერ ჯოლოხავა თბილისი, ბარნოვის IV ჩიხი 18. 235. თეიმურაზ ჯოლბორდი თბილისი, ილორის 9. 236. მალხაზ ჯლანტიაშვილი ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. 7, ბ. 36. 237. გრეტა ჯიხვაძე თბილისი, დიღმის მას. 5 კვ. კორპ. 18. ბ. 38. 238. ზვიად ჯაფარიძე თბილისი, საბურთალოს ქ. 36, ბ. 28. 239. გივი ჯაფარიძე თბილისი, საბურთალოს ქ. 36. 240. ანზორ ჯაფარიძე ქ. თბილისი, გლდანის მასივი, I მ/რ, კორპ. 5 ბინა 150. 241. ჯემალ ჯანელიძე თბილისი, დიღმის დას. 5 კვ. კორპ. 23. ბ. 84. ატყობინებს შემდეგს: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/4929-07 ელგუჯა ბუზუტეიშვილის განცხადებისა გამო აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე.

განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებს იმაზე, რომ ელგუჯა ბუზუტეიშვილი არის სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" ხმის უფლების მქონე აქციათა 97,4 პროცენტის მფლობელი. აქციონერი, რომელიც ფლობს საზოგადოების აქციათა საერთო რაოდენობის 95 პროცენტს, უფლებამოსილია მოსთხოვოს დანარჩენ აქციონერებს აქციათა სავალდებულო მიყიდვა (გამოსყიდვა).

2. დაინტერესებულ პირებს ასევე ეცნობოთ, რომ:

– ვალდებულნი არიან(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[13] მუხლის შესაბამისად მოსაზრებები წარუდგინონ სასამართლოს ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

– ამის გარდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[13]-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ვალდებული არიან დანიშნონ წარმომადგენელი.

– ამასთან, წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მოსაზრებებს სასამართლოში წარადგენს წარმომადგენელი.

3. განცხადების და თანდართული საბუთების ასლები დაინტერესებული პირებისათვის ჩაბარებულად ჩაითვალოს საჯარო შეტყობინებიდან მე-7 დღეს და ამ დღიდან აითვალოს მოსაზრებების წარმოდგენის ვადა.

4. დაინტერესებულ პირებს ეცნობოთ შემდეგი:

– ელგუჯა ბუზუტეიშვილის განცხადება განსახილველად სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2009 წლის 27 მარტის 14 საათსა და 00 წუთზე. მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6, დარბაზი №26;

5. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

– დაინტერესებული პირი ვალდებულია, სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ; საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობის, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

6. განჩინების გამოქვეყნება გაზეთში საკუთარი ხარჯებით დაევალოს განმცხადებელს.

7. განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე ლ. გვარამია**

# დიდი სფინქსის გზავნილი

ჰიპოთეზას დედამიწაზე კოსმოსიდან სტუმრების ჩამოსვლის შესახებ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

მკვლევართა აზრით, თუკი ასეთი რამ მართლა მოხდა, უცხოპლანეტელებს თავიანთი სტუმრობის რაღაც დამადასტურებელი ნიშნები უნდა დაეტოვებინათ. ძველი ქვის ნაგებობის შესწავლით, მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ, პირობითად, მათი ორ ნაწილად დაყოფა შეიძლება. პირველ მათგანს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც მხოლოდ არქიტექტურით გამოირჩევიან, მეორეს კი ისინი, რომლებიც უჩვეულო არქიტექტურის გარდა ასევე გარკვეულ ასტრონომიულ ასპექტსაც შეიცავენ. ამ ნაგებობათა უფრო დაწვრილებითმა შესწავლამ, თავის მხრივ, მათში გარკვეული ქვეჯგუფების გამოყოფის საშუალება წარმოშვა. პირველია „საჩვენებელი ნიშნების ნაგებობები", მეორე – „ათვლის სხეულები" უცხოპლანეტელთა კაფსულის მოსაძებნად, დაბოლოს ძველი ნაგებობები, რომლებიც შესაძლოა უცხოპლანეტელთა საინფორმაციო კაფსულების „საწყობებია".



„საჩვენეელი ნიშნების ნაგებობებს" შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები ანდებში, ნახატები ნასკას უდაბნოში, წყნარი ოკეანის აღდგომის კუნძულის ქანდაკებები; „ათვლის სხეულებს" – ინგლისური სთოუნჰენჯისა, ჰეფრენის, მიქერინისა და ხეოფსის სწორი პირამიდების,



ასევე მათ გვერდით დიდი სფინქსის მსგავსი ნაგებობები, ხოლო უცხოპლანეტელთა საინფორმაციო კაფსულების „საწყობებს" – საკარში ჯოსერისა და მედუმში ჰუნის საფეხურებიანი პირამიდები.

აღსანიშნავია, რომ ყველა ჩამოთვლილი ობიექტიდან უფრო მეტ ყურადღებას დიდი სფინქსი იწვევს. ამის მიზეზი ძნელი ასახსნელი არ არის: ყველამ კარგად ვიცით, რომ ადამიანებს სახისა და თვალების ასეთი პროპორციები არა აქვთ, რამაც მკვლევარებს ჰიპოთეზის წამოყენების საშუალება მისცა, რომლის თანახმად სფინქსი – ესაა უცხოპლანეტელთა სკულპტურული პორტრეტი, რომელიც მათ პირამიდების ჯგუფის გვერდით ააგეს.

# თეთრი სახლის ბინადარი ცხოველები



თეთრი სახლის ახალი პატრონის ახალმოსახლეობა საყვარელ ცხოველთან ერთად საკმაოდ ძველი ტრადიციაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტების არჩევანი ხშირად ერთობ ექსტრავაგანტური იყო. მაგალითად, კალვინ კულიჯის პრეზიდენტობის დროს თეთრი სახლის ბინადარი იყო ორი ენოტი, თუმცა თავდაპირველად მას ფოცხვერი, ვირი და ჯუჯა ბეჰემოტიც კი ჰყავდა. როგორც ჩანს, კულიჯს სურდა, შეერთებული შტატების მეექვსე პრეზიდენტ ჯორჯ ადამსზე ორიგინალური ყოფილიყო, რომელსაც თეთრი სახლის აბაზანაში ნიანგი ჰყავდა. ჰარი ტრუმენის პრეზიდენტობის დროს კი თეთრი სახლის წინ მდელოზე ბალახს ძოვდა თხა. ამ ფონზე ბილ კლინტონი, რომელმაც თავისი კატის ოქსისთვის ინტერნეტში პერსონალური საიტი შეაქმნევინა, საკმაოდ ბანალურია. ინგლისური სპანიელი სპოტი კი ისტორიაში ერთადერთი ძაღლია, რომელსაც თეთრ სახლში ორი პრეზიდენტის – ბუშ-უფროსისა და ბუშ-უმცროსის დროს უცხოვრია.



# პრესტიჟი – ძვირადღირებული სიამოვნებაა

პასტის ერთჯერად კალმებთან შედარებით ნაკლებად პრაქტიკული მელნის კალმები კვლავ მოდაშია. საკანცელარიო ტექნიკის მწარმოებელთა მონაცემებით, 2008 წელს სამჯერ მეტი მელნის კალამი გაიყიდა, ვიდრე 2007-ში. მყიდველები ფასებსაც არ ერიდებიან, რომლებიც ცალში ხუთიდან ათ ათას დოლარამდე (!ძ შუალედში მერყეობს. მელნიანი კალმებით არა მარტო კოლექციონერები არიან დაინტერესებულნი, შეძლებულ ხალხს, „რიგით" მომხმარებელს ხიბლავს ისიც, რომ კალმის მოოქროვილი წვერი 14-18 კარატის სისუფთავის ოქროსგან მზადდება, რაც მის მფლობელს მეტ სოლიდურობას ჰმატებს.

# ერის საამაყო შვილები

ისტორიის დამმახინჯებლები, ჭეშმარიტ მამულიშვილთა ხსოვნისადმი ჩრდილის მიყენების „დიდოსტატები" ყველა ერსა და სახელმწიფოში იყვნენ, მაგრამ, ამ მხრივ, ბადალი არ ჰყავდათ არც საბჭოურ და მათ „მონათესავე" ფაშისტური გერმანიის ეგრეთ წოდებულ „ისტორიკოსებს". მრავალი წლის მანძილზე სამოქალაქო ომში ბოლშევიკების შეურიგებელი მტერი ადმირალი დენიკინი იყო, მაგრამ, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა, ამ ომის დროს ეს საზღვარგარეთ გახიზნული კაცი, ჰიტლერელთა წინააღმდეგ მებრძოლი წითელი არმიისთვის სახსრებს აგროვებდა. ასევე მეტად საგულისხმოა ის მამულიშვილობა, რომელიც დიდგვაროვანმა თავადის ქალმა, მონაზონმა მარიამმა გამოიჩინა, რომელმაც ფაშისტებისგან, მისი სამშობლოს, რუსეთის მტრებისგან, შეწყალების მიღებაზე უარი განაცხადა და მოწამებრივი სიკვდილი მიიღო.



აი, ასეთი ხალხით უნდა იამაყოს რუსეთმა!

# ბრიტანელი „აბისინიელი"

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულია კატის „აბისინიური" ჯიში, რომლის ფასი ხუთ ათას დოლარს აღწევს. ზოგი სპეციალისტი აცხადებს, რომ თანამედროვე „აბისინიელები" ეგვიპტელ ფარაონთა პირამიდების კედლებზე გამოსახული წმინდა ცხოველთა პირდაპირი შთამომავლები არიან, ხოლო მეორე ვერსიით ამ ჯიშის კატები ინგლისელებმა ეთიოპიიდან ჩამოიყვანეს.



სინამდვილეში კი „აბისინიელები" ბრიტანელი ზოოლოგების ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია და „აფრიკული" მათში ჯიშის სახელწოდების გარდა მხოლოდ ეგზოტიკური ფასია.

# ზრუნვა ადრევეა საჭირო



ვაიომინგის შტატის ოცდაცხრა წლის ახალგაზრდა ქალბატონს შვილთან ცუდად მოპყრობაში დასდეს ბრალი მაშინ, როცა იგი... ჯერ კიდევ ხუთი თვის ფეხმძიმე იყო. ბრალდება მას ალკოჰოლზე შემოწმების შემდეგ წაუყენეს. მოსამართლემ მომავალ დედას აუხსნა, რომ ბავშვთან სათუთი მოპყრობა მან მხოლოდ მისი დაბადების შემდეგ კი არა, გაცილებით ადრე უნდა დაიწყოს.

# იცით, რა არის „არომატოლოგია?"

იაპონიის უდიდესი პარფიუმერული ფირმის „სისეიდოს" სპეციალისტმა-დეგუსტატორებმა შეიმუშავეს წარმოებაში მომუშავეთა მასობრივი „გაბოლვის" ტექნოლოგია, რომელიც ძველთაგანვე ცნობილი მეცნიერების „არომატოლოგიის" თანამედროვე მიღწევებს ეყრდნობა.

სპეციალისტების განმარტებით, „არომატოლოგია" – ესაა ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სურნელების ზემოქმედების ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტების ზეგავლენის შემსწავლელი მეცნიერება, რომლის მიზანია ადამიანებისა და გარემოს ჰარმონიული თანაარსებობის უზრუნველყოფა. შედეგად „სისეიდოს" მკვლევარებმა მეტად უჩვეულო ექსპერიმენტი დადგეს, რომელსაც „ინტელიგენტი შენობა" უწოდეს. საცდელ პოლიგონად მათ ცნობილი სამშენებლო ფირმის „კაძიმას" ახალი ცენტრალური ნაგებობა აირჩიეს. მისი მთავარი ოფისის ჭერი გადაბრუნებულ თასს ჰგავს, შიგნით კი მრავალი აუზი და შიდა ზამთრის ბაღია ნამდვილი ტროპიკული ხეებით. მაგრამ მთავარი მაინც სხვადასხვა სურნელოვანი არომატებით გაჯერებული კომპიუტერიზებული ვენტილაციაა, რომელიც ჰაერს აწვდის ექვს დასასვენებელ ოთახს, ფოიესა და კონფერენც-დარბაზს. ამ დროს დერეფნებში სანდალოზის ხის, საკმევლისა და ლავანდის ოდნავ შესამჩნევი ნაზი სურნელება ტრიალებს, რომელიც ძალიან კარგად ხსნის ნერვულ სტრესებს.



როცა კონფერენც-დარბაზში ფირმის დირექტორთა საბჭოს სხდომებია, მაშინ ჰაერში მიხაკის ზეთის, ვარდისა და ლიმონის არომატი ტრიალებს, ქალბატონები კი თავს გაცილებით უკეთ გრძნობენ, როცა ირგვლივ ჟასმინის უნაზესი სურნელება იფრქვევა. რაც შეეხება სამუშაო ოთახებს, იქ „ჩვეულებრივი" ჰაერი ტრიალებს, რადგან აქ მოდუნება მხოლოდ ზიანის მომტანია.

საგანგებოდ დადგენილია ასევე არომატიზატორების ოდენობაც, რომელსაც კომპიუტერი ავტომატურად არა მარტო ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის, წნევისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, წლის დროის გათვალისწინებით „აფრქვევს", არამედ გათვალისწინებულია ოთახების თუ დერეფნების ხალხით შევსების ხარისხი, მათი ასაკი და, როგორც აღვნიშნეთ, სქესიც კი.

# მწყემსი პეტკა



ამ პატარა ბიჭუნამ, პეტკა გრიგორიევმა სტანიცა ვეშენსკოეში რომ ცხოვრობს, ფეხი როგორც კი აიდგა, მამას დაუწყო დევნა, როცა იგი ცხენებს დონის პირას ღამ-ღამობით საძოვრებზე მიერეკებოდა, რასაც კაზაკები „ნოჩნოეს" ეძახიან. ცხენების ამ ტრფიალ ბიჭუნას მას შემდეგ სახლში ველარც დედა აჩერებს, ვერც პაპა და ბებია – „ნოჩნოეში" წასვლა პეტკას ქვეყანაზე ყველაფერს ურჩევნია.



მეორე ფოტოზე კი პეტკას ამერიკელი „კოლეგა", ოკლაჰომელი მომავალი ნორჩი კოვბოია გადაღებული, რომელიც ეტლში შებმულ ცხენს თვალს ვერ აცილებს.

უცხოური პრესის მიხედვით
მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

◉ მართლა დედა...

# მეოთხე შვილიც საკეისრო კვეთით შობა

**დედის დღეს ნინო ოქრომჭედლიშვილი სამშობიარო სახლ „ჰერაში“ ერთი დღის ნუნუასთან ერთად შეხვდა. 8 მარტს მისი უფროსი შვილები: ხუთი წლის ბარბარე, ოთხი წლის თეკლა და წლინახევრის მათე, დედიკოს და პატარა დაიკოსთან ერთად აღნიშნავენ.**

ორ მარტს კიდევ ბევრი პატარა მოევლინა ქვეყანას, მაგრამ ქალბატონი ნინოს მაგალითი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ 37 წლის ქალბატონმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, კვლავ მეოთხედ საკეისრო კვეთით გააჩინა პატარა.

მეან-გინეკოლოგმა პროფესორმა სოსო ღოღობერიძემ გვითხრა, რომ ზოგადად, მეოთხე საკეისრო იშვიათია, თუმცა არა — განსაკუთრებული. როგორც კი პაციენტმა ორსულობის პერიოდში მოგვმართა, ყველა საშუალებით შევუწყეთ ხელი, რომ ჯანმრთელი ბავშვი გაეჩინა.

საბედნიეროდ, ორსულობამაც და მშობიარობამაც გაურთულებლად ჩაიარა. დედა საკეისრო კვეთის მეორე დღესვე ფეხზე წამოდგა, ხოლო პატარა ნუნუას ისეთი ღაჟღაჟა და სავსე ლოყები აქვს, რომ, ეტყობა, დედის რძე ერგება. შვილის ორსულობის გამო, მძიმე დღეები გამოიარა ნინოს დედამ, რომელსაც მისი მეოთხე კვეთა აშფოთებდა, მაგრამ ახლა მშვიდად და ბედნიერად ელოდება შვილისა და შვილიშვილის საავადმყოფოდან გამოსვლას.



ნინოს მეუღლეც თორღვა არსენიძე 37 წლისაა, ამბროლაურიდან, სოფელ ხვანჭკარაში საკუთარი მეურნეობა აქვს და ოჯახს ასე ინახავს. ცოლ-ქმარი ივანე ღვთისმეტყველის სახელობის მრევლია და ყოველ შვილს ღვთისადმი მადლიერების გრძნობით ხვდებიან.

ექიმი ამბობს, რომ მეხუთე საკეისროც შეიძლება, მაგრამ, როგორც წესი, ამდენ ქირურგიულ ჩარევას საშვილოსნო ვერ იტანს.

ოთხი შვილის დედა უფალს მადლობას სწირავს, მაგრამ ექიმების გაფრთხილებასაც აუცილებლად გაითვალისწინებს: მკაცრად გამაფრთხილეს, რომ მეხუთედ უკვე რისკიც კი აღარ ერქმევა, მეც და ბავშვსაც საფრთხე შეგვექმნება. თორემ ქალისთვის ბევრი შვილის ყოლა ბედნიერებაა. ღმერთი მათ გასაზრდელ ლუკმას ყოველთვის გვარგუნებს.

პატარა ნუნუას ჩვენი სტუმრობა ესიამოვნა. დედას საუბარი ადროვა, ფოტოაპარატის წინ პოზიორობაც მოეწონა.

მართალია, ქალბატონ ნინოს გმირის დედის სტატუსი ზედმეტად გადაჭარბებული მოეჩვენა, თუმცა მისი თავგანწირვა და ახალი არსებისთვის სიცოცხლის მინიჭების სურვილი გმირობის ტოლფასია.

ოთხი შვილის დედას კიდევ ბევრი შვილის ყოლას ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ ვუსურვებთ, სამაგიეროდ მის შთამომავლებსა და სრულიად საქართველოს, ყველა ქალს, დედას თუ პოტენციურ დედას ვუსურვებთ გამრავლებას!

**თეა მოსია**

**სურათზე: დედა ნინო ოქრომჭედლიშვილი ახალშობილთან ერთად და პროფესორი სოსო ღოღობერიძე.**

მურად ალაშვილის ფოტო.

**ხსოვნა**

# თეიმურაზ ყაჭეიშვილი



ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი, გამოჩენილი ქართველი ვაჟკაცი.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ თეიმურაზ ყაჭეიშვილი ჩვენს გვერდით აღარ არის. იგი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ახლობლებს, ოჯახის წევრებს, ნათესავებს, თანამშრომლებს...

ჩვენგან წავიდა კიდევ ერთი სახელოვანი ადამიანი, ბუნებით, სულიერად მდიდარი პიროვნება, რომელიც გამოირჩეოდა ადამიანისადმი უშურველი სითბოთი, ნიჭით, ღირსებით, პატიოსნებით.

თეიმურაზ ყაჭეიშვილი იყო ღრმა განათლების, დიდი ინტელიგენტური ბუნების, ქართული ვაჟკაცური თვისებების ალსავსე პიროვნება.

იგი დაიბადა 1946 წლის 3 იანვარს, ქ. სამტრედიაში, მოსამსახურის ოჯახში.

1972 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე:

კერძოდ, ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორად, ტექნიკური კულტურის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად, საელევატორო მრეწველობის სამმართველოს უფროსად.

1986 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროს კადრების მომზადების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სამმართველოს უფროსად.

1993 წლიდან 1996 წლამდე მუშაობდა სახელმწიფო კომერციული ცენტრის „საქართველოს პურის“ დირექტორად, ხოლო, შემდეგ შპს „საქპურსერვისის“ გენერალურ დირექტორად.

წლების განმავლობაში იყო დამზადებისა და პურპროდუქტების სამინისტროს კოლეგიის წევრი.

1997-2000 წლებში იყო ქ. სამტრედიის გამგებელი.

2002-2007-მდე მუშაობდა სს „რიონჰესის“, სს „გუმათჰესების კასკადის“ და სს „ლაჯანურჰესის“ სამეთვალყურეო საბჭოში.

ხოლო 2007 წლიდან 2009-მდე მუშაობდა სს „ენერგია XXI“ გენერალური დირექტორის მოადგილედ.

ბატონი თეიმურაზ ყაჭეიშვილის ხსოვნა მისი ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრებისა და თანამშრომლების გულებში მუდამ ცოცხალი იქნება.

უფალმა მარადიულ სასუფეველში და ნათელში ამყოფოს მისი კეთილი და ვაჟკაცური სული.

საააქციო საზოგადოება „ენერგია XXI“ კოლექტივი

---

საააქციო საზოგადოება „ენერგია XXI“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საზოგადოების გენერალური დირექტორის მოადგილე

თეიმურაზ ვაჟას ძე ყაჭეიშვილი

და სამძიმრას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

მანანა და დემურ მიქაძეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან უსაყვარლესი მეგობრის

თეიმურაზ ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯხს.

---

მაია, გურამ ახალაიები, მანანა, თემურ ხარებავები, ლენა, თემურ კვარაცხელიები, მარინა, გია მახარაძეები, ნანა, მანანა კეკელიძეები თანაუგრძნობენ ლეილა გრძელიძეს და გივი ბარამიძეს ძმისა და ცოლისძმის

ელდარ გრძელიძის

გარდაცვალების გამო.

---

## განცხადება

სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის მოთხოვნა სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ მიმართ, ვალდებულები არიან 2009, წლის 28 მარტამდე გამოცხადნენ მისამართზე: დ.წყნეთი, გურამიშვილის ქ. № 39-ში (საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შენობა, მე-4 სართულიძ.

აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარილის გასვლის შემდგომ პრეტენზიები აღარ მიიღება.

ტელ: 899-51-13-82.

## ◉ ინფორმაცია

### ბარემ 50 წლამდე დაგვემრგვალებინათ

**სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის სერგეი ბაღაფშის განცხადებით, აფხაზეთში ყველა რუსული პროექტი ბოლომდე იქნება მიყვანილი და რუსული სამხედრო ბაზები იქ 49 წლის განმავლობაში დარჩება.**

**ეს განცხადება ბაღაფშმა „ნეზავისიმაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

**ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას მოსკოვთან, რომლის თანახმადაც რუსული ბაზები აფხაზეთში 49 წლის განმავლობაში დარჩება და აქ 3800 სამხედრო იმსახურებს, — აღნიშნა დე ფაქტო მინისტრმა.**

ინტერპრესნიუსი

## განცხადება

### შპს „იბერიაბანკის“ კრედიტორ ფიზიკური პირების (მეანაბრეებისძ საყურადღებოდ!

გთხოვთ, 2009 წლის 28 მარტამდე სასწრაფოდ გამოცხადდით შპს „იბერიაბანკის“ სალიკვიდაციო კომისიაში ბანკის აქტივზე მოთხოვნის უფლების გადმოცემის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარილის გასვლის შემდგომ თქვენი პრეტენზიები აღარ მიიღება.

**მისამართი. დ.წყნეთი, გურამიშვილის ქ. № 39, მე-4 სართული. ტელ: 899-51-13-82.**

## განცხადება

### სს „ინტელექტბანკის“ კრედიტორ თანამშრომელთა საყურადღებოდ!

გთხოვთ, 2009 წლის 28 მარტამდე სასწრაფოდ გამოცხადდით სს „ინტელექტბანკის“ სალიკვიდაციო კომისიაში ბანკის აქტივზე მოთხოვნის უფლების გადმოცემის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარილის გასვლის შემდგომ თქვენი პრეტენზიები აღარ მიიღება.

**მისამართი: დ.წყნეთი, გურამიშვილის ქ.№ 39, მე-4 სართული, ტელ: 899-51-13-82.**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## არბიტრაჟის უწყება

### საქმე № 18-2009

**ზაზა ჩხობაძეს, მცხოვრებს ქუთაისი, ანჯაფარიძის ქ.№ 26-ში, საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი 2009 წლის 18 მარტს, 15.00 საათზე, მისამართზე თბილისი, ტაშკენტის ქ. № 27, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო ზაზა ჩხობაძის და იური მიქაუტაძის მიმართ, თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

სულიერება

# მართლმადიდებლობის ზეიმი

**8 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს – მართლმადიდებელთა ზეიმს დღესასწაულობს.**

...ცნობილია, რომ VIII საუკუნეში, ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცების ჟამს, წარმოიშვა მის წიაღში ახალი ერესი – ხატმებრძოლობა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა და მრავალი უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას...

...იოანე დამასკელმა ხატსა და მის თაყვანისცემაზე მართლმადიდებლური სწავლება ჩამოაყა-



ლიბა, რომელიც ერეტიკული სწავლების საპირისპირო იყო. მართლმადიდებლური სწავლება მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: სამყაროში ყოველივე ხატია. თავად კაცი ღმრთის ხატი და მსგავსია. ყოველი საგანი ხატია იდეისა.

...842 წელს მოიწვიეს კრება, რომელმაც დაგმო ხატმებრძოლთა ერესი და აღადგინა ხატთა თაყვანისცემა. კრებამ გამოაცხადა მართლმადიდებლობის ზეიმი და იმ დღიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს მას.

მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი რელიგიაა, რადგან იგი ერთარსება ღმერთის – მამის, ძის და სულიწმინდის – წმიდა სამების მადიდებელია.

გილოცავთ დღესასწაულს!

**გიული ლიპარტია**

ინფორმაცია

## შეუჩერეს ოსებს რუსული პასპორტების გაცემა?

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის ედუარდ კოკოითის მტკიცებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობის მიცემაზე უარს არავინ ეუბნება. ამის შესახებ კოკოითიმ „ინტერფაქსს“ განუცხადა.**

უბრალოდ, ამჟამად ადრე გაცემული რუსული პასპორტების შეცვლა მიმდინარეობს, ასეთი პასპორტები კი ათეულობით ათასია და რუსეთის ფედერაციის ახალი პასპორტების გაცემა დროებით შეჩერებულია, – განაცხადა კოკოითიმ.

მისი თქმით, ძველი პასპორტების გამოსაცვლელად დიდი სამუშაოა ჩასატარებელი და რუსეთის საკონსულო ახალი პასპორტების გაცემას თავს ველარ ართმევს.

ინფორმაცია, იმის თობაზე, რომ დე ფაქტო რესპუბლიკის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობისა და პასპორტების გაცემა შეჩერებულია, ოსური და რუსული მედიით გავრცელდა.

## შემოგვეჩვივნენ რუსი ვერტმფრენები

**რუსეთმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია.**

**შსს-ს განცხადებით, გუშინ 11 საათზე, რუსების მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიიდან, კონკრეტულად სოფელ ფიჩორის მხრიდან, შემოფრინდა რუსული „მი-8“ და „მი-24“ ტიპის ვერტმფრენები.**

აღნიშნულმა ვერტმფრენებმა გადაუფრინეს და ფოტოები გადაუღეს განმუხურსა და ხურჩაში განლაგებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოებს.

ანალოგიური ფრენა რუსული ვერტმფრენების მიერ 4 მარტს, ორჯერ დაფიქსირდა.

## რატომ ჩაგრავენ გარდაბნელებს „ენერგო-პროჯორჯიელები“?

**„ლეიბორისტულმა პარტიამ“, გარდაბნის რაიონის რამდენიმე სოფლის მოსახლეობასთან ერთად, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სათაო ოფისთან გუშინ საპროტესტო აქცია გამართა.**

როგორც აქციის მონაწილეებმა აღნიშნეს, პროტესტი გამოიწვია გარდაბნის რაიონის რამდენიმე სოფელში „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლობის მიერ მოსახლეობისგან ზედმეტი თანხების ამოღებამ.

მოსახლეობის ინფორმაციით, დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გარდა, ენერგოკომპანიის თანამშრომლები ზედმეტ თანხებს ახდევინებენ.

„ლეიბორისტული პარტიის“ აღმასრულებელი მდივნის პაატა ჯიბლაძის განცხადებით, თუ არ მოხდება აღნიშნული სოფლების აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება და ზედმეტი თანხების გადახდის ინიციატორების დასჯა, საპროტესტო აქციები, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოფისის გარდა, ენერგეტიკის სამინისტროსთან და მთავრობის კანცელარიასთანაც გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

კრიმინალი

## ნაჯახით შეიარაღებული მძარცველი

**საშინელი მკვლელობა მოხდა ამ რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდში. საღამოს საათებში სოხუმის ქუჩაზე ნაჯახმომარჯვებული ბოროტმოქმედი, ადრე მკვლელობისთვის ნასამართლევი და შემდგომ შეწყალებული, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას მკვიდრი, 35 წლის ლაშა სამუშია „საკბილოს“ ეძებდა. ჯერ ჯიხურში შეუვარდა რუსუდან კვარაცხელიას და ნავაჭრი ფული მოსთხოვა. მაგრამ რუსუდან კვარაცხელიამ მოახერხა გაქცევა. შემთხვევის ადგილიდან გაიქცა ბოროტმოქმედიც. ნახევარი საათის შემდეგ სხვა სავაჭრო ჯიხურებში შეიჭრა, რომელშიც იმყოფებოდნენ ამავე ქუჩაზე მცხოვრები ქ.ბ.ნინო ტაბაღუა და მისი ძმისშვილი მაკა კაკულია. ნაჯახმომარჯვებულმა სამუშიამ მათაც ფული მოსთხოვა და უარის მიღებისა და წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ორივე ქალბატონს თავში ჩაარტყა ნაჯახი. მიყენებული მძიმე ჭრილობების გამო ნინო ტაბაღუა გარდაიცვალა, ხოლო მაკა საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამართალდამცავებმა ლაშა სამუშიას დაკავება მეორე დღეს შეძლეს, როცა ის ზუგდიდში კოსტავას ქუჩაზე მაღაზია „ბავშვთა სამყაროს“ გაქურდვას ცდილობდა.**

## 60 წლის დონ ჟუანი

**22 წლის ზუგდიდელმა თამუნა ჩიქოვანმა განაცხადა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ექსპერტმა, ზუგდიდელმა 60 წლის როინ ფეტელავამ მას ძალის გამოყენებით გაუპატიურება დაუპირა... როინ ფეტელავა დაკავებულია.**

## ეკა ანთიას „წითელი“ აუნთეს

**აჭარის საპატრულო პოლიციისა და სასაზღვრო-საემიგრაციო კონტროლის თანამშრომლებმა „სარფის“ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე დააკავეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიის მკვიდრი 38 წლის ეკატერინე ანთია, რომელსაც გაჩხრეკისას დიდი ოდენობით – 14,1019 გრ.ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ აღმოაჩნდა.**

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

კადრი



# განცხადება

**სააქციო საზოგადოება „მშენებელი-96“-ის მორიგისაერთო კრების მოწვევის შესახებ**

**სს „მშენებელი-96“-ის სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 27 მარტს 12 საათზე, ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 16, VIII სართული.**

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორის 2008 წლის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა, წლიური შედეგების განხილვა და დამტკიცება;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
3. მოგების განაწილება დივიდენდების სახით.

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ხარაბაძე**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

**მიხო საქორწინო ბეჭედს ყიდულობს და იუველირს ეუბნება:**

**– თუ შეიძლება, ბეჭედზე წარწერაც ამომიკვეთე „მაროს მიხოსგან“.**



**– კი, ბატონო, მაგრამ გირჩევ, უფრო მოკლე წარწერა ამოვტვიფროთ – „მიხოსგან“. კაცნი ვართ, რა იცი, რა მოხდება...**

* * *

**გართულება იოლია, გამარტივება – ძნელი.**

* * *

**ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ჩანს, მისთვის ყურზე დათვს ფეხი დაებიჯებინოს. თუმცა მხეცს, ეტყობა, არც სახის სხვა ნაკვთები დაენდო.**

* * *

**იგი ისეთი მდიდარი იყო, ისეთი მდიდარი, რომ როდესაც პურის ყიდვას დააპირებდა, ხურდით მაღაზიასაც ყიდულობდა.**

* * *

**სათამაშო, რომელიც არ იმტვრევა, იმით არის კარგი, რომ ამ სათამაშოთი სხვა სათამაშოებს დაამსხვრევ.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.